# ლელო

№059 (12 129) 13 მარტი სამშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან
ფასი 50 თეთრი


# გლაზგოში კალაძე დაგვაკლდება?

ტოპმიოლერს თავსატეხი ემატება

## კახა კალაძე

სულ მცირე 7-8 დღე კიდევ დამჭირდება. კარგი იქნება, თუკი ამ პერიოდში ჩავეტიე. ეს მსუბუქი ტრავმა არაა და ნადრევად დიდი დატვირთვის ნებას ექიმები არ მაძლევენ



ინტერვიუ 2

European Nations Cup
Championnat Européen des Nations

რაგბი. 17 მარტი. ესპანეთი vs საქართველო

## მინუს კიდევ სამი კაცი

საქართველოს ნაკრები გუშინ სალამოს მადრიდის გარეუბანში, საფეხბურთო კლუბ "ატლეტიკოს" საწვრთნელ ბაზაზე შეიკრიბა და შაბათის მატჩისთვის მზადება დაიწყო.

სამწუხაროდ, გუნდის ისედაც თითქმის მთლიანად სახეშეცვლილ შემადგენლობას კიდევ სამი ძირითადი მოთამაშე დააკლდა.

ტრავმების გამო ერთა თასის მეორე მატჩში ეროვნულ ნაკრებს ვეღარ დაეხმარებიან ბურჯი **გოდერძი შველიძე** (კლერმონი), მესამეხაზელი **ბესო უდესიანი** (ვილფრანში) და გარემარბი **ირაკლი მაჩხანელი** (ბეზიე). მათ ნაცვლად ნაკრების მწვრთნელებმა უხმეს **დავით დადუნაშვილს** (მასი), **სანდრო მჭედლიშვილს** (ფიჟაკი) და **დავით გურგენიძეს** (ბლუა). ეს უკანასკნელი ნაკრების დებიუტანტია.

ამრიგად, საქართველოს ნაკრების მწვრთნელებს **მალხაზ ჭეიშვილს, დავით ჩავლეიშვილსა** და **პაატა ნარიმანაშვილს** ექსტრემალურ ვითარებაში უწევთ ესპანელების წინააღმდეგ მატჩისთვის სამზადისი. ერთი კვირის შემდეგ, 24 მარტს, თბილისში რუსეთთან თამაშია.

**ბესიკ ჯანგავაძე**

### საქართველო ესპანეთთან

პირველი ხაზი: **ავთანდილ კოპალიანი** (მონტობანი), **დავით დადუნაშვილი** (მასი), **დავით აშვეთია** (მეტრო რასინგი), **რეზო ბელქანია** (ფიჟაკი), **გიორგი ჟღენტი** (კლერმონი)

მეორე ხაზი: **მამუკა გორგოძე** (მონპელიე), **გიორგი ნემსაძე** (ბრივი), **ვიქტორ დიდებულიძე** (მასი)

მესამე ხაზი: **ილია მაისურაძე** (ნანტი), **შალვა პაპაშვილი** (მატორენარი), **დავით ბოლღაშვილი** (ლილი), **სანდრო მჭედლიშვილი** (ფიჟაკი)

9: **ბიძინა სამხარაძე** (ფარული), **გიორგი კაჭარავა** (ვანი); 10: **მერაბ კვირიკაშვილი** (პო); 12-13: **ირაკლი გიორგაძე** (ბურგუენი), **დავით კაჭარავა** (ყოჩები), **ირაკლი ჩხიკვაძე** (ნარბონი); 11,14,15: **გიორგი შკინინი** (ბლუა), **ოთარ ელოშვილი** (არასი), **გიორგი ელიზბარაშვილი** (მატორენარი), **დავით გურგენიძე** (ბლუა)



# კარგად ვარ და მოვდივარ

## შოთა არველაძე

მინდა, სქოთებს თავი გოლით შევახსენო

ინტერვიუ 2

ეროვნული ბიბლიოთეკა

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.kazbegi.com

www.pfl.ge




ინტერვიუ შოთა არველაძესთან

# მინდა, სქოთებს თავი გოლით შევახსენო

*"ჰემპდენ პარკზე" წლების წინ, ჩემპიონთა ლიგის ფინალში რომ დავმარცხდი, გადამწყვეტი გოლი ზინედინ ზიდანმა გაგვიტანა. ბედნიერი ვიქნები, თუკი 24 მარტს შოთა არველაძე გაიტანს", - ეს სიტყვები გასულ შაბათს გამართულ პრესკონფერენციაზე ეროვნული ნაკრების თავკაცმა კლაუს ტოპმიოლერმა წარმოთქვა...*

*"... საქართველოს ნაკრები კარგი გუნდია. ამ ნაკრებიდან შოთა არველაძეა გამორჩეული, სახიფათო ფორვარდია. მას განსაკუთრებით უნდა ვუფრთხილდეთ", - ბრიტანელ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა შოტლანდიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ალექს მაკლიშმა.*

**ორივე კომენტარი საქართველოს ნაკრებისა და "ალკმაარის" ფორვარდ შოთა არველაძეს ეხება. არველაძეს, რომელსაც კვირას, "ფეიენოორდთან" საშინაო უგოლო მატჩი არ ჩაუმთავრებია, ის 71-ე წუთზე შეცვალეს. მოახლოებული სანაკრებო მატჩის წინ შოთას შეცვლამ, ცოტა არ იყოს და შიში გამოიწვია, ვაითუ ფორვარდს რამე ეტკინა. არველაძეს გუშინ ჰოლანდიაში დავუკავშირდით. საუბარი "ფეიენოორდთან" მატჩით დავიწყეთ, მერე კი სანაკრებო თემასაც შევეხეთ.**

- საინტერესო მატჩი გამოვიდა. ძალიან გვინდოდა მოგვეგო, მაგრამ ვერ შევძელით. არა და "ეინდჰოვენმაც" ფრედ ითამაშა და ჩვენ რომ მოგვეგო, "ეინდჰოვენი" მხოლოდ 6 ქულითღა იქნებოდა წინ... დასანანი ის იყო, რომ "ფეიენოორდი" პირწმინდად დავჯაბნეთ, მაგრამ გოლი ვერაფრით გავიტანეთ.

**- ეს მატჩი არ ჩაგიმთავრებია, 71-ე წუთზე შეგცვალეს და რატომ?**

- დავიღალე და შეცვლა თავად ვითხოვე. ამასთან ნატკენი მუხლის გამიზეზებასაც მოვერიდე. ხუთშაბათს კიდევ თამაში გვაქვს და... ასე რომ, ჯანმრთელად ვარ და არაფერი მჭირს.

**- ჩემპიონატის დასრულებამდე 6 ტურიღაა დარჩენილი. ლიდერ "ეინდჰოვენს" კი 8 ქულით ჩამორჩებით. ოქროსთვის ბრძოლის შანსებს როგორ შეაფასებდი?**

- 6 ტური ცოტა არაა, მაგრამ 8 ქულიანი სხვაობაც არაა მცირედი. ჩვენ მაინც ბოლომდე ვიბრძოლებთ და ვნახოთ რა გამოვა. მთავარია "ეინდჰოვენმა" დაკარგოს ქულები...

**- უეფას თასის მორიგ რაუნდში ამჯერად "ნიუკასლთან" გინევთ მეტოქეობა. სტუმრად 4:2 დამარცხდით. შეძლებთ ამ ბარიერის დაძლევას?**

- უშანსოდ ნამდვილად არ ვართ. თუმცა ისიც ფაქტია, რომ "ნიუკასლი" ჩვენზე ბევრად უკეთეს მდგომარეობაშია... გული მწყდება, სტუმრად ცუდად დავიწყეთ თამაში და სტარტზევე გავუშვით გოლები, თორემ საპასუხო მატჩის წინ უკეთესი მდგომარეობა ჩვენ გვექნებოდა.

მიუხედავად ამისა, მჯერა შინ მოვიგებთ, მაგრამ იმისი დაპირება კი ძნელია, ამ რაუნდს აუცილებლად გავივლით-თქო.

**- გოლების კოლექციას უმატებ და უმატებ. რამდენი დაგიგროვდა...**

- ჩემპიონატში უკვე 12 გოლზე ავედი. ევროტურნირებზე კი 6 ბურთი მაქვს გატანილი.

**- ახლა სანაკრებო თემაზე გადავიდეთ. გლაზგოს მატჩი შენთვის რას ნიშნავს?**

- ამ მატჩით შესარჩევ ციკლს განვაახლებთ და ბუნებრივია, თამაშის მნიშვნელობა ამით უკვე ხაზგასმულია. მოგებით საკვალიფიკაციო ეტაპის განახლება კი თავისთავად ბევრს ნიშნავს. მთავარია გლაზგოს მატჩისთვის ნაკრებს აღარავინ გამოაკლდეს და ჩვენ ყველანაირად შევეცდებით სასურველ შედეგს მივაღწიოთ.

**- დანაკლისი შოტლანდიას მართლაც საგრძნობი აქვს...**

- კი, მაგრამ მათ მაინც არაერთი გამორჩეული ფიგურა ჰყავთ.

**- როგორ ფიქრობ, ალექს მაკლიშის მისვლით რა შეიცვლება შოტლანდიის ნაკრებში?**

- ალექს მაკლიში უმეტეს კლასიკური 4-4-2 სქემას ირჩევს. ის კარგი მწვრთნელია და ამასთან კარგი ფსიქოლოგიცაა, იცის და კარგად ეხერხება გუნდის საბრძოლოდ განწყობა. ბრძოლის ჟინი კი შოტლანდიელებს ისედაც არ აკლიათ.

**- ამასთან სავსე ტრიბუნები ბოლომდე მხარს დაუჭერს საკუთარ ნაკრებს. ეს მომენტი ჩვენს გუნდს ფსიქოლოგიურ წნეხში ხომ არ მოაქცევს?**

- სქოთებმა ქომაგობა მართლაც ერთგულად და ბოლომდე იციან. მთავარია თამაში როგორ წარიმართება. თუკი შოტლანდიელები დავჯაბნეთ, შესაძლოა, პირიქით, ისინი მოექცნენ ფსიქოლოგიურ წნეხში.

**- ბრიტანელ ჟურნალისტებთან საუბარში ალექს მაკლიშმა მეტოქე გუნდიდან გამოგარჩია და ისიც აღნიშნა არველაძე სახიფათო ფორვარდია და მის წინაალმდეგ თამაშისას სიფრთხილე გვმართებსო...**

- რა მეთქმის, მაკლიშის დროს "რეინჯერსში" არაერთი მატჩი მითამაშია და მან კარგად იცის ჩემი შესაძლებლობები... ვნახოთ, მეტოქის შესწავლას ვინ როგორ მოახერხებს. საერთოდ კი სქოთები სპეციფიკურად თამაშობენ. ინგლისელებს ძალიან კი გვანან, მაგრამ მაინც განსხვავებულად თამაშობენ. მოედნის მთელ მონაკვეთზე იბრძვიან, სწრაფ ტემპში თამაშობენ, აგრესიაც არ აკლიათ. კარგი იყო ასათიანი გვყოლოდა, მაგრამ... მთავარია, გლაზგოს მატჩში აღარავინ დაგვაკლდეს.

**- კლაუს ტოპმიოლერმა განაცხადა, ბედნიერი ვიქნები, თუკი "ჰემპდენ პარკზე" გოლს შოთა არველაძე გაიტანსო...**

- ეს მეც ძალიან მინდა და ყველანაირად შევეცდები. ბედნიერი ვიქნები, თუკი შოტლანდიელ ქომაგებს გოლით შევახსენებ თავს.

**დავით ცაბაძე**

ინტერვიუ კახა კალაძესთან

# გლაზგოში კაპიტნის თამაში სათუოა

## ძალიან მინდა გლაზგოში ვითამაშო, მაგრამ...

**გლაზგოში "სელტიკთან" მატჩში დაშავებულმა კახა კალაძემ, შესაძლოა, 24 მარტს "ჰემპდენ პარკზე", შოტლანდია-საქართველოს მატჩში ვერ მიიღოს მონაწილეობა.**

**გასულ უქმეებზე სერია A-ში გამართულმა მილანურმა დერბიმაც კალაძის გარეშე ჩაიარა. საქართველოს ნაკრების კაპიტნის უთამაშებლობამ მასთან შეხმიანებისკენ გვიბიძგა. მართალია, კახა კალაძეს გადაჭრით არ უთქვამს, რომ ეროვნულ გუნდს დააკლდება, მაგრამ საიმედოც ვერაფერი გვითხრა.**

**თუკი ეს სამწუხარო ვერსია გამართლდა, მაშინ ორი კითხვა ჩნდება – პირველი, ვინ შეცვლის კალაძეს დაცვაში და მეორე, ვინ უკაპიტნებს ეროვნულ გუნდს? ამ საკითხებს ნაკრების თავკაცი სამწვრთნელო შტაბთან ერთად გადაწყვეტს, მანამდე კი...**

- მილანური დერბი დაძაბულად და საინტერესოდ წარიმართა. სამწუხაროდ, ჩვენ, გუნდს ჩემპიონთა ლიგაზე ასპარეზობის გამო გადაღლა აშკარად ეტყობოდა. ტრავმირებულებიც არაერთი გვყავს და ყველაფერმა ამან გუშინდელი მარცხი განაპირობა.

**- შენ კვლავაც არ გითამაშია. რატომ?**

- ჯერ კიდევ არ დამიმთავრებია მკურნალობის კურსი. გლაზგოში, "სელტიკთან" მატჩში აქილევსის მყესის ტრავმა რომ მივიღე, მას მერე ვმკურნალობ და დღემდე ვერ შევძელი სრულად გამოჯანმრთელება.

**- ტკივილები კიდევ გაწუხებს?**

- იმდენად აღარ, მაგრამ ჯერ კიდევ ვმკურნალობ...

**- რამდენ ხანში გამოჯანმრთელდები?**

- სულ მცირე 7-8 დღე კიდევ დამჭირდება. კარგი იქნება თუკი ამ პერიოდში ჩავეტიე. ეს მსუბუქი ტრავმა არაა და ნადრევად დიდი დატვირთვის ნებას ექიმები არ მაძლევენ...

**- გლაზგოში, შოტლანდიის ნაკრების წინაალმდეგ თამაშს შეძლებ?**

- გადაჭრით მიჭირს რაიმეს თქმა, მაგრამ მეეჭვება. ალბათ უფრო ვერ ვითამაშებ, თუმცა ძალიან მინდა ამ მნიშვნელოვან მატჩში ნაკრებში ვითამაშო. იმედი ჯერ კიდევ არ გადამიწურავს. მცირედი შანსი კიდევ არის და ვნახოთ...

**- ნაკრების ხელმძღვანელობას თუ ესაუბრე ამის თაობაზე?**

- არა, ჯერ არა. ხვალ-ზეგ კიდევ შევხედავ ფეხს და საბოლოოდ მერე გადაწყდება შევძლებ თუ არა თამაშს, მანამდე კი მეტს ვერაფერს გეტყვით.

**- როგორ ფიქრობ, რას უნდა ველოდოთ გლაზგოური მატჩისგან?**

- მართალი გითხრათ ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. ურუგვაისა და თურქეთის ძლევის შემდეგ, ჩვენი ნაკრების ფეხბურთელებმა უფრო მეტად ირწმუნეს საკუთარი ძალების. ვფიქრობ გლაზგოში ჩვენი ნაკრები თამაშს სასურველი ანგარიშით დაასრულებს.

**- ისევ "მილანს" დავუბრუნდეთ. ჩემპიონატში რა მიზნისთვის იბრძვით?**

- არაერთი დასანანი ქულა დავკარგეთ, რაც მნიშვნელოვანწილად ტრავმებით იყო განპირობებული. "ინტერმა" ძალიან გაგვისწრო და მისი დაწევა შეუძლებელია. მეორეადგილოსანი "რომაც" დიდი ფორით გვისწრებს. "ლაციოსა" და "პალერმოსთან" დაწევა კი შეგვიძლია და ამას ბოლომდე შევეცდებით. ნებისმიერ შემთხვევაში, ჩემპიონთა ლიგის საგზური უნდა მოვიპოვოთ.

**- ჩემპიონთა ლიგის წილისყრამ მეტოქედ "ბაიაერნი" გარგუნათ. მეტოქეს როგორ შეაფასებდი?**

- ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში სუსტი მეტოქე არ არსებობს. "ბაიერნი" კარგი გუნდია, ჩვენც კარგი გუნდი გვყავს და ყველაფერს ორმატჩიანი დაპირისპირება გადაწყვეტს.

**- შანსებს როგორ გაანაწილებდი?**

- შანსები ჩვენც გვაქვს და მიუნხენელებსაც. ძალების თანაფარდობას კი პირველი მატჩი წარმოაჩენს.

**- ცოტა ხნის წინ იტალიურ პრესაში დაიწერა, თითქოსდა "მილანის" ხელმძღვანელობა შენით უკმაყოფილო იყო – წვეულებებს დიდ დროს უთმობსო. ამაზე რას იტყოდი?**

- ეს მონაჭორია და მეტი არაფერი. რა დროს წვეულებებია, ერთი თვეა არ მითამაშია და ვმკურნალობ. თამაში მწყურია. ერთი სული მაქვს როდის გამოვჯანმრთელდები. ხელმძღვანელობისგან არანაირი უკმაყოფილება და საყვედური არ მსმენია.

**დავით ცაბაძე**



# შოტლანდია-საქართველო საზოგადოებრივ მაუწყებელზე

აქამდე საქართველოს ნაკრების საგარეო მატჩებს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2" გადასცემდა. თუმცა 24 მარტს, გლაზგოში გასამართი შოტლანდია-საქართველოს მატჩის პირდაპირი რეპორტაჟის ჩვენება, ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო, "რუსთავი 2-ზე" ვერ თუ არ მოახერხდა. გულშემატკივარებს თამაშის ნახვის საშუალებას საზოგადოებრივი მაუწყებელი მისცემს.

არხის სპორტულმა პროდიუსერმა **ლაშა დვალიშვილმა** გუშინ გვითხრა, რომ სპონსორებთან მოლაპარაკება დადებითი შედეგით დასრულდა და პირდაპირ რეპორტაჟს საზოგადოებრივი მაუწყებელი გადასცემს.

პირდაპირი ტრანსლაცია საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა, განსაკუთრებით გერმანიისა და ბრიტანული ნაკრებების მონაწილეობით. თუმცა მატჩისადმი მაყურებელთა უზარმაზარმა ინტერესმა არხის ხელმძღვანელობას ამ ნაბიჯის გადადგმა გადააწყვეტინა.

**მერაბ მამულაშვილი**

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge



პრობლემებმა კიკნაძეს ტორპედო დაატოვებინა

ზესტაფონი

# გაგა ჩხეტიანი: ბევრი მაქვს დასამტკიცებელი

ევრიკა - "ზესტაფონის" მთავარ მწვრთნელსაც შეუძლია დაიძახოს. მან ისეთი თავდამსხმელი მოძებნა, როგორზეც ლიგის ყველა ლიდერი ინატრებდა – **გაგა ჩხეტიანი**.

და თითქოს რა უნდოდა ჩხეტიანის მოძებნას? ის საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებისა და ქუთაისის "ტორპედოს" თავდამსხმელი იყო და ყველა მშვენივრად იცნობდა, მაგრამ ისე ჩამოწერეს, როგორც არაერთი სხვა ნიჭიერი მოთამაშე.

ერთი წლის უთამაშებელი თავდამსხმელი **თამაზ კოსტავამ** და **დავით გენძეხაძემ** არ გაწირეს, "ნორჩ დინამოელში" მიიყვანეს და ერთ წელიწადში ისე წარმოაჩინა თავი, გენძეხაძემ ზესტაფონელებს **გაგა ჩხეტიანის** აყვანა ურჩია და არც შემცდარა.

**თემურ მახარაძემ** "კოჭებში" შეატყო ის, რასაც სხვები ვერ ამჩნევდნენ და ჩემპიონობისთვის მებრძოლი გუნდის თავდასხმაში დააყენა. გარისკა და ჩხეტიანმაც გაუმართლა - გაგამ ჯერ "ბორჯომთან" სათასო მატჩი გამოიჩინა თავი, რუსთავის "ოლიმპის" დაცვა კი ისე ააწიოკა, ტრიბუნაზე ყველა გაოცებული კითხულობდა, ვინ იყო იმერელთა ახლადგამოჩეკილი იმედი - ასეთი სასარგებლო თავდამსხმელი საქართველოში სანთლით საძებნია. მართალია, რუსთავში გოლი არ გაუტანია, მაგრამ საგოლე გადაცემა მიითვალა და მაყურებელი მოხიბლა.

"ზესტაფონის" პრეზიდენტი **ილია კოკაია** სიამაყით ამბობდა – გენაცვალე, გვივარგა სელექციაო. მოკლედ, 23 წლის ფორვარდის "მეორედ მოსვლა" შთამბეჭდავი აღმოჩნდა.

სად იყო დაკარგული ჩხეტიანი და რატომ არ ჩანდა? "ზესტაფონელთა" ახალ ფორვარდთან საუბარი ამ კითხვით დავიწყეთ.

**- გაგა, ქუთაისის "ტორპედოდან" ახალგაზრდულში მიგიწვიეს, მაგრამ წინსვლის ნაცვლად, საერთოდ დაიკარგე. აღარ თამაშობდი?**

- ერთი წელი მართლა არ მითამაშია. "ტორპედოში" მიღებულმა მენისკის ტრავმამ შვიდი-რვა თვე დამასვენა. მერე თითქოს მოვმჯობინდი და მუხლის ტკივილმა თავი ისევ გამახსენა. ამ წვალებაში ერთი წელი გავიდა და უგუნდოდ დავრჩი. მაშინ გვერდში "ნორჩი დინამოს" მწვრთნელები თამაზ კოსტავა და დათო გენძეხაძე დამიდგნენ. რეგიონალლიგიდან დავიწყე, ფორმის აღდგენა მსურდა და მნიშვნელობა არ ჰქონდა, სად ვითამაშებდი. მერე პირველ ლიგაში გადავედით და "ზესტაფონშიც" იქიდან აღმოვჩნდი.

მახარაძეს ჩემი აყვანა გენძეხაძემ ურჩია. პირველ წრეში რვა ბურთი გავიტანე და ეტყობა, მახარაძე ამიტომაც დაინტერესდა.

**- "ზესტაფონთან" კონტრაქტი იანვარში ხომ გააფორმე?**

- დიახ, ასე იყო.

**- მერე საკონტროლოებში რატომ არ ითამაშე?**

- ისრაელში, პირველი ლიგის "რანანაში" გამსინჯეს. უმაღლესში გადამსვლელი გუნდია და უარის თქმა სისულელე იქნებოდა. არ დავმალავ, ჩემ ნაცვლად, კენიელი თავდამსხმელი აიყვანეს. მხოლოდ ერთი კვირის ნავარჯიშები, სათამაშოდ მზად არ ვიყავი. ეს მითხრეს კიდეც, მაგრამ ზაფხულში ჩასვლა ისევ შემომთავაზეს.

**- ახლა მომზადებული ხარ?**

- რა თქმა უნდა, არა. მე ხომ ვიცი, რაც შემიძლია. ახლა წონაც მეტი მაქვს და საერთოდ, საუკეთესო ფორმაში არ ვარ. ეს ჩემზე უკეთ არავინ იცის.

**- გამოდის, რუსთაველებთან მხოლოდ მონდომების ხარჯზე ითამაშე და არა კარგი მომზადების?**

- ასეა. მე ჯერ კიდევ უნდა დავამტკიცო, რომ ძირითადში თამაშს ვიმსახურებ. "ოლიმპთან" ფიფია ყვითლების გამო ვერ ითამაშებდა, იონანიძე ძირითადში არ დააყენეს და მახარაძე მე მენდო. მითხრა, აგერ ბურთი, მოედანი და დაამტკიცე, ნდობას რომ იმსახურებ და ფიფიას და იონანიძეს თუ ჯობიხარო. ეს ჩემთვის უკვე ნდობას ნიშნავდა, როდესაც მათ რანგში განმიხილავს. სხვათა შორის, "ბორჯომთან" თასზე გოლი გავიტანე და ბატონმა თემურმა ძალიან შემაქო.

თუმცა, ვიმეორებ, არც შექება და არც "ოლიმპთან" თამაში არ ნიშნავს, რომ ჩემი თავით კმაყოფილი ვარ. მე რომ მინდა, ის ფორმამდე ჯერ კიდევ ბევრი მიკლია.

**მერაბ მამულაშვილი**



გაგა ჩხეტიანი (შუაში) ოლიმპთან მატჩში

# რა ეშველება ტორპედოს?

ქვეყნის სამგზის ჩემპიონი და თბილისის „დინამოს" შემდეგ ყველაზე ტიტულოვანი ქართული კლუბი ქუთაისის „ტორპედო" ისევ ყოფნა-არყოფნის ზღვარზე იმყოფება. არადა, დიდი იმედი იყო, რომ „ტორპედოს" საკითხით მხარის გუბერნატორის დაინტერესების შემდეგ, კლუბი ფინანსურ არასტაბილურობას საბოლოოდ დააღწევდა თავს. თუმცა ქუთაისური გუნდი კვლავ მოჯადოებულ წრეში იმყოფება. ყველაზე მეტად კი ის არის გასაკვირი, რომ თუკი „სამ ტუზს" გუნდის შენახვა არ სურდა თუ არ შეეძლო, მაშინ აქციების 100% რატომ გადაიფორმა? თუმცა ეს არ არის ერთადერთი პასუხგაუცემელი კითხვა, რომელიც „ტორპედოს" ირგვლივ დაგროვდა.

**ზურაბ ხინიკაძის** წასვლის შემდეგ 3 წელია გუნდს მყარი ფინანსური ზურგი აღარ ჰქონია და დღემდე ფინანსურ კრიზისშია. ბოლოს „ტორპედოს" პატრონობა კომპანია „სამმა ტუზმა" ითავა, „ვისოლის" ინვესტიციასაც ელოდებოდნენ, მაგრამ გვირაბის ბოლოს გამომკრთალი სინათლე მხოლოდ და მხოლოდ მოჩვენებითი აღმოჩნდა. გუნდის დაფინანსების საკითხი ძველებურად გაურკვეველია. „ტორპედოს" ჯერ კიდევ ჩემპიონატის განახლებამდე დაემუქრა დაშლა. უხელფასობით გატანჯული ფეხბურთელები იმუქრებოდნენ — „დავალიანებას თუ არ გაგვისტუმრებენ გუნდში აღარ გავჩერდებითო". მაშინ მათი ნაწილობრივ დაკმაყოფილება მოხერხდა და „ტორპედო" ჩემპიონატში ჩაერთო. კარგადაც თამაშობდა, მაგრამ მძიმე ფინანსურამ ვითარებამ გუნდის ასპარეზობაზე ისევ იმოქმედა. სეზონის განახლებიდან ჯერ ერთი თვეც არ არის გასული და "ტორპედო"კვლავ კრიზისულ მდგომარეობაში ჩავარდა, რასაც გუნდიდან მწვრთნელების წასვლა მოჰყვა.

გუნდში შექმნილი მდგომარეობით ყველა შეშფოთებულია. ხელფასებსა და პრემიებზე საუბარიც ზედმეტია, თუ ვითარება არ გამოსწორდა გუნდში მალე მგზავრობისა და კვების თანხებიც აღარ იქნება. ფეხბურთელები „ტორპედოში" შექმნილ ვითარებას საგანგაშოდ მიიჩნევენ.

**ალექსანდრე ლალაძე:** *„ძალიან ცუდ დღეში ვიმყოფებით. ხელფასი ჩვენ არ გვაქვს და პრემია. შუა სეზონშიც ვერსად წავალთ და იძულებული ვართ, მაისამდე აქ ვითამაშოთ. ეს დროც მალე გავა და თუ მდგომარეობა რადიკალურად არ შეიცვალა, ყველა ჩვენს გზას ვიპოვნით."*

**მამუკა ლონლაძე:** *„სეზონის განახლებამდე რამდენიმე გუნდის ვარიანტი მქონდა მაგრამ „ტორპედოში" დავრჩი, არ მეგონა ასეთი მდიდარი ტრადიციების გუნდი ისევ ამ მდგომარეობაში თუ აღმოჩნდებოდა. ცუდ დღეში ვართ. ამას მწვრთნელების წასვლაც დაერთო."*

როგორც ხედავთ კლუბი ძალიან ცუდ დღეშია ჩავარდნილი. იმედი გვაქვს, რომ გუნდის წარმომადგენლები უახლოეს დღეებში პრესკონფერენციას მოაწყობენ, სადაც ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა.

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

მიიღე მონაწილეობა წამახალისებელ ლატარიაში
ჯეკპოტი გახდა 4000 ლარი!!!
ჩვენი მიზანი თქვენი მოგებაა!
ბილეთის ფასი 2 ლარი
საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა
საინფორმაციო მხარდაჭერა
ოლიმპი
სარბიელი

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადახდა სახლიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს XVIII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა. სტატისტიკა




## სულ

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპი | 16 | 12 | 3 | 1 | 41-6 | 39 |
| 2. დინამო | 16 | 12 | 0 | 4 | 30-13 | 36 |
| 3. ზესტაფონი | 16 | 10 | 5 | 1 | 28-6 | 35 |
| 4. ამერი | 16 | 10 | 4 | 2 | 31-10 | 34 |
| 5. ვიტ ჯორჯია | 16 | 10 | 4 | 2 | 35-18 | 34 |
| 6. სიონი | 16 | 9 | 2 | 5 | 21-13 | 29 |
| 7. ტორპედო | 16 | 8 | 4 | 4 | 18-10 | 28 |
| 8. ლოკომოტივი | 16 | 4 | 4 | 8 | 12-22 | 16 |
| 9. ბორჯომი | 16 | 4 | 4 | 8 | 16-27 | 16 |
| 10. მერანი | 16 | 4 | 4 | 8 | 14-29 | 16 |
| 11. ბათუმი | 16 | 3 | 4 | 9 | 13-16 | 13 |
| 12. ჩიხურა | 16 | 2 | 4 | 10 | 10-27 | 10 |
| 13. დილა | 16 | 1 | 3 | 12 | 9-42 | 6 |
| 14. კახეთი | 16 | 0 | 1 | 15 | 11-50 | 1 |

## შინ

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპი | 8 | 7 | 1 | 0 | 24-3 | 24 |
| 2. დინამო | 8 | 7 | 0 | 1 | 18-5 | 21 |
| 3. ამერი | 8 | 6 | 2 | 0 | 15-2 | 20 |
| 4. ვიტ ჯორჯია | 8 | 6 | 2 | 0 | 20-9 | 20 |
| 5. ზესტაფონი | 8 | 5 | 3 | 0 | 13-1 | 18 |
| 6. ტორპედო | 8 | 5 | 2 | 1 | 11-4 | 17 |
| 7. სიონი | 8 | 5 | 1 | 2 | 12-3 | 16 |
| 8. ლოკომოტივი | 8 | 4 | 1 | 3 | 9-11 | 13 |
| 9. ბორჯომი | 8 | 2 | 3 | 3 | 10-14 | 9 |
| 10. ჩიხურა | 8 | 2 | 3 | 3 | 6-10 | 9 |
| 11. ბათუმი | 8 | 2 | 1 | 5 | 8-9 | 7 |
| 12. მერანი | 8 | 1 | 2 | 5 | 5-16 | 5 |
| 13. დილა | 8 | 0 | 1 | 7 | 2-21 | 1 |
| 14. კახეთი | 8 | 0 | 1 | 7 | 7-21 | 1 |

## სტუმრად

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპი | 8 | 5 | 2 | 1 | 17-3 | 17 |
| 2. ზესტაფონი | 8 | 5 | 2 | 1 | 15-5 | 17 |
| 3. დინამო | 8 | 5 | 0 | 3 | 12-8 | 15 |
| 4. ამერი | 8 | 4 | 2 | 2 | 16-8 | 14 |
| 5. ვიტ ჯორჯია | 8 | 4 | 2 | 2 | 15-9 | 14 |
| 6. სიონი | 8 | 4 | 1 | 3 | 9-10 | 13 |
| 7. ტორპედო | 8 | 3 | 2 | 3 | 7-6 | 11 |
| 8. მერანი | 8 | 3 | 2 | 3 | 9-13 | 11 |
| 9. ბორჯომი | 8 | 2 | 1 | 5 | 6-13 | 7 |
| 10. ბათუმი | 8 | 1 | 3 | 4 | 5-7 | 6 |
| 11. დილა | 8 | 1 | 2 | 5 | 7-21 | 5 |
| 12. ლოკომოტივი | 8 | 0 | 3 | 5 | 3-11 | 3 |
| 13. ჩიხურა | 8 | 0 | 1 | 7 | 4-17 | 1 |
| 14. კახეთი | 8 | 0 | 0 | 8 | 4-29 | 0 |

## ბომბარდირები

| | | |
|---|---|---|
| 1 | გელაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 9 |
| 2-3 | ფიფია (ზესტაფონი) | 8 |
| | დვალიშვილი (ოლიმპი) | 8 |
| 4-8 | იონანიძე (ზესტაფონი) | 7 |
| | გ. დათუნაიშვილი (ვიტ ჯორჯია) | 7 |
| | ტატანაშვილი (ამერი) | 7 |
| | დოლიძე (ამერი) | 7 |
| | იაშვილი (დინამო) | 7 |
| 9 | ფეიქრიშვილი (ვიტ ჯ./დინამო) | 6 |
| 10-14 | წინამძღვრიშვილი (ამერი) | 5 |
| | ა. ალავიძე (სიონი) | 5 |
| | ჩასემი (სიონი) | 5 |
| | ბობოხიძე (დინამო) | 5 |
| | გოჩაშვილი (ლოკომოტივი) | 5 |
| 15-25 | ხუციშვილი (დინამო) | 4 |
| | სირბილაძე (ოლიმპი/დინამო) | 4 |
| | საჯაია (ზესტაფონი) | 4 |
| | გ. ქელიძე (ზესტაფონი) | 4 |
| | ვ. კვარაცხელია (ოლიმპი/ბათუმი) | 4 |
| | გამეზარდაშვილი (ტორპედო) | 4 |
| | კიკნაძე (ბორჯომი/ვიტ ჯ.) | 4 |
| | ქებაძე (ოლიმპი) | 4 |
| | კახელიშვილი (ოლიმპი) | 4 |
| | ს. დავითაშვილი (ამერი) | 4 |
| | გ. მელქაძე (ვიტ ჯორჯია) | 4 |
| 26-37 | შ. ლონლაძე (ზესტაფონი) | 3 |
| | გეწაძე (ოლიმპი) | 3 |
| | ევოჩე (სიონი) | 3 |
| | კაკალაძე (ჩიხურა/ბორჯომი) | 3 |
| | კრასოვსკი (ტორპედო) | 3 |
| | მუშკუდიანი (ტორპედო) | 3 |
| | დვალი (დინამო/ჩიხურა) | 3 |
| | მუჯირი (ბათუმი) | 3 |
| | სახოკია (ვიტ ჯორჯია) | 3 |
| | გაგუა (მერანი) | 3 |
| | აფციაური (ოლიმპი) | 3 |
| | შ. ჯიქია (ბორჯომი) | 3 |
| 38-66 | გ.თოლუა (ოლიმპი) | 2 |
| | გ. ონიანი (ოლიმპი) | 2 |
| | მ. ლონლაძე (ტორპედო) | 2 |
| | გ. მიქაძე (ჩიხურა) | 2 |
| | ნ. ნოზაძე (დილა) | 2 |
| | ვაჩეიშვილი (დილა) | 2 |
| | დ. გოგოლაძე (ბათუმი) | 2 |
| | ნ. დავითაშვილი (კახეთი) | 2 |
| | არუდაშვილი (კახეთი) | 2 |
| | ბოლქვაძე (ამერი) | 2 |
| | კობაიძე (კახეთი) | 2 |
| | ნკემი (ბორჯომი) | 2 |
| | გუშარაშვილი (ლოკომოტივი) | 2 |
| | ყენია (ლოკომოტივი) | 2 |
| | ალავერდაშვილი (ლოკომოტივი) | 2 |
| | მახვილაძე (ოლიმპი) | 2 |
| | ვ. უგრეხელიძე (სიონი) | 2 |
| | ლომაია (ვიტ ჯორჯია) | 2 |
| | გ.მერებაშვილი (დინამო) | 2 |
| | ქემაშვილი (მერანი) | 2 |
| | ა.ნოზაძე (მერანი) | 2 |
| | იმედაძე (ზესტაფონი/ტორპედო) | 2 |
| | კობახიძე (დინამო) | 2 |
| | რ. გოცირიძე (ოლიმპი) | 2 |
| | ბეჟანიძე (ბათუმი) | 2 |
| | ბოიომო (სიონი) | 2 |
| | ა. კვახაძე (ვიტ ჯორჯია) | 2 |
| | ბერიაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 2 |
| | ტეტიაშვილი (კახეთი) | 2 |

## რეალიზებული პენალტები

| | | |
|---|---|---|
| 1-2 | საჯაია (ზესტაფონი) | 3 |
| | გოჩაშვილი (ლოკომოტივი) | 3 |
| 3-4 | კაკალაძე (ჩიხურა/ბორჯომი) | 2 |
| | გ. ონიანი (ოლიმპი) | 2 |
| 5-15 | შ. კაშია (დინამო) | 1 |
| | გ. ქელიძე (ზესტაფონი) | 1 |
| | გამეზარდაშვილი (ტორპედო) | 1 |
| | იონანიძე (ზესტაფონი) | 1 |
| | ბაქრაძე (ბორჯომი) | 1 |
| | ბობოხიძე (დინამო) | 1 |
| | ჩასემი (სიონი) | 1 |
| | ბოლქვაძე (ამერი) | 1 |
| | იმედაძე (ზესტაფონი/ტორპედო) | 1 |
| | იაშვილი (დინამო) | 1 |
| | ბესარაშვილი (მერანი) | 1 |

## გასულდებული პენალტები

| | | |
|---|---|---|
| 1-8 | ტიაგო (ბათუმი) | 1 |
| | შ. კაშია (დინამო) | 1 |
| | ჩომახიძე (ჩიხურა/ლოკომოტივი) | 1 |
| | იაშვილი (დინამო) | 1 |
| | გულორდავა (ლოკომოტივი) | 1 |
| | ფეიქრიშვილი (ვიტ ჯორ./დინ.) | 1 |
| | გაგუა (მერანი) | 1 |
| | ს. დავითაშვილი (ამერი) | 1 |

## მოგერიებული პენალტები

| | | |
|---|---|---|
| 1-5 | ქვაჩახია (ამერი) | 1 |
| | ცინაძე (კახეთი) | 1 |
| | სეფიაშვილი (მერანი) | 1 |
| | ილურიძე (დილა) | 1 |
| | თოთლაძე (ბათუმი) | 1 |

## გოლი+პასი

| | | |
|---|---|---|
| 1-3 | დვალიშვილი (ოლიმპი) | 11 (8+3) |
| | ფეიქრიშვილი (ვიტ ჯ./დინ) | 11 (6+5) |
| | გელაშვილი (ვიტ ჯორჯ) | 11 (9+2) |
| 4-6 | ფიფია (ზესტაფონი) | 10 (8+2) |
| | დოლიძე (ამერი) | 10 (7+3) |
| | იაშვილი (დინამო) | 10 (7+3) |
| 7-8 | ტატანაშვილი (ამერი) | 9 (7+2) |
| | ა.ალავიძე (სიონი) | 9 (5+4) |
| 9-12 | იონანიძე (ზესტაფონი) | 8 (7+1) |
| | წინამძღვრიშვილი (ამერი) | 8 (5+3) |
| | აფციაური (ოლიმპი) | 8 (3+5) |
| | ს. დავითაშვილი (ამერი) | 8 (4+4) |
| 13-14 | ბობოხიძე (დინამო) | 7 (5+2) |
| | გ.დათუნაიშვილი (ვიტ ჯ.) | 7 (6+1) |
| 15-21 | კახელიშვილი (ოლიმპი) | 6 (4+2) |
| | ჩასემი (სიონი) | 6 (5+1) |
| | გ.ქელიძე (ზესტაფონი) | 6 (4+2) |
| | ბოლქვაძე (ამერი) | 6 (2+4) |
| | დილმელაშვილი (ვიტ ჯ./დინ) | 6 (1+5) |
| | სახოკია (ვიტ ჯორჯია) | 6 (3+3) |
| | გ. მელქაძე (ვიტ ჯორჯია) | 6 (4+2) |
| 22-28 | გაგუა (მერანი) | 5 (3+2) |
| | სირბილაძე (ოლიმ./დინ.) | 5 (4+1) |
| | ხუციშვილი (დინამო) | 5 (4+1) |
| | გეწაძე (ოლიმპი) | 5 (3+2) |
| | გამეზარდაშვილი (ტორპ.) | 5 (4+1) |
| | საჯაია (ზესტაფონი) | 5 (4+1) |
| | გოჩაშვილი (ლოკომოტივი) | 5 (5+0) |
| 29-43 | გ. მერებაშვილი (დინამო) | 4 (2+2) |
| | ჯელაძე (ამერი) | 4 (0+4) |
| | ჩომახიძე (ჩიხურა/ლოკო) | 4 (0+4) |
| | ვ.კვარაცხელია (ოლ/ბათ) | 4 (4+0) |
| | დვალი (დინამო/ჩიხურა) | 4 (3+1) |
| | გურული (ტორპედო) | 4 (1+3) |
| | მუშკუდიანი (ტორპედო) | 4 (3+1) |
| | კაკალაძე (ჩიხურა/ბორჯ) | 4 (3+1) |
| | ევოჩე (სიონი) | 4 (3+1) |
| | ქებაძე (ოლიმპი) | 4 (4+0) |
| | შ. ლონლაძე(ზესტაფონი) | 4 (3+1) |
| | კიკნაძე (ბორ/ვიტ ჯორ) | 4 (4+0) |
| | კობახიძე (დინამო) | 4 (2+2) |
| | ნ.დავითაშვილი (კახეთი) | 4 (2+2) |
| | შ.ჯიქია (ბორჯომი) | 4 (3+1) |
| 44-57 | დ.გოგოლაძე (ბათუმი) | 3 (2+1) |
| | მუჯირი (ბათუმი) | 3 (3+0) |
| | მ.ლონლაძე (ტორპედო) | 3 (2+1) |
| | კრასოვსკი (ტორპედო) | 3 (3+0) |
| | ზ.ჩხეტიანი (ტორპედო) | 3 (1+2) |
| | არუდაშვილი (კახეთი) | 3 (2+1) |
| | გ.თოლუა (ოლიმპი) | 3 (2+1) |
| | ვ. უგრეხელიძე (სიონი) | 3 (2+1) |
| | ლ.მანწკავა (მერანი) | 3 (1+2) |
| | ვიეირა (ზესტაფონი) | 3 (1+2) |
| | გუშარაშვილი (ლოკო.) | 3 (2+1) |
| | ლუჟაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 3 (0+3) |
| | რ. გოცირიძე (ოლიმპი) | 3 (2+1) |
| | ტეტიაშვილი (კახეთი) | 3 (2+1) |

## შემცვლელთა გოლები

| | | |
|---|---|---|
| 1 | ტატანაშვილი (ამერი) | 5 |
| 2-3 | ვ.კვარაცხელია (ოლიმპი/ბათუმი) | 3 |
| | ბობოხიძე (დინამო) | 3 |
| 4-9 | ფიფია (ზესტაფონი) | 2 |
| | ქემაშვილი (მერანი) | 2 |
| | კიკნაძე (ბორჯ./ვიტ ჯ.) | 2 |
| | იაშვილი (დინამო) | 2 |
| | ბეჟანიძე (ბათუმი) | 2 |
| | ბერიაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 2 |
| 10-31 | მერებაშვილი (დინამო) | 1 |
| | ტეტიაშვილი (კახეთი) | 1 |
| | დოლიძე (ამერი) | 1 |
| | ჩიმაკაძე (ამერი) | 1 |
| | იონანიძე (ზესტაფონი) | 1 |
| | გალოგრე (ბათუმი) | 1 |
| | წინამძღვრიშვილი (ამერი) | 1 |
| | კრასოვსკი (ტორპედო) | 1 |
| | სევასტოპულო (ამერი) | 1 |
| | ფარტენაძე (ბათუმი) | 1 |
| | ხუციშვილი (დინამო) | 1 |
| | ხოჯავა (ოლიმპი) | 1 |
| | მეღლიშვილი (ამერი) | 1 |
| | გელაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 1 |
| | მ.ლონლაძე (ტორპედო) | 1 |
| | კაკალაძე (ჩიხურა/ბორჯომი) | 1 |
| | მუშკუდიანი (ტორპედო) | 1 |
| | ალავერდაშვილი (ლოკომ.) | 1 |
| | ფურცელაძე (მერანი) | 1 |
| | ბ. ნოზაძე (ზესტაფონი) | 1 |
| | ბენაშვილი (ზესტაფონი) | 1 |
| | კლიმიაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 1 |

## საგოლე პასები

| | | |
|---|---|---|
| 1-3 | დილმელაშვილი (ვიტ ჯ./დინამო) | 5 |
| | ფეიქრიშვილი (ვიტ ჯ./დინამო) | 5 |
| | აფციაური (ოლიმპი) | 5 |
| 4-10 | ს. დავითაშვილი (ამერი) | 4 |
| | წინამძღვრიშვილი (ამერი) | 4 |
| | ბოლქვაძე (ამერი) | 4 |
| | ჯელაძე (ამერი) | 4 |
| | ჩომახიძე (ჩიხურა/ლოკომ.) | 4 |
| | დოლიძე (ამერი) | 4 |
| | ა.ალავიძე (სიონი) | 4 |
| 11-16 | ტატანაშვილი (ამერი) | 3 |
| | გურული (ტორპედო) | 3 |
| | დვალიშვილი (ოლიმპი) | 3 |
| | ლუჟაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 3 |
| | სახოკია (ვიტ ჯორჯია) | 3 |
| | იაშვილი (დინამო) | 3 |
| 17-37 | გ. მერებაშვილი (დინამო) | 2 |
| | კობახიძე (დინამო) | 2 |
| | ბობოხიძე (დინამო) | 2 |
| | ლ. ნოზაძე (დინამო) | 2 |
| | ფიფია (ზესტაფონი) | 2 |
| | ვიეირა (ზესტაფონი) | 2 |
| | განუგრავა (ზესტაფონი) | 2 |
| | რ.ონიანი (ოლიმპი/ზესტაფონი) | 2 |
| | გ.ქელიძე (ზესტაფონი) | 2 |
| | გველესიანი (ვიტ ჯორჯია) | 2 |
| | გ. მელქაძე (ვიტ ჯორჯია) | 2 |
| | ბავჯელიძე (სიონი) | 2 |
| | კახელიშვილი (ოლიმპი) | 2 |
| | გეწაძე (ოლიმპი) | 2 |
| | გაგუა (მერანი) | 2 |
| | გულორდავა (ლოკომოტივი) | 2 |
| | ზ.ჩხეტიანი (ტორპედო) | 2 |
| | ლ. მანწკავა (მერანი) | 2 |
| | შალამბერიძე (ბათუმი) | 2 |
| | ბერიაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 2 |
| | ნ. დავითაშვილი (კახეთი) | 2 |

## დუბლი

| | | |
|---|---|---|
| 1 | დვალიშვილი (ოლიმპი) | 3 |
| 2-4 | გელაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 2 |
| | იაშვილი (დინამო) | 2 |
| | იონანიძე (ზესტაფონი) | 2 |
| 5-23 | გ. ქელიძე (ზესტაფონი) | 1 |
| | სახოკია (ვიტ ჯორჯია) | 1 |
| | სირბილაძე (ოლიმპი/დინამო) | 1 |
| | გოჩაშვილი (ლოკომოტივი) | 1 |
| | ლომაია (ვიტ ჯორჯია) | 1 |
| | გ. მიქაძე (ჩიხურა) | 1 |
| | დ. გოგოლაძე (ბათუმი) | 1 |
| | არუდაშვილი (კახეთი) | 1 |
| | ქებაძე (ოლიმპი) | 1 |
| | ფიფია (ზესტაფონი) | 1 |
| | მუჯირი (ბათუმი) | 1 |
| | ვ.კვარაცხელია (ოლიმპი/ბათუმი) | 1 |
| | მუშკუდიანი (ტორპედო) | 1 |
| | გუშარაშვილი (ლოკომოტივი) | 1 |
| | ევოჩე (სიონი) | 1 |
| | გ.დათუნაიშვილი (ვიტ ჯორჯია) | 1 |
| | ბობოხიძე (დინამო) | 1 |
| | ა.ნოზაძე (მერანი) | 1 |
| | იმედაძე (ზესტაფონი/ტორ.) | 1 |

## ჰეთ-თრიქი

| | | |
|---|---|---|
| 1-4 | დვალი (დინამო/ჩიხურა) | 1 |
| | გ. დათუნაიშვილი (ვიტ ჯორჯია) | 1 |
| | გეწაძე (ოლიმპი) | 1 |
| | ჩასემი (სიონი) | 1 |

## ყველაზე დიდი სხვაობა

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ოლიმპი-კახეთი | 7:0 | (II ტური) |
| 2 | დილა-ვიტ ჯორჯია | 0:6 | (XII ტური) |
| 3-5 | დინამო-დილა | 6:1 | (II ტური) |
| | სიონი-კახეთი | 5:0 | (X ტური) |
| | კახეთი-ოლიმპი | 0:5 | (XV ტური) |

## უხვგოლიანი მატჩები

| | | | |
|---|---|---|---|
| 1-4 | დინამო-დილა | 6:1 | (II ტური) |
| | ოლიმპი-კახეთი | 7:0 | (II ტური) |
| | ბორჯომი-მერანი | 3:4 | (IV ტური) |
| | ვიტ ჯორჯია-ამერი | 4:3 | (XIII ტური) |

## მილებული გოლები

(მატჩების ნახევარზე მეტი)

| | | |
|---|---|---|
| 1 | ბოგლიაშვილი (სიონი) | 3 |
| 2 | მ. ალავიძე (ოლიმპი) | 5 |
| 3 | ჟანტურია (ზესტაფონი) | 6 |
| 4 | ლორია (დინამო) | 8 |
| 5 | ქვაჩახია (ამერი) | 9 |

## მიმდინარე მშრალი სერიები

| | | |
|---|---|---|
| 1 | კოდალაევი (ტორპ./ბორ.) | 205 |
| 2 | სომხიშვილი (ბათუმი) | 184 |
| 3 | მ. ალავიძე (ოლიმპი) | 117 |
| 4 | მამალაძე (ჩიხურა/სიონი) | 97 |
| 5 | ბოგლიაშვილი (სიონი) | 90 |

## ყველაზე ხშირი ანგარიშები

| | | |
|---|---|---|
| 1 | 0:0 | 13 |
| 2 | 1:0 | 12 |
| 3 | 0:0 | 11 |
| 4 | 2:0 | 10 |
| 5 | 3:0 | 8 |
| 6 | 2:1 | 7 |
| 7-8 | 3:1 | 6 |
| | 1:1 | 6 |
| 9 | 0:3 | 5 |
| 10-11 | 0:2 | 4 |
| | 1:3 | 4 |

## წითელი ბარათები

| | | |
|---|---|---|
| 1-25 | ფარტენაძე (ბათუმი) | 1 |
| | ჯინჭარაძე (ბათუმი) | 1 |
| | კარსანიძე (მერანი) | 1 |
| | გ. კვახაძე (ლოკომოტივი) | 1 |
| | ელგაქიძე (ამერი) | 1 |
| | რაზმაძე (ვიტ ჯორჯია) | 1 |
| | კახელიშვილი (ოლიმპი) | 1 |
| | ქარქუზაშვილი (ბორჯომი) | 1 |
| | სანიკიძე (ჩიხურა/სიონი) | 1 |
| | გუშარაშვილი (ლოკომოტივი) | 1 |
| | ბესარაშვილი (მერანი) | 1 |
| | პ. დათუნაიშვილი (ვიტ ჯორ.) | 1 |
| | ლაბაძე (ბორჯომი) | 1 |
| | აბრამიშვილი (დილა) | 1 |
| | მუჯირი (ბათუმი) | 1 |
| | მახვილაძე (ოლიმპი) | 1 |
| | გ. მერებაშვილი (დინამო) | 1 |
| | ნ. ნოზაძე (დილა) | 1 |
| | ტეტიაშვილი (კახეთი) | 1 |
| | მახარაძე (ჩიხურა) | 1 |
| | კეცელაშვილი (ამერი/მერანი) | 1 |
| | დობროვოლსკი (ამერი) | 1 |
| | სპასოევიჩი (დინამო) | 1 |
| | კობახიძე (დილა) | 1 |
| | მალიჩავა (ლოკომოტივი) | 1 |

## მეკარეთა მშრალი სერიები (წუთი)

| | | |
|---|---|---|
| 1 | ჟანტურია (ზესტაფონი) | 829 |
| 2 | მ. ალავიძე (ოლიმპი) | 769 |
| 3 | ქვაჩახია (ამერი) | 520 |
| 4 | ქვაჩახია (ამერი) | 454 |
| 5 | ქვილითაია (ტორპედო) | 339 |
| 6 | ბედიაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 306 |
| 7 | ბათიაშვილი (სიონი) | 305 |
| 8 | ჟანტურია (ზესტაფონი) | 302 |
| 9 | ბოგლიაშვილი (სიონი) | 260 |
| 10 | ბოგლიაშვილი (სიონი) | 256 |

## არბიტრები

(მატჩების რაოდენობა)

| | | |
|---|---|---|
| 1-2 | ვადაჭკორია | 11 |
| | ფანიაშვილი | 11 |
| 3 | კვარაცხელია | 10 |
| 4 | სილაგავა | 9 |
| 5-7 | ხარიტონაშვილი | 8 |
| | მაისურაძე | 8 |
| | კრიჭაშვილი | 8 |
| 8-9 | სანაია | 7 |
| | ბუჩქლიშვილი | 7 |
| 10 | კიკაჩეიშვილი | 6 |
| 11-12 | პ. დოგრაშვილი | 5 |
| | ჭაჭუა | 5 |
| 13-16 | ხეცაძე | 4 |
| | ნონიკაშვილი | 4 |
| | ბუიშვილი | 4 |
| | ელისაბედაშვილი | 4 |

## ყვითელი ბარათები

| | | |
|---|---|---|
| 1 | ბესარაშვილი (მერანი) | 7 |
| 2 | დოლიძე (ამერი) | 6 |
| 3-7 | ქებაძე(ოლიმპი) | 5 |
| | გ. კვახაძე (ლოკომოტივი) | 5 |
| | გუშარაშვილი (ლოკომოტივი) | 5 |
| | გოჩაშვილი (ლოკომოტივი) | 5 |
| | რაზმაძე (ვიტ ჯორჯია) | 5 |

## ავტოგოლი

| | | |
|---|---|---|
| 1-2 | გიგაური (დინამო) | 1 |
| | შ. ლონლაძე (ზესტაფონი) | 1 |

## გასულ ტურში

17 გოლი

(საშუალოდ მატჩში 2.42)

27 ყვითელი ბარათი

(საშუალოდ მატჩში 3.85)

4 წითელი ბარათი

(საშუალოდ მატჩში 0.57)

## ჩემპიონატში

289 გოლი

(საშუალოდ მატჩში 2.58)

361 ყვითელი ბარათი

(საშუალოდ მატჩში 3.22)

25 წითელი ბარათი

(საშუალოდ მატჩში 0.22)

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.kazbegi.com

www.pfl.ge

# არზიანმა ანჟისთან კონტრაქტი გააფორმა

**ზურაბ არზიანი** მახაჩყალის "ანჟიში" ჩაირიცხა. ყაზანის "რუბინიდან" რუსთავის "ოლიმპში" გადასული 19 წლის ნახევარმცველი ისე აღმოჩნდა ახალ გუნდში, საქართველოს ჩემპიონატში მხოლოდ ერთი შეხვედრა ჩაატარა.

ზურა რუსთავში "ოლიმპისა" და "ზესტაფონის" მატჩს დაესწრო და გვითხრა, რომ "ანჟისთან" უკვე გააფორმა ერთწლიანი კონტრაქტი, სეზონის შემდეგ კი ახალ ხელშეკრულებაზე დაილაპარაკებენ. თუმცა არაა გამორიცხული, ეს მანამდეც მოხდეს.

*"ერთწლიანი კონტრაქტი უკვე მზადაა. გუნდში ისიც მითხრეს, რომ სამითვის შემდეგ ხელახლა უნდა დავილაპარაკოთ. თუმცა ეს ჯერ გადასაწყვეტია. სხვათა შორის, იურიდიულად ასეა - სანამ ახალი გუნდი განაცხადში არ შეგიყვანს, ძველ გუნდში თამაშის უფლება გაქვს. ასე შემეძლო "ზესტაფონის" წინააღმდეგაც თამაში. "ანჟი" კი განაცხადში მალე შემიყვანს. მახაჩყალაში ომარ თეთრაძის დანიშვნისთანავე მიწვევდნენ, მაგრამ დროებით საქართველოში თამაში მსურდა. იმედი მქონდა, რომ აქ მწვრთნელები მეტ ყურადღებას მომაქცევდნენ. თუმცა მივხვდი, "ოლიმპის" ძირითადში არ მათამაშებდნენ, გავბრაზდი და მახაჩყალაში წავედი. 19 წლის ბიჭს შეცვლაზე თამაში არ მაწყობდა. თორემ აქ უკვე კონტრაქტი მქონდა გაფორმებული"* - გვითხრა არზიანმა.

სხვათა შორის, საინტერესო დეტალია, რომ "ოლიმპმა" ახალგაზრდა ნახევარმცველს "ანჟიში" წასვლის უფლება უპრობლემოდ მისცა.

*"მე თანხას გუნდს დავუბრუნებ და პრობლემაც აღარ იქნება. რუსეთში 15 მარტს უნდა ჩავიდე"*, აღნიშნა არზიანმა.

**მერაბ მამულაშვილი**

გოგონათა ტურნირი

# მძლეთამძლე ქუნთელია

ვაკეში, "ირაოზე" დასრულდა ტურნირი მინი-ფეხბურთში გოგონათა შორის. ტურნირში, რომელშიც 9 გუნდი მონაწილეობდა, ფეხბურთის ფედერაციის, ეროვნული ნაკრების ოფიციალური ფანკლუბის, ეზოს ფეხბურთის ასოციაციისა და კომპანია "ელიტ ელექტრონიქსის" ორგანიზებითა და მხარდაჭერით გაიმართა. შეჯიბრი 7 მარტს ტურნირი უეფას თავკაცმა **მიშელ პლატინიმ** და ჩვენი ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ნოდარ ახალკაცმა** გახსნეს.

| | |
|---|---|
| **7 მარტი** | |
| ურაგანი- რედ ბული | 1:0 |
| მძლეთამძლე- ვიტამინები | 1:0 |
| ლაიგერები-სასონარკვეთილი დიასახლისები | 0:0 |
| **8 მარტი** | |
| ელიტ ელექტრონიქსი-ვიტამინები | 1:0 |
| ფეოლა-სასონარკვეთილი დიასახლისები | 3:0 |
| ურაგანი-ზიზუ | 0:0 |
| **9 მარტი** | |
| რედ ბული-ზიზუ | 1:1 |
| მძლეთამძლე-ელიტ ელექტრონიქსი | 2:0 |
| ლაიგერები-ფეოლა | 2:0 |
| **ნახევარფინალი** | |
| ფეოლა-ელიტ ელექტრონიქსი | 3:0 |
| ურაგანი-მძლეთამძე | 1:1 (3:4. პენ) |

ფინალში "მძლეთამძლემ" **თამუნა ქუნთელიას** დუბლის წყალობით 2:0 დაამარცხა "ფეოლა".

"მძლეთამძლემ" სახელი გაამართლა და გამარჯვებული გახდა. ქუნთელია კი გოგონათა ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს.

**დავით ცაბაძე**

მწვანე სამყარო
GREEN WORLD

გამწვანება
ფილების დაგება
სარწყავი სისტემა
რკინის კონსტრუქციები
ქვის სამუშაოები
განათება
შადრევნები

ახალი ეპოქა
ჩვენთან ერთად

მისამართი: ალ. ყაზბეგის ქ. 10ა
ტელეფონები: 21-87-97; მობ. 8 (77) 71-87-97; 8 (77) 44-87-97

# იმედაშვილი წავიდა



დავით იმედაშვილი

კიევის "დინამოსა" და საქართველოს ეროვნული ნაკრების მცველი **დავით იმედაშვილი** უკრაინულმა კლუბმა ლატვიის ჩემპიონ "ვენტსპილსში" გაუშვა. თუმცა, როგორც ახლახან გავიგეთ, დათომ "ვენტსპილსიც" მიატოვა. იგი გუშინ თბილისიდან კიევში გაემგზავრა. ლატვიის ჩემპიონიდან წამოსვლის მიზეზებზე კი შემდეგი პასუხი გაგვცა:

*"გუნდში კარგა ხანი ვვარჯიშობდი, მაგრამ ბოლოს აღმოჩნდა, რომ გუნდები ფინანსურ საკითხებზე ვერ შეთანხმდნენ. კიევის "დინამომ" დიდი თანხა მოითხოვა, რასაც "ვენტსპილსი" ვერ იხდიდა. დღეს კიევში უნდა გავფრინდე და იქ უნდა გავარკვიო, სად ვითამაშებ. თუკი რომელიმე გუნდის განაცხადში ჩემი შეყვანა მოხერხდა, ხომ კარგი. თორემ სხვაგვარად რას ვიზამ, წარმოდგენა არ მაქვს... არ დავმალავ, "ვენტსპილსამდე" კიევის "არენალზე" იყო საუბარი, მაგრამ ლატვიელებთან წავედი. ახლა ეს ვარინატი ძალაშია თუ არა, არ ვიცი. "დინამოს" ხელმძღვანელებმა დამაიმედეს, ჩამოდი, კარგი ვარიანტები არისო. ვნახოთ, იმედია, დუბლების იმედად არ დავრჩები".*

რაც შეეხება ლატვიის ჩემპიონიდან მობრუნებულ მეორე ქართველს, **დავით გიგაურს** - გუნდის ხელმძღვანელობა მას ზაფხულში ჩასვლას სთხოვს. მოლაპარაკების დროს "ვენტსპილსსა" და "დინამოს" შორის პატარა გაუგებრობა მოხდა. თუმცა მოთამაშეს ლატვიელთა გენერალური დირექტორი ესაუბრა და უთხრა, რომ მასზე უარი არ უთქვამთ, პირიქით, აყვანა სურთ და კონტრაქტსაც ზაფხულზე გაუფორმებენ.

**მერაბ მამულაშვილი**

| | წავიდნენ | მოვიდნენ |
|---|---|---|
| ოლიმპი | კიკნაძე, ზამთარაძე (მწვრთნელები, ტორპედო) რ. ონიანი (ზესტაფონი), ხოჯავა, ნაჭყეპია (ამერი), სირბილაძე (დინამო), მიმინოშვილი, მიქიაშვილი, ვ. კვარაცხელია, ხოხონიშვილი (ორივე- ბათუმი), გ. თოდუა (მგლები) | რ. ძოძუაშვილი (მწვრთნელი, ტორპედო) ვ. კილასონია (მწვრთნელი) მერლანი (ვეტრა, ლიტვა), რ. გოცირიძე (კამაზ, რუსეთი), არზიანი (რუბინი), ნავალოვსკი (დინამო) ჩხარტიშვილი (დინამო ერევანი), ბერუაშვილი (ტორპედო), ჭიჭვეიშვილი (სიონი) |
| ვიტ ჯორჯია | დილმელაშვილი, ფეიქრიშვილი (ორივე - დინამო) | კიკნაძე (ბორჯომი), იმერლიშვილი (კახეთი) |
| ამერი | ჩანგელია (უკრაინა) კედელაშვილი (მერანი) | მესხი (ჩიხურა), ნაჭყეპია (ოლიმპი), კაკაშვილი (რილსკი, ბულგ.) |
| ზესტაფონი | იმედაძე (ტორპედო), თურმანიძე (ბათუმი), განუგრავა, ბ. გოცირიძე | რ. ონიანი (ოლიმპი), ლეანდრო, ჟონატასი |
| დინამო | ამბროზიო (გრემიო), ახალაია, ბაბუნაშვილი (სიონი), სტურუა (ჩიხურა), გრიგალაშვილი (ბორჯომი), მახარაძე (ჩიხურა) ნავალოვსკი , ნერგაძე (ბათუმი), გიგაური, ქუცურუა (ჩიხურა), დვალი (ჩიხურა) | დილმელაშვილი (ვიტ ჯორჯია) ზელიჩი (ავსტრალია, თავისუფალი აგენტი) კრშკო (ჟილინა), ფეიქრიშვილი (ვიტ ჯორჯია), სირბილაძე, სპასოევიჩი |
| ტორპედო | ძოძუაშვილი (მწვრთნელი, ოლიმპი), გამეზარდაშვილი (სკონტო) ბერუაშვილი (ოლიმპი) მ. ლონლაძე (ლოკომოტივი) | კიკნაძე, ზამთარაძე (მწვრთნელები), კ. კვეტენაძე, მერკვილაძე, ხურცილავა, გ. იმედაძე |
| სიონი | სიჭინავა, შავგულიძე, ბათიაშვილი, ჭიჭვეიშვილი | მამალაძე (ჩიხურა), სილაგაძე, დარასელია (შახტიორი ყარაღანდა), ბაბუნაშვილი (დინამო), ექონია (ბათუმი), კორღალიძე, სანიკიძე, ორბელაძე |
| ლოკომოტივი | ყიფიანი, მხეიძე, ებანოიძე, ცხომარია, მენაბდე, მიხაილიდი, ალავერდაშვილი | სოსელია, წუწუნავა (ორივე - კახეთი) მალიჩავა, სამხარაძე (გაგრა) |
| ბორჯომი | ნკემი, მონგუე, ნაკანი (მერანი), მოდებაძე, კიკნაძე (ვიტ ჯორჯია), ბენდელიანი, ლაბაძე | კვერნაძე, კაიდარაშვილი, კოშკაძე (ბათუმი) ლ. მერებაშვილი (ჩიხურა) საყვარელიძე, მძინარიშვილი (ორივე დილა), გრიგალაშვილი (დინამო), კაკალაძე (ჩიხურა) |
| მერანი | — | კუტივაძე (მწვრთნელი), კედელაშვილი (ამერი), ა. ნოზაძე |
| ჩიხურა | ფეხბურთელთა აბსოლუტური უმრავლესობა | სტურუა, დვალი, ქუცურუა, ჩარგეიშვილი, მახარაძე (ყველა დინამო), მ. მიქაძე, დარჩიძე |
| ბათუმი | ა. მუჯირი (ბაქი), კოშკაძე (ბორჯომი), ნაჭყებია | კერესელიძე, ბარამიძე (დინამო 2), თურმანიძე (ზესტაფონი), შალამბერიძე (მეშაქრე) |
| დილა | ბეგიაშვილი (პრეზიდენტი), მამესწარაშვილი (მწვრთნელი) | ლურსმანაშვილი (პრეზიდენტი), ვარდოსანიძე, ელიაური (მწვრთნელები), დ. ხანიშვილი, კ. ხანიშვილი, ბ. ჩიტაია, გ. ჩიტაია, გონჩაროვი |
| კახეთი | იმერლიშვილი (ვიტ ჯორჯია), ცინაძე, სოსელია, წუწუნავა (ორივე - ლოკომოტივი) | კუპრაშვილი (გურჯაანი) მედოევი, ე. მერებაშვილი |

მოსალოდნელი ტრანსფერები

# რიიკაარდი და რონალდინიო მილანში?

## მწვრთნელი მილანში სახლს ეძებსო, რონალდინიოს ბერლუსკონისთვის უთქვამს, მზად ვარო

იტალიური-პრესის გუშინდელი ინფორმაციით, სეზონის ბოლოს **ფრანკ რიიკაარდმა** შეიძლება, "ბარსელონა" დატოვოს და "მილანის" მწვრთნელი გახდეს. იტალიელი ჟურნალისტების თანახმად, ჰოლანდიელი თურმე მილანში ახალი სახლის ძებნით არის დაკავებული. რიიკაარდს კატალონიური კონტრაქტი 2008 წლის ზაფხულში ეწურება, თუმცა ხელშეკრულებაში ჩადებულია ერთი სპეციალური პუნქტი, რომელიც მწვრთნელს საშუალებას აძლევს, რომ სურვილის შემთხვევაში, "ბარსა" ერთი წლით ადრე დატოვოს. კვირას მილანურ დერბიში წაგებამ კიდევ უფრო გაზარდა იმის ალბათობა, რომ **კარლო ანჩელოტი** "როსონერის" სეზონის დამთავრებისთანავე გამოეთხოვოს. *"ჩემი "მილანში" დარჩენა-არდარჩენის საკითხი პირდაპირ არის დამოკიდებული იმ შედეგებზე, რომლებსაც ამ სეზონში მივაღწევთ* – ხშირად იმეორებს კარლეტო – *ვისურვებდი, რომ კლუბში კიდევ მრავალი წლით დავრჩენილიყავი, მაგრამ ფეხბურთში ყოველთვის ისე არაა, როგორც შენ გინდა".*

ბევრი იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ რა შედეგს მიაღწევს "მილანი" ჩემპიონთა ლიგაში და ასევე ჩემპიონატში, სადაც გუნდი მიზნად პირველ ოთხეულში მოხვედრას ისახავს. დერბიში წაგების შემდეგ "შავ-წითლები" მეოთხე ადგილს ექვსი ქულით დაშორდნენ. იტალიელი მიმომხილველების ერთი ნაწილი დაბეჯითებით აცხადებს, რომ ანჩელოტისთან თანამშრომლობას კლუბის ხელმძღვანელობა მხოლოდ იმ შემთხვევაში გააგრძელებს, თუ გუნდი ჩემპიონთა ლიგის ფინალში ითამაშებს. რიიკაარდის "მილანში" გადასვლაზე საუბრები დიდი ხნის წინ დაიწყო. ბოლო დროს მწვრთნელს ზოგიერთ ფეხბურთელთან და კლუბის დირექტორებთან ურთიერთობა დაეძაბა, რასაც ცუდი შედეგებიც დაერთო და რიიკაარდის "ბარსადან" წასვლის ალბათობაც ძალიან გაიზარდა. იტალიაში თვლიან, რომ თუკი ჰოლანდიელმა მართლა დაიკავა "მილანის" მწვრთნელის პოსტი, მაშინ ანჩელოტიმ შეიძლება გეზი მადრიდისკენ აიღოს, გამომდინარე იქედან, რომ "რეალი" კარლეტოს მიწვევით არის დაინტერესებული.

ამასობაში, იტალიური ვებსაიტი "ილ კუოტიდიანო" აქვეყნებს ცნობას, რომლის თანახმადაც "მილანის" პრეზიდენტ **სილვიო ბერლუსკონისა** და **რონალდინიოს** შორის უშუალო საუბარი შედგა. მას შემდეგ, რაც "ბარსელონა" "ლივერპულთან" ორრაუნდიან დაპირისპირებაში დამარცხდა, ბერლუსკონი გაუჩოს ტელეფონით დაჰკავშირებია."ილ კუოტიდიანოს" თუ ვენდობით, ბრაზილიელს იტალიის ექსპრემიერისთვის უთქვამს, მზად ვარ, "მილანში" გადმოვიდეო. საინტერესოა, რომ რონალდიონიოს ძმა და აგენტი, **რობერტო ასისი** ამ დღეებში მილანშია და "როსონერის" დირექტორატს სტუმ-



რონალდინიო და რიიკაარდი შეიძლება მილანში ვიხილოთ



ჟოზე მოურინიომ მსაჯ მაიკლ რაილის დედა აუგად მოიხსენია

მოსალოდნელი ტრანსფერი

# მოურინიო: რეალი? სიამოვნებით, ოღონდ...

## ჩელსის დამრიგებელმა სათასო მატჩის არბიტრს ბოზის შვილი უწოდა...

"ტოტენჰემთან" ასოციაციის თასის პირველი მეოთხედფინალის შემდეგ (3:3) "ჩელსის" ბოსმა **ჟოზე მოურინიომ** მსაჯ **მაიკ რაილის** "ბოზის შვილი" უწოდა. ის არბიტრის მოქმედებამ არაერთხელ ალაშფოთა. პირველი ტაიმის შემდეგ ჟოზე რაილის გვირაბში წაეკიდა, ხოლო საფინალო სასტვენისთანავე მოედნის კიდიდან შეურაცხმყოფელი ეპითეტით შეამკო. ნამატჩევს მოურინიო საკუთარი ქმედების გამართლებას შეეცადა. მისი თქმით, პორტუგალიული ფრაზა filho da puto (ბოზის შვილი) ხშირად ხმარებული ტერმინია და მაინც და მაინც სხვისი ღირსების ფეხქვეშ გათელვას არ ითვალისწინებს: *"ის, რაც რაილის ვუთხარი, არა ერთხელ მითქვამს საკუთარი თავისთვის, ფეხბურთელებისა და ბურთისთვისაც კი, როცა ის ძელს მოხვედრია. ჩემთვის ეს ძალიან ჩვეულებრივი ფრაზაა, რომელიც პორტუგალიურად ნებისმიერ შემთხვევაში შეიძლება წამოიძახო. თამაშისას მას 50-ჯერ მაინც ვიტყვი ხოლმე, ვარჯიშისას კიდევ 50-ჯერ, მაგრამ ვინმეს შეურაცხყოფა აზრადაც არ მომდის. შეიძლება, ემოციური ვიყო, მაგრამ არასოდეს ვარ უზრდელი. სხვებთან ურთიერთობაში კორექტულობის ზღვარს არასოდეს გადავდივარ. მომეჩვენა, რომ მან "ტოტენჰემის" სასარგებლოდ ბევრი უსამართლო ჯარიმა დანიშნა, მაგრამ სულაც არ მითქვამს, რომ მისმა რომელიმე გადაწყვეტილებამ მატჩის შედეგზე იქონია გავლენა."*

აღსანიშნავია, რომ რაილის მოურინიოს ფრაზები მოხსენებით ბარათში არ შეუტანია. ჟოზეს ლექსიკას მიმომხილველებმა მიაქციეს ყურადღება. საფეხბურთო ასოციაცია ატეხილ ხმაურს უყურადღებოდ ვერ დატოვებს. ის საქმეს შეისწავლის და დარღვევის დაფიქსირების შემთხვევაში "ჩელსის" ბოსს საკადრის სასჯელს გამოუწერს.

მოურინიოზე საუბარს ესპანური სააგენტოების მიერ გავრცელებული ინფორმაციით გავაგრძელებთ. მოგეხსენებათ, ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში "ჩელსი" "ვალენსიას" შეხვდება. სრულიად ლოგიკური იყო, გასულ უქმეებზე "არისტოკრატების" თავკაცი ესპანეთში ჩაფრინდა. ჟოზე "ოსასუნისა" და "ვალენსიის" მატჩს (1:1) დაესწრო. სახელგანთქმული მწვრთნელის ვიზიტი პირენეელ ჟურნალისტებს უყურადღებოდ არ დაუტოვებიათ. "დიარიო მარკას" კორესპონდენტმა ინტერვიუს მომზადება სცადა, მაგრამ პორტუგალიელმა ხანგრძლივი საუბარი არ ისურვა. მან მხოლოდ ერთ კითხვას გასცა პასუხი: ჩვენი კოლეგა დაინტერესდა, რას მოიმოქმედებს "არისტოკრატთა" თავკაცი, თუ მადრიდის "რეალი" მთავარი მწვრთნელობას შესთავაზებს. აი, როგორი პასუხი გასცა სეუ ჟოზემ: *"ამ საკითხზე საუბარი არაეთიკური იქნებოდა. სამეფო კლუბს ფაბიო კაპელო ავარჯიშებს. მას დიდ პატივს ვცემ. ზოგად "რეალში" მუშაობას რაც შეეხება, პირდაპირ ვიტყვი, რომ მადრიდულ გრანდს დიდი სიამოვნებით გავწვრთნიდი, თუმცა არა მომდევნო სეზონში. საქმე ის არის, რომ "ჩელსისთან" გაფორმებულ კონტრაქტს არავითარ შემთხვევაში არ დავარღვევ. ასე რომ, თუ ვინმეს ჩემთან თანამშრომლობა სურს, უმჯობესია, წელიწადნახევრის შემდეგ შემეხმიანოს. მოკლედ, საკუთარი სათქმელი გარკვევით ვთქვი. ერთ მშვენიერ დღეს, სამეფო კლუბს დიდი სიამოვნებით ჩავიბარებდი."*

მოურინიომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მომავალ სეზონში "სანტიაგო ბერნაბეუზე" ვერ გადაბარგდება. მიუხედავად ამისა, ესპანური პრესა მაინც თავისას მიერეკება და მკითხველს არწმუნებს, **პრედრაგ მიატოვიჩი** ლონდონელებთან მოლაპარაკებას უახლოეს მომავალში დაიწყებსო. გენერალურ დირექტორს ეჭვი არ ეპარება, რომ პორტუგალიელის კონტრაქტს უპრობლემოდ გამოისყიდის.

### პეპეს ახალი კონტრაქტი

**პეპე რეინა** "ლივერპულთან" ახალ კონტრაქტს გააფორმებს. 24 წლის მეკარე "ენფილდზე" 2005 წელს, "ვილიარეალიდან" გადავიდა და მას მერე შეუცვლელად იცავს მერსისაიდელების კარს. მოქმედ ხელშეკრულებაში ორი წელია დარჩენილი, მაგრამ "ლივერპულს" თავის დაზღვევა სურს და ფეხბურთელს თანამშრომლობის გაგრძელების გარდა, ხელფასის გაზრდასაც შესთავაზებს. ერთი თვის წინ რეინასა და მის მეუღლეს პირველი ბავშვი შეეძინათ. პეპეს ოჯახი ინგლისში თავს კომფორტულად გრძნობს.

### უემბლი დამთავრდა

ინგლისის საფეხბურთო ასოციაციამ უემბლის გასაღები ჩაიბარა. ლეგენდარულ არენაზე სამშენებლო სამუშაოები დასრულებულია. ოთხწლინახევრიანი გაურკვევლობისა და ფინანსური პრობლემების შემდეგ 800 მილიონ გირვანქად (1.45 მილიარდი დოლარი) შეფასებულ პროექტს წერტილი დაესვა. მსოფლიოს ყველაზე ძვირადღირებული არენა მატჩების სამასპინძლოდ მზადაა. 90-ათასიან არენას პირველად 17 მარტს გამოცდიან. ამ დღეს უსაფრთხოების სისტემებს შეამოწმებენ. 24 მარტს კი ინგლისის ახალგაზრდული ნაკრები იტალიელ თანატოლებს უმასპინძლებს. ეს ახალ "უემბლიზე" გამართული პირველი საფეხბურთო პაექრობა იქნება. ჯერჯერობით უცნობია, ჩატარდება თუ არა ასოციაციის თასის წლევანდელი ფინალი "უემბლიზე". თამაში 19 მაისისთვისაა დაგეგმილი. ყოველი შემთხვევისათვის კარდიფის "მილენიუმ სთედიუმი" დაჯავშნილია.

### ჟილბერტო, იუვე ახალი სამიზნე

"არსენალის" საყრდენი ნახევარმცველი **ჟილბერტო სილვა** "იუვენტუსის" უმთავრესი საზაფხულო სამიზნე იქნება. **დიდიე დეშამი პატრიკ ვიეირას** შემცვლელს ეძებს. მისი აზრით, ჟილბერტოს "ქალბატონისათვის" ფასდაუდებელი სამსახურის გაწევა შეუძლია. მოსიე დიდიეს ლივერპულელი **სტივ ჯერარდის** შეძენაც სურდა, მაგრამ მერსისაიდელებმა "ქალბატონთან" მოლაპარაკების გამართვაც კი არ ისურვეს. სილვას "მეთოფეებთან" კონტრაქტი 2009 წელს ეწურება, მაგრამ ამ ზაფხულს მას შეუძლია, ფიფას ახალი სატრანსფერო კანონმდებლობით ისარგებლოს და საკუთარი კონტრაქტი ვადაზე ადრე, საბაზრო ფასთან შედარებით, ბევრად იაფად, 2 მილიონ გირვანქად გამოისყიდოს.

გაუგებრობა

# შევჩენკო უარყოფს

## გერმანულმა ტელეკომპანია ARD-მ შიდა გამოძიება დაიწყო...

**ანდრეი შევჩენკო** კატეგორიულად უარყოფს კომენტარებს, რომელიც გერმანულმა სამაუწყებლო არხმა ARD-მ მისი სახელით, საკუთარ ვებგვერდზე გამოაქვეყნა. *"ეს სრული სიცრუეა. ამ არხთან არასოდეს მისაუბრია. წარმოდგენა არ მაქვს, ვინ არის ჟურნალისტი, რომელიც ამბობს, რომ ჩემგან ინტერვიუ აილო."* სკანდალურ ინტერვიუს "ჩელსის" პრესსამსახურიც გამოეხმაურა: *"ანდრეი ოფიციალურ კომენტარებს მხოლოდ "ჩელსის" ოფიციალური ვებგვერდისთვის აკეთებს. ის მხოლოდ იმ ჟურნალისტებს ხვდება, რომლებიც ინტერვიუს "ჩელსის" პრესსამსახურთან ათანხმებენ. მისი განცხადებების მოსმენა შესაძლებელია სპონსორების მიერ ორგანიზებულ სალამოებისა და მატჩების შემდეგ გამართულ პრესკონფერენციებზე. ანდრეი და "ჩელსი" ერთობლივად გადაწყვეტენ, თუ რა ზომას მიმართონ გერმანული არხით გავრცელებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით."*

ARD-ს ინტერნეტვერსიაში შევჩენკოს განცხადება ასე ჟღერდა: *"მოურინიო პროფესიონალია, არც მეტი და არც ნაკლები. ის განსწავლული ტაქტიკოსია, რომელსაც მკაცრად ჩამოყალიბებული შეხედულებები აქვს, მაგრამ მე უკეთესი მწვრთნელებიც მყოლია. ჩემს კარიერაში პირველად მოხდა, როცა მწვრთნელმა საჯაროდ განაცხადა, რომ მის სქემაში ვერ ვჯდები. თუ მართლა ასე ფიქრობს, საინტერესოა, რატომ ვარ აქ? მოურინიოს შევხვდი. მითხრა, რომ მისი სიტყვები დაამახინჯეს, მაგრამ გულის სიღრმეში მაინც იმედგაცრუებული ვარ. თუ კლუბის მეპატრონე მკითხავს, რას ვფიქრობ მწვრთნელზე, ჩემს აზრს დაუფარავად მოვახსენებ..."*



შევჩენკო მოურინიოსთან კონფლიქტს კატეგორიულად უარყოფს

შევჩენკოსა და "ჩელსის" მკაცრი კომენტარების შემდეგ, ARD-მ მასალა ვებგვერდიდან ამოიღო და გამოძიება დანიშნა. გერმანული კომპანიის წარმომადგენლები განმარტავენ, რომ შევჩენკოსთან ინტერვიუ რუსულ ენაზე, ტელეფონით მომზადდა და უზუსტობები, როგორც ჩანს, ენას უკავშირდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუპერკლასიკოს შემდეგ. ერთობლივი ინტერვიუ ლიონელ მესისა და გონსალო იგუაინთან

# მიატოვიჩი იწყებს ბრძოლას ბარსელონელი ვარსკვლავისთვის

## თავის დროზე ლეო რივერ პლეიტმა დაიწუნა, მილიონარიოსის შეფებმა ის უპერსპექტივოდ მიიჩნიეს...

**"კანალ პლუსის" ესპანურმა ბიურომ "ადიდასის" ხელშეწყობით ლიონელ მესი და გონსალო იგუაინი ერთობლივ ინტერვიუზე დაითანხმა. ორი ახალგაზრდა არგენტინელი ერთმანეთს სუპერკლასიკოში პირველად შეხვდნენ. სამხრეთამერიკელებმა ჩინებულად იასპარეზეს. ეს განსაკუთრებით ლეო მესიზე ითქმის. "ბარსას" გენიალურმა ფორვარდმა ჰეთტრიკით კატალონიური გრანდი გარდაუვალი წაგებისგან იხსნა. მასზე ახლა მთელი საფეხბურთო სამყარო აღფრთოვანებით საუბრობს. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ "კანალ პლიუსმა" არგენტინელების სტუდიაში მისაწვევად დიდი ენერგია დახარჯა. გეცოდინებათ, მესი და იგუაინი "ადიდასის" სახეები არიან. გერმანულმა კომპანიამ ინტერვიუს ჩაწერაში უდიდესი როლი ითამაშა.**



**- ლეო, სუპერკლასიკოში გატანილი სამი გოლის შემდეგ კარგად გეძინათ?**

- დიახ. სიმართლე გითხრათ, მკვდარივით მეძინა. სიმშვიდე არაფერს დაურღვევია.

**- საფინალო სასტვენის შემდეგ, ბურთი ვინ წაიღო? ის თქვენ ხომ არ დაგრჩათ?**

- არა. მიუხედავად იმისა, რომ ჰეთტრიკი შევასრულე, ბურთი არავინ მომცა (იცინის). ის ბელეტიმ წაიღო და მას შემდეგ თვალითაც არ მინახავს.

**- გონსალო, რა გრძნობა დაგეუფლათ, როცა "ბარსელონამ" 90-ე წუთზე მესამედ გაათანაბრა ანგარიში?**

- საუბედუროდ, "ბარსას" რამდენიმე მიუტევებელი შეცდომა ვაპატიეთ. ყველა პირობა გვქონდა იმისთვის, რომ ისინი მწარედ დაგვესაჯა, მაგრამ ეს ვერ შევძელით. შედეგად, უმნიშვნელოვანესი ორი ქულა დავკარგეთ. გულწრფელად გეტყვით, საკუთარ შესაძლებლობებში ბოლომდე ვიყავით დარწმუნებულები. გახოს ვუთხარი კიდეც, ეს ჩვენი შეხვედრაა და აუცილებლად მოვიგებთ-მეთქი... თუმცა გამარჯვება ბოლო წამს გაგვექცა ხელიდან. ლეოს მესამე გოლმა უდიდესი იმედგაცრუება მომგვარა.

**- მესი, თუ წარმოიდგენდით, რომ "რეალს" სამ გოლს გაუტანდით?**

- არა, ეს წარმოუდგენელი იყო. მართალია, ასეთ შეხვედრებში ყველანაირი სიგიჟე შეიძლება მოხდეს, მაგრამ ვერაფრით ვიფიქრებდი, რომ ჰეთ-თრიკს გამოვკრავდი ხელს. ერთი სიტყვით, ასეთ წარმატებას არ ველოდი.

**- შეხვედრის დაწყების წინ ფრეზე არავინ ფიქრობდა. ყველას გამარჯვება სურდა. საფინალო სასტვენის შემდეგაც გულდაწყვეტილები ჩანდით, თუმცა "სევილიამ" ტარაგონაში წააგო და პირველ ადგილზე დაბრუნდით.**

- ანდალუსიელთა მარცხი ჩვენთვის უდიდესი სიახლე იყო. ძალაინ გაგვიხარდა, რადგან "ბარსელონის" ყოველი მცდელობა და ძალისხმევა ჩემპიონის ტიტულის მოპოვებისკენაა მიმართული.

**- ეთანხმებით იმ მოსაზრებას, რომ სუპერკლასიკოში გულშემატკივრები ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებენ?**

**მესი:** ერთი რამ დაზუსტებით შეიძლება ითქვას. გულშემატკივრებმა ულამაზესი დაპირისპირება იხილეს. თამაში გაიხსნა და მომენტი მომენტზე იქმნებოდა. შეტევები განსაკუთრებით მასშტაბური და მრავალფეროვანი მას შემდეგ გახდა, რაც მთავარმა არბიტრმა ოლეგერი წითელი ბარათით დასაჯა. "რეალი" ფიქრობდა, რიცხვობრივი უპირატესობით უფრო იოლად გაგვისწორდებოდა, მაგრამ უკან დახევას არც ჩვენ ვაპირებდით. 10 კაცით გმირებივით ვიბრძოლეთ. ასე რომ, გულშემატკივრებმა მართლაც უდიდესი სიამოვნება მიიღეს. ღრმად მწამს, რომ "ბარსელონას" მსოფლიოში საუკეთესო ინჩადა ჰყავს. მათ ეს შაბათს კიდევ ერთხელ დაამტკიცეს.

**იგუაინი:** ძალიან დიდი ხანია, ქომაგებს სუპერკლასიკოში ექვსი გოლი არ ენახათ. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, უდიდესი იმედგაცრუება ვიგრძენით, როცა მოპოვებული გამარჯვება ბოლო წამს ამოგვიღეს ჯიბიდან. გულშემატკივრების მონაწილეობას რაც შეეხება, "ბარსას" ინჩადა მართლაც აქტიური და ცოცხალი იყო.

**- ჩემპიონობისთვის ბრძოლაში ერთმანეთის გარდა ყველაზე დიდ საფრთხეს რომელი კლუბისგან ელით, "სევილიისგან" თუ "ვალენსიისგან"?**

**იგუაინი:** ჩემი აზრით, ჩემპიონობის შანსი თქვენს მიერ ჩამოთვლილ ყველა გუნდს აქვს. ნებისმიერი მოწინააღმდეგე ჯეროვნად უნდა დავაფასოთ. თუ ჩემპიონობა გვსურს, აბსოლუტურად ყველას უნდა ვაჯობოთ.

**მესი:** ჩემპიონობის შანსი ოთხ გუნდს გააჩნია. ვფიქრობ, მცდარი და დამღუპველია რომელიმე კონკურენტისთვის მეტი შანსის მიწერა. ღრმად მწამს, რომ უკლებლივ ყველა გუნდი ბოლო ტურამდე იბრძოლებს. გონსალოს ვეთანხმები, პირველობა დიდ ენერგიასა და ძალისხმევას მოითხოვს. ყოველი კონკურენტი საკადრისად უნდა დაფასდეს. ერთი სიტყვით, დიდი შრომა და თავგანწირვა გვმართებს.

**- თავს უფლებას მივცემ, ჩემეული ვარაუდი გამოვთქვა. "სევილია" მიჩვეული არ არის ყოველი ტურის წინ იმ უდიდეს წნეხს გაუძლოს, რაც ჩემპიონობისთვის ბრძოლას ახლავს თან. როგორ გგონიათ, ეს თქვენთვის გარკვეული უპირატესობაა?**

**მესი:** შესაძლოა, არ ცდებოდეთ. "სევილიას" დიდებული შანსი ქონდა სამქულიანი უპირატესობით დაწინაურებულიყო, მაგრამ მათ ეს ვერ შეძლეს და ძალიან გაგვახარეს. ბუნებრივია, "რეალსა" და "ბარსელონას" ჩემპიონობისთვის ბრძოლის გაცილებით დიდი გამოცდილება აქვთ, მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, კონკურენტების წინასწარ ჩამოწერა დამღუპველია. თუმცა ამის შესახებ უკვე ვისაუბრეთ (იცინის).

**იგუაინი:** მეტოქეების ნებისმიერი პრობლემა ჩვენი ინტერესებისთვის უნდა გამოვიყენოთ. "ვალენსიასა" და "სევილიას" სახლში ვხვდებით. ცხადია, ამ შეხვედრებში მხოლოდ გამარჯვებაზე ვიფიქრებთ. გარდა ამისა, უნდა გავითვალისწინოთ, რომ სეზონის დარჩენის ყველა შეხვედრას ისე უნდა მოვეკიდოთ, როგორც ფინალს.

**- ვინ უფრო სწრაფია, მესი თუ დანიელ ალვეში?**

**მესი:** წარმოდგენა არ მაქვს, ვინ უფრო სწრაფია (იცინის).

**- გონსალო, ლეოს თქვენც ახალგაზრდა ფენომენად მიიჩნევთ, თუ როგორც "რეალის" ფეხბურთელი, შეფასებებისას უფრო თავშეკავებული ხართ?**

- მესი დიდი მოთამაშეა. დიახ, მას ფენომენად მივიჩნევ. ბედნიერი ვიქნები, თუ "რეალი" გადაიბირებს. სხვათა შორის, მიატოვიჩმა პირადად მითხრა, რომ ლეოს შესაძენად სერიოზული ბრძოლის წამოწყებას აპირებს. ჩვენი გენერალური დირექტორი ასეთ საკითხებთან დაკავშირებით არასოდეს ხუმრობს.

**- "კამპ ნოუზე" შექმნილ ატმოსფეროზე რას გვეტყვით?**

- მიხარია, რომ ამ ულამაზეს და შთამბეჭდავ სტადიონზე თამაშის საშუალება მომეცა. მთელი შეხვედრის განმავლობაში ტრიბუნებზე გასაოცარი ატმოსფერო იყო გამეფებული. მართალია, "რეალის" ღირსებას ვიცავდი, მაგრამ კატალონიელთა რეაქციები მეც კი მსიამოვნებდა.



**- ლეო, თქვენს გმირობას დავუბრუნდეთ. რა იგრძენით, როცა 90-ე წუთზე მესამედ გაიტანეთ და წაგებული მატჩი გადაარჩინეთ?**

- ენით გამოუთქმელი სიხარული დამეუფლა. ყოველთვის ემოციურია, როცა გადამწყვეტ გოლს ბოლო წუთზე იტან. ბურთის შეგდების წამს თავში უამრავმა აზრმა გამიელვა. ყველაზე სასიამოვნო კი ის იყო, რომ სტადიონზე მოსულ ათასობით გულშემატკივარს უდიდესი სიხარული ვაჩუქე.

**- რონალდიონიომ რა გითხრათ? მის დახმარებას მთელი თამაშის განმავლობაში გრძნობდით?**

- გამოგიტყდებით, ზუსტად არ მახსოვს რა მითხრა. ძალიან აღელვებული ვიყავი. უბრალოდ, ერთმანეთს ვულოცავდით. ცხადია, ფრე ჩვენთვის დამაკმაყოფილებელი არ არის, მაგრამ ობიექტური რეალობის გათვალისწინებით, შედეგით კმაყოფილები დავრჩით. მთავარი ის არის, რომ არ წავაგეთ და ფეხბურთის თამაშით სიამოვნება მივიღეთ.

**- გონსალო, როგორ ფიქრობთ, თქვენს გუნდს ჩემპიონობის რეალური შანსი არ დაუკარგავს?**

- მიუხედავად იმისა, რომ "კამპ ნოუზე" ორი ქულა დავკარგეთ, მანამდე კი რამდენიმე მტკივნეული მარცხი ვიწვნიეთ, პრიმერა დივიზიონის ლიდერს სულ რაღაც ხუთი ქულით ჩამოვრჩებით. რა თქმა უნდა, ჩემპიონობის შანსი არ დაგვიკარგავს. ეს ხომ ცხადზე უცხადესია.

**- ერთ გუნდში თამაში თუ გსურთ?**

**იგუაინი:** ლეოსთან დიდი სიამოვნებით ვითამაშებდი.

**მესი:** რა თქმა უნდა, მეც.

**- ერთმანეთი სუპერკლასიკოზე გაიცანით?**

**მესი:** დიახ. თამაშის დღეს გონსალო პირველად ვნახე. ახლა კი მეორედ შევხვდით. იმედია, დავმეგობრდებით კიდეც.

**- მართალია, რომ "რივერ პლეიტში" გასასინჯად მიხვედით, მაგრამ "მილიონარიოსის"მესვეურებმა სიმაღლის გამო დაგიწუნათ?**

- ბუენოს აირესში ჩავედი და "რივერ პლეიტის" ბაზას მივაშურე. სამწუხაროდ, ამ კლუბის მაშინდელი ხელმძღვანელობა არ მენდო. მათ ჯუჯად მოვეჩვენე და დამიწუნეს. მოგვიანებით, წარმოუდგენლად გამიმართლა და "ბარსელონაში" მოვხვდი. შაბათს სუპერკლასიკოს დასრულების შემდეგ კარლეს რექსაჩს მოვკარი თვალი. მას ხელი ავუწიე და გულითადად მივესალმე. სწორედ რექსაჩი იყო ის ადამიანი, რომელმაც ჩემი ნიჭი დააფასა და ბარსელონაში ჩამომიყვანა.

**- ლეო, ის დღე როცა მარადონა გაიცანით, ერთ-ერთი ყველაზე ბედნიერია თქვენს ცხოვრებაში?**

- ულაპარაკოდ. ჩემთვისა და ნებისმიერი არგენტინელისთვის დიეგო ღმერთია. არასოდეს დამავიწყდება ის ემოციები, როცა ჩემს კერპს ხელი ჩამოვართვი და გავიცანი.

**- გონსალო, "რეალთან" კონტრაქტის გაფორმების წინ არ ფიქრობდით, რომ პრობლემებით დამძიმებულ კლუბში მიდიოდით?**

- არა. მხოლოდ იმას ვაცნობიერებდი, რომ მეოცე საუკუნის საუკეთესო კლუბს ვუკავშირებდი ბედს. ვგრძნობდი, რომ ამ დიადი გრანდის ხელმძღვანელებმა უპირობო ნდობა გამომიცხადეს. მინდოდა და მსურს, გაცემული ავანსები გავამართლო. დარწმუნებული გახლდით, რომ კაპელოს ძირითად შემადგენლობაში ნებისმიერ წამს შეიძლებოდა, დავეყენებინე. ასეც მოხდა, სენიორ ფაბიო ერთ დღესაც მომიახლოვდა და მითხრა, შენ პროფესიონალი ფეხბურთელი ხარ, ადაპტაციისთვის დრო არ გაქვს, ბუცები ჩაიცვი და მოედანზე შედიო. გულწრფელად გეტყვით, არანაირ წნეხში არ მოვქეულვარ, რადგან "რივერ პლეიტისა" და სამეფო კლუბის ცხოვრება ფაქტობრივად, არაფრით განსხვავდება ერთმანეთისგან. არგენტინაშიც ყოველთვის გამარჯვებას მთხოვდნენ.

**- გულწრფელად მითხარით, კაპელო სუპერკლასიკოს მოსაგებად გამზადებდათ? გჯეროდათ ამ ამოცანის რეალობის?**

- ჩვენ იმის გვჯეროდა, რომ დიდ ფეხბურთს ვითამაშებდით. საკუთარ შესაძლებლობებში, რა თქმა უნდა, ეჭვი არ გვეპარებოდა და ვაცნობიერებდით, რომ სამი ქულის მოპოვების შემთხვევაში ჩემპიონობის შანსი გაგვიუმჯობესდებოდა. მაქსიმალურად კონცენტრირებულები და მოტივირებულები ვიყავით.

**- ლეო, მართალია, რომ ამბობენ, მესი ეტოოსა და რონალდინიოს ვერ იტანსო?**

- როცა ასეთ სისულეებს ვიგებთ, გაოცებას ვერ ვმალავთ. ჩვენ არა მარტო თანაგუნდელები, არამედ მეგობრებიც ვართ. მოედანზე და მის მიღმა ფანტასტიკური ურთიერთობა გვაქვს. ეს ჭორები ღიმილს გვგვრის.

**- რა აკლია "ბარსასა" და "რეალს" იმისთვის, რომ უმაღლეს დონეზე ითამაშონ?**

**იგუაინი:** მომავალში თუ ისევე ვიასპარეზეთ, როგორც შაბათს დარწმუნებული ვარ, თამაშებს უფრო იოლად მოვიგებთ. თქვენს კითხვას კონკრეტულ პასუხს ვერ გავცემ. "რეალს" ამოუწურავი პოტენციალი აქვს. იმედია, შესაძლებლობების მაქსიმუმს გამოვამჟღავნებთ და ჩემპიონები გავხდებით.

**მესი:** სულაც არ ვფიქრობ, რომ "ბარსელონა" დაბალ დონეზე ასპარეზობს. შარშანდელისგან განსხვავებით, წელს ნაკლებად გვიმართლებს და შედარებით ცუდ შედეგებს ვაჩვენებთ. აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ერთი ობიექტური გარემოება. ჩვენი მოწინააღმდეგეები ამ სეზონში უფრო სრულყოფილად თამაშობენ.

**- ჩემი აზრით, გუტიმ საოცარი მატჩი ჩაატარა. მეთანხმებით?**

**მესი:** რა თქმა უნდა, გეთანხმებით. მეც ვფიქრობ, რომ გუტი საოცრად კარგად თამაშობდა. საფინალო სასტვენის შემდეგ მაისურა სწორედ მას გავუცვალე.

**იგუაინი:** ხოსე მარიას ფანტასტიკური შესაძლებლობები აქვს. მინდა ვისურვო, რომ გუტისთან ერთად მრავალ სეზონს ჩავატარებ.

**ილია ნიკოლაიშვილი**

დორტმუნდი

# რიობერი გადადგა, ბორუსია ქაოსშია

## ვინ ჩაიბარებს უმძიმეს მდგომარეობაში მყოფ ბორუსიას? რიგში მაგათი, დოლი და ზამერი დგანან...

**შაბათს დორტმუნდის "ბორუსიამ" ბოხუმში 0:2 წააგო და ეს გახლდათ მე-6 მარცხი იმ 8 შეხვედრაში, რომლებშიც BVB-ს იურგენ რიობერმა უხელმძღვანელა. ამ წაგების შემდეგ ვესფალიური კლუბი უკვე სრულფასოვნად ჩაება ბუნდესლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის ბრძოლაში (მე-13 ადგილამდე დაქვეითდა და გასავარდნ ზონას მხოლოდ და მხოლოდ 1 ქულაღა აშორებს). შესაბამისად, სულაც არაა გასაკვირი, რომ 53 წლის მწვრთნელმა, რომელმაც დორტმუნდული კლუბი იანვარში ჩაიბარა, გუშინ განცხადება დაწერა და პოსტიდან გადადგა. მომდევნო ტურში "ბორუსია" "ნიურნბერგს" მასპინძლობს და ამ შეხვედრაში შავ-ყვითლებს უკვე ახალი დამრიგებელი ეყოლებათ, მაგრამ ამ ახლის ვინაობა ჯერჯერობით ცნობილი არ არის. სამაგიეროდ გარკვეულია, რომ ეს არ იქნება თომას ფონ ჰეეზენი, რომელმაც კლუბის ბოსებს ნერვები დააწყვიტა. მაშ ვინ ჩაიბარებს მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილ "ბორუსიას"?**

...არადა, **რიობერისთვის** ყველაფერი ძალიან კარგად დაიწყო. გეხსომებათ, ეს სპეციალისტი "ბორუსიის" თავკაცად იანვრის დასაწყისში დაინიშნა და ამ პოსტზე ჰოლანდიელი **ბერტ ვან მარვიიკი** შეცვალა. რიობერს BVB-სთან კონტრაქტი მხოლოდ სეზონის ბოლომდე აკავშირებდა. იურგენი მუშაობას ჩვეულებისამებრ ენერგიულად შეუდგა და მეორე წრის პირველივე შეხვედრაში, რომელიც მისი, როგორც "ბორუსიის" თავკაცის დებიუტიც გახლდათ, "ბაიერნს" 3:2 მოუგო. ამ გამარჯვების შემდეგ "დორტმუნდის" მრავალრიცხოვან ფანობას იმედი მიეცა, რომ იურგენი შავ-ყვითლებს ფეხზე დააყენებდა, მაგრამ "ბაიერნის" დამარცხებას საშინელი სერია მოჰყვა - სულ 6 წაგება და მხოლოდ 2 მოგება 8 შეხვედრაში. ახლა კი ვესტფალიელებს მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითების საფრთხეც ემუქრებათ.

*"ძალიან მძიმე მდგომარეობაში აღმოვჩნდით. ასეთ დროს საქმე არა რომელიმე პერსონას, თუნდაც მე, არამედ მთლიანად გუნდის სახელს, იმიჯსა და მომავალს ეხება. "დორტმუნდის" მომავალი სერიოზულ საფრთხეშია და მე ამ თამაშს ვერ გავაგრძელებ. ზოგიერთმა ფეხბურთელმა დღემდე ვერ შეიგნო, რომ ელიტიდან გავარდნის საფრთხე რეალურია. არიან ისეთებიც, ვისაც გუნდის მომავალი საერთოდ ფეხებზე კიდია,"* - განაცხადა რიობერმა გუშინ და იქვე დაამატა, ვიმედოვნებ, რომ "ბორუსია" იპოვნის მწვრთნელს, რომელიც ამ უდიდესი ისტორიის მქონე გუნდს გადაარჩენსო. რიობერი 303-ე სპეციალისტია იმ მწვრთნელებს შორის, რომლებსაც ბუნდესლიგის არსებობის მანძილზე (1963 წლიდან) პოსტის დატოვება მოუხდათ.

ჯერ კიდევ მაშინ, როცა იურგენი BVB-ში ინიშნებოდა, ცნობილი გახლდათ, რომ ზაფხულში მას მაინც წასვლა მოუწევდა, რადგან "ბორუსიის" შეფები იმხანად ბილეფელდის "არმინიის" თავკაც **თომას ფონ ჰეეზენს** მოურიგდნენ. ცოტა ხნის წინ ეს უკანასკნელი ბილეფელდური კლუბიდან გაათავისუფლეს და ახლა უმუშევარია. მიუხედავად ამისა, ფონ ჰეეზენმა "ბორუსიის" მწვრთნელად დანიშვნაზე მაინც უარი თქვა და BVB-ს მენეჯერ **ჰანს-იოახიმ ვატცკეს** შეუთვალა, თუ მოვალ, მხოლოდ ზაფხულშიო. "დორტმუნდის" შეფები ამის გამო ძალიან განაწყენდნენ და როგორც მოსალოდნელი იყო, ფონ ჰეეზენს კარი საბოლოოდ მიუხურეს. *"ვერ გავიგეთ, რატომ გვითხრა უარი - ის ხომ უმუშევარია? განა უმჯობესი არ იქნებოდა, რომ ახლავე დაეწყო მუშაობა? ერთი სიტყვით, ფონ ჰეეზენისთვის "ბორუსიის" კარი საბოლოოდ დაიხურა,"* - ამბობს ვატცკე.

ფაქტია, რომ ამ კვირაში ვატცკემ, სპორტულმა დირექტორმა **მიხაელ ცორკმა** და პრეზიდენტმა **რაინჰარდ რაუბალმა** მაგრად უნდა იმუშაონ, რათა შაბათამდე ახალი მწვრთნელი წარადგინონ. ჩვენი გერმანელი კოლეგები წერენ, რომ მათ სამი კანდიდატი ჰყავთ შერჩეული: BVB-ს მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე ფავორიტი ცოტა ხნის წინ "ბაიერნიდან" გაგდებული **ფელიქს მაგათია**. მის გარდა რიობერის შემცვლელად "ჰამბურგის" ექსთავკაცი **თომას დოლი** და თვით გერმანიის საფეხბურთო კავშირის სპორტული დირექტორი **მათიას ზამერი** მოიაზრებიან. შეგახსენებთ, რომ ზამერი "დორტმუნდის" ლეგენდაა. გარდა იმისა, რომ მათიასმა აქტიური სპორტული კარიერის დიდი ნაწილი BVB-ში გაატარა, 2002 წელს "ბორუსია" მწვრთნელის რანგში უკანასკნელად გახადა გერმანიის ჩემპიონი. გერმანული პრესა წერს, რომ ვატცკემ მოლაპარაკებები სამივე კანდიდატთან წამოიწყო. სავარაუდო კანდიდატებს შორისაა კიდევ ერთი ლეგენდარული დორტმუნდელი, 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონი **იურგენ კოლერიც**.

შეგახსენებთ, რომ "დორტმუნდმა" 1999/2000 წლების სეზონშიც ორჯერ გამოიცვალა მწვრთნელი. მე-18 ტურის შემდეგ, მაშინ შეფებმა **მიხაელ სკიბე** გაათავისუფლეს, რის შემდეგაც, გუნდს 11 ტურის მანძილზე **ბერნდ კრაუსმა** უხელმძღვანელა. "ბორუსიას" მაშინაც მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითება ემუქრებოდა, მაგრამ კრაუსის შემდეგ დანიშნულმა დუეტმა (მათიას ზამერი, **უდო ლატეკი**), ბოლო 5 ტურში BVB კატასტროფისგან იხსნა.



იურგენ რიობერი

■ ■ ■

ვესტფალიელებმა პირველი წრე მე-9 ადგილზე დაასრულეს და სწორედ ამას შეეწირა **ვან მარვიიკი**, რადგან "დორტმუნდს" მიზნად უეფას თასის საგზურისთვის ბრძოლა ჰქონდა დასახული. არადა, რიობერის ხელში "ბორუსია" კიდევ უფრო ჩამოქვეითდა: მეორე წრის ცხრილში BVB მე-17 ადგილზეა (8 თამაშში მხოლოდ 6 ქულა) და ის, რომ "დორტმუნდი" საერთო ცხრილში ჯერ კიდევ არ არის გასავარდნ ზონაში, სწორედ პირველ წრეში, ვან მარვიიკის დროს მიღწეული შედეგების დამსახურებაა.

"ბოხუმთან" წაგების შემდეგ "ბორუსიის" 200-მდე ქომაგმა გუნდის ავტობუსი ალყაში მოაქცია და ადგილიდან დაძვრის საშუალება არ მისცა. ფანები ფეხბურთელებთან შეხვედრას ითხოვდნენ, სანამ პირადად არ დაგველაპარაკებიან, აქედან ფეხს არ მოვიცვლითო. შესაბამისად, მოთამაშეები იძულებულები გახდნენ, ავტობუსიდან ჩასულიყვნენ და გულშემატკივრებისგან სალანძღავი სიტყვები მოესმინათ. ეს ყველაფერი დაახლოებით 1 საათის მანძილზე გაგრძელდა.

ყველაზე მძიმე მდგომარეობაში ვეტერანი მცველი **კრისტიან ვიორნსი** აღმოჩნდა - ფანებს ყველაზე მეტი პრეტენზია სწორედ მასთან ჰქონდათ. გულშემატკივრებმა არანაკლებ მძიმე საუბარი გაუმართეს **კრისტოფ მეტცელდერსაც**, მეტადრე იმის გამო, რომ ეს უკანასკნელი "ბორუსიასთან" კონტრაქტს არ აგრძელებს და მადრიდის "რეალთან" აწარმოებს მოლაპარაკებებს. *"ჯერჯერობით არ ვნერვიულობ, რადგან ჩვენი ბედი ჩვენსავე ხელშია. "დორტმუნდის" მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითება გამორიცხულია,"* - აცხადებს ვიორნსი. კრისტიანის ამ მოსაზრებას არ იზიარებს **სებასტიან კელი**: *"თუკი ვინმე დღემდე ვერ მიხვდა, რომ მძიმე მდგომარეობაში ვართ, ეს მისი პრობლემაა."*

რიობერთან ერთად წავიდა მის ასისტენტი **შტორკიც**, რომელსაც წინა კვირაში მეკარე **რომან ვაიდენფელერთან** მოუვიდა ჩხუბი. მოკლედ, BVB-ს მძიმე კვირა ელის...

**გოტფრიდ ლენცი**







ვიორნსი, მეტცელდერი და ვაინდერფელერი ფანების დამშვიდებას ცდილობენ

შალკე

# სლომკა: კმაყოფილი ვარ!

## მიუხედავად კრიზისისა, მირკო ახალ კონტრაქტს მიიღებს...

ყველასათვის კეთილი და რბილი **მირკო სლომკა** შაბათს აყვირდა. "შალკეს" მწვრთნელი თავის შეგირდებს აუყვირდა და ამის მიზეზი ის გახლდათ, რომ გელზენკირხენელებმა ისევ ჩასვრილებივით ითამაშეს (1:1 ჰანოვერში) და აგერ უკვე 4 ტურია, გამარჯვება აღარ უზეიმიათ. თუმცა "შალკე" ბუნდესლიგის სატურნირო ცხრილს მაინც ლიდერობს და იმის გამო, რომ გასულ უქმეებზე S04-ის სამივე კონკურენტმა ფრე ითამაშა ("შტუტგარტმა" ვოლფსბურგს ვერ მოუგო, "ბაიერნი"-"ვერდერი" კი 1:1 დასრულდა), მდევრებთან ისეთივე უპირატესობა აქვს, როგორიც ტურის წინ ჰქონდა.

მხოლოდ 2 ქულა ბოლო 4 თამაშში და თანაც, "შალკე" ძალიან ცუდად გამოიყურება (რომ არა მეკარე **ნოიერი**, "ხუმარები" ჰანოვერში სულაც წააგებდნენ). მიუხედავად ამისა, სლომკა აი, ამას ამბობს: *"ჩვენ ჯერ კიდევ ლიდერები ვართ. სხვისი არ ვიცი, მაგრამ პირადად მე კმაყოფილი ვარ!"* არადა, მის გუნდს თავდაჯერებისა და ჩემპიონურობის აღარაფერი ეტყობა. მიუხედავად ამისა, დადგა დრო, სლომკამ **ლევან კობიაშვილის** გუნდთან ახალი კონტრაქტი გააფორმოს. მირკო გუნდის ბოსებს ახალ ხელშეკრულებაზე ზუსტად ერთი თვის წინ მოურიგდა, მაგრამ მაშინ თქვა, ახალ კონტრაქტს ხელს მხოლოდ მომდევნო თამაშის შემდეგ მოვაწერ და ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იმ მატჩს წარმატებით დავასრულებთო. მაგრამ "შალკეს" მას მერე არცერთი შეხვედრა აღარ მოუგია და ამიტომაცაა, სლომკას კონტრაქტს ვადა ჯერ ისევ ზაფხულამდე რომ აქვს.

თუმცა ამ კვირაში მენეჯერი **ანდრეას მიულერი** მირკოს თავის კაბინეტში კიდევ ერთხელ დაიბარებს და კონტრაქტზე ხელის მოწერას მოსთხოვს. *"მან თქვა, რომ ახალ ხელშეკრულებას წარმატების შემდეგ გააფორმებდა. ჰანოვერში არ წავაგეთ, ასე რომ, შეუძლია კონტრაქტს ხელი მოაწეროს,"* - ამბობს მიულერი და მას პრინციპში სლომკას ეთანხმება, რადგან აცხადებს, ეს ფრე ჩვენთვის წარმატება იყოო. შეგახსენებთ, რომ "შალკეს" ახლა ორი უმძიმესი მატჩი ელის: კობი და კომპანია მომდევნო ტურში მესამეადგილოსან "შტუტგარტს" მასპინძლობს, მერე კი მიუნხენში ჩადის...

### ეინდჰოვენს ალექსი გამოაკლდა

"ეინდჰოვენს" ბრაზილიელი მცველი **ალექსი** დაუშავდა. ამ უქმეებზე, "ექსელსიორთან" მატჩში (0:0), ფეხბურთელმა მუხლი დაიზიანა და ზაფხულამდე, შეიძლება, ველარ ითამაშოს. ის "ლივერპულთან" ჩემპიონთა ლიგის ორივე მეოთხედფინალს გამოტოვებს. ალექსის შეძენა "ჩელსის" სურს. ფეხბურთელს სხვა ევროპული გრანდებიც უთვალთვალებენ.

### ტრეზეგე სამ მატჩს გამოტოვებს

**დავიდ ტრეზეგეს** სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიესაჯა. 29 წლის თავდამსხმელი დამნაშავედ ცნეს შაბათს, "ბრეშასთან" მატჩისას მომხდარ ინციდენტში. "იუვენტუსმა" შეხვედრა პირწმინდად წააგო, 1:3. ტრეზეგემ მეტოქესთან ანგარიშის გასწორება ხულიგნური მეთოდით ცადა. მან ბრეშელ მცველ **ფაბიანო სანტაკროჩეს** სახეში იდაყვი უთავაზა. მსაჯს ეპიზოდი მხედველობიდან გამორჩა, სამაგიეროდ, სადისციპლინო კომისიამ დავიდის დანაშაულის ამსახველი ვიდეოფირი მოიპოვა და ფეხბურთელი მის საფუძველზე გაასამართლა. წაგების მიუხედავად, "იუვეს" პოზიციები არ დაუთმია. ის სერია B-ს კვლავაც ერთპიროვნულად ლიდერობს და მდევარ "ნაპოლის" ერთი ქულით უსწრებს.

არსენალი. საკადრო პრობლემები

# ანრიმ სეზონი დაასრულა

## ადებაიორს სასჯელი დაუმძიმეს, ვან პერსი ორ თვეში დაბრუნდება...

**ტიერი ანრი** "არსენალს" სეზონის ბოლომდე ვერ დაეხმარება. ლონდონურმა კლუბმა ინფორმაცია შაბათს გაავრცელა. ფრანგმა თავდამსხმელმა "ეინდჰოვენთან" ჩემპიონთა ლიგის მატჩში მუცლის კუნთი და საზარდული დაიზიანა. **არსენ ვენგერის** თქმით, იძულებითი შვებულება სამ თვეს გასტანს. მისი არყოფნა დიდი დანაკლისი იქნება გუნდისთვის, რომელსაც მხოლოდ ერთი მიზანი ამოძრავებს: პრემიერლიგის ოთხეულში მოხვედრა, რაც მას გაისად ჩემპიონთა ლიგაში თამაშის საშუალებას მისცემს. ბოლო წლებში ანრი "არსენალის" უცვლელი ბომბარდირია. ბოლო ხუთი სეზონიდან ოთხში ის ინგლისის ჩემპიონატის საუკეთესო გოლეადორიც იყო. "არსენალმა" ოთხეულში მოხვედრის გარდა, ყველა სხვა შანსი ბოლო ორ კვირაში გაანიავა - წააგო ლიგის თასის ფინალი "ჩელსისთან", სამი დღის შემდეგ დამარცხდა "ბლექბერნთან" და ინგლისის ასოციაციის თასს გამოეთიშა და ბოლოს, "ეინდჰოვენმა" ჩემპიონთა ლიგიდან დაითხოვა.




ტიერი ანრი

ანრის ტრავმის გამო თავდასხმის ტვირთი ტოგოელ **ემანუელ ადებაიორს** დააწვება. ის ერთ-ერთია იმ სამი ფეხბურთელიდან (**ემანუელ ებუესა** და **კოლო ტურესთან** ერთად), რომელსაც ლიგის თასის ფინალის შემდეგ დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს. საფეხბურთო ასოციაციამ ადებაიორს ავტომატურ სამმატჩიან დისკვალიფიკაციაზე კიდევ ერთი თამაში დაუმატა. დაშავებულია ანრის მუდმივი პარტნიორი თავდასხმაში **რობინ ვან პერსი**, ტერფის ტრავმის გამო ის იანვრის შემდეგ ვერ თამაშობს და მინდორს ორ თვეში დაუბრუნდება. მწყობრში არიან სხვა ფორვარდები - "რეალიდან" იჯარით გადაყვანილი **ჟულიო ბაპტიშტა**, აგრეთვე თინეიჯერები, **ჟერემი ალიადიერი** და **თეო უოლკოტი**.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფრანც ბეკენბაუერი

ინტერვიუ ფრანც ბეკენბაუერთან

# ბაიერნს ვარსკვლავები სჭირდება, აღარ ვიძუნწებთ

## კაიზერი ფულის დახარჯვის მომხრეა, თუნდაც ეს ვარსკვლავები დიეგო, ან ვან დერ ვაარტი იყვნენ

**"ბილდ ამ ზონთაგისთვის" მიცემულ ინტერვიუში "ბაიერნის" პრეზიდენტი და გერმანული ფეხბურთის ცოცხალი ლეგენდა ფრანც ბეკენბაუერი ამბობს, რომ ზაფხულის სატრანსფერო ბაზარზე მიუნხენური კლუბი აღარ იძუნწებს. კაიზერ-ფრანცი ღიად აცხადებს, რომ ფულის დახარჯვის მომხრეა, რადგან მისი აზრით, დროა, "ბაიერნს" ახალი სისხლი გადაესხას. ბეკენბაუერი ამბობს, რომ ბავარიულ გიგანტს ნამდვილი ვარსკვლავები სჭირდება და რომ მხოლოდ შლაუდრაფის, სოსასა და ჰამით ალთინთოფის გადაბირება მომავალი სეზონისთვის საკმარისი არაა - კაიზერს "ვერდერის" ათიანი დიეგო და "ჰამბურგის" ფლეიმეიქერი რაფაელ ვან დერ ვაარტი მოსწონს. გარდა ამისა, ბეკენბაუერი პოდოლსკისა და შვაინშტაიგერის კრიზისში ფელიქს მაგათს ადანაშაულებს და ამხელს საიდუმლოს, რომ ზამთარში რიკელმეს ყიდვა ძალიან უნდოდა, მაგრამ არგენტინელი მაგათმა არ მოისურვა...**

**- ჰერ ბეკენბაუერ, ოტმარ ჰიტცფელდმა არაერთხელ გაიმეორა, რომ სეზონის დასრულების შემდეგ "ბაიერნთან" კონტრაქტის გაგრძელებას არ აპირებს. როგორ ფიქრობთ, ჯერ კიდევ არის შანსი, რომ "გენერალმა" გადაწყვეტილება შეცვალოს?**

- ოტმარი სწორად იქცევა, როცა ამბობს, რომ "ბაიერნიდან" წავა. სხვა რამე რომ თქვას, სპეკულაციები დაიწყება, ეს კი არავის უნდა.

**- ის ხომ ფაქტია, რომ თქვენ მისი შენარჩუნება გსურთ?**

- მოდით, ასე ვიტყვი: ასეთი ჰიტცფელდი არასდროს მინახავს. 2004 წლამდე მან "ბაიერნში" 6 წელი იმუშავა და ასე მონდომებული და მოტივირებული მაშინაც არ ყოფილა, როცა ჩვენი გუნდის მწვრთნელი პირველად გახდა. ბოლო ორ კვირაში ოტმარს იმაზე ხშირად ვესაუბრე, ვიდრე იმ ექვსწლიან პერიოდში. დიახ, მე მსურს, რომ კონტრაქტი ერთი ან ორი წლით გაახანგრძლივოს. ული ჰიონესი და კარლ-ჰაინც რუმენიგეც ამ აზრზე არიან.

**- მაგრამ თუ ჰიტცფელდი ამ საკითხზე დუმილს ამჯობინებს, შეუძლია კი "ბაიერნს", რომ ოტმარის პასუხს ბოლო ტურამდე დაელოდოს?**

- ბოლო ტურამდე ლოდინი ნამდვილად არ დაგვჭირდება. ჰიტცფელდი საბოლოო გადაწყვეტილებას გაცილებით ადრე მიიღებს. ვფიქრობ, ეს აპრილში მოხდება.

**- როგორ გგონიათ, რამ შეცვალა ჰიტცფელდი? ახლა ის გუნდს საღამოობითაც ავარჯიშებს, რაც ადრე "ბაიერნში" არასდროს მომხდარა...**

- ჰო, ეს მეც გავიგე. ჰიტცფელდმა კლინსმანისგან რამდენიმე იდეა "მოიპარა", მათ შორის ესეც. ოტმარი ძალიან გულახდილი და ღია გახდა. რაც მთავარია, ორწელიწადნახევრიანი პაუზის შემდეგ, ისევ აღფრთოვანებულია თავისი სამსახურით. მისი ეს მონდომება გუნდსაც გადაედო, რაც ძალიან გვიხარია.

**- ბევრი ფიქრობს, რომ პირველივე კრიზისის დროს ფელიქს მაგათის გათავისუფლება შეცდომა იყო...**

- ფეხბურთელები მაგათის გამო ჯერ კიდევ პირველ წრეში წუხდნენ. განსაკუთრებით ახალგაზრდა მოთამაშეები ჩიოდნენ, ფელიქსი კომუნიკაბელური არ არის, საერთოდ არ გველაპარაკება და მატჩების შემდეგ ისიც კი არ ვიცით, კარგად ვითამაშეთ თუ არაო. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაგათს მაინც მივეცით შანსი, გუნდი კრიზისიდან გამოეყვანა, რადგან ფელიქსი ამას იმსახურებდა. მაგრამ მან ეს შანსი ვერ გამოიყენა და ჩვენც იძულებულები გავხდით, სასწრაფოდ მოგვეხდინა რეაგირება. პირადად მე, ვფიქრობ, რომ ეს სწორი გადაწყვეტილება იყო.

**- ე.ი. მაგათის გათავისუფლება თქვენი იდეა იყო?**

- არა. იმ დროს მე დუბაიში გახლდით. რუმენიგემ და ჰიონესმა დამირეკეს და მითხრეს, მაგათს ვათავისუფლებთ და მის ნაცვლად ჰიტცფელდი მოგვყავსო...

**- გამოდის, რომ თქვენ ჰიტცფელდთან მოლაპარაკებებში მონაწილეობა არ მიგიღიათ...**

- ასეა. ეს სულაც არ იყო საჭირო. მოლაპარაკებებისთვის ჩვენ რუმენიგე და ჰიონესი გვყავს, მაგრამ ასეთი გადაწყვეტილებების მიღება, რა თქმა უნდა, ჩემთან შეთანხმებით ხდება ხოლმე. ასე იყო მაგათის გათავისუფლებისა და ჰიტცფელდის დანიშვნის შემთხვევაშიც.

**- მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ბასტიან შვაინშტაიგერისა და ლუკას პოდოლსკის მარგი ქმედების კოეფიციენტი კატასტროფულად დაეცა. რატომ ვერ გათვალეთ, რომ ასე მოხდებოდა?**

- პოლდი და შვაინი ძალიან კარგი ბიჭები არიან. მუნდიალზე ორივემ შესანიშნავად ითამაშა, მერე კი დაიწყო რეკლამები და წვეულებები, რასაც ის მოჰყვა, რომ ლუკასსაც და ბასტიანსაც პრობლემები შეექმნათ. ასეთ დროს ფეხბურთელი პროფესიაზე ხშირად ველარ ფიქრობს და სხვა საქმიანობებითაა დაკავებული. მათ ეგონათ, რომ ამ სეზონშიც ყველაფერი ისე იქნებოდა, როგორც მუნდიალზე. ის კი დაავიწყდათ, რომ საკუთარ თავზე მუშაობის შეწყვეტა ორივეს ფორმიდან ამოაგდებდა.

**- ჰიონესს, რუმენიგესა და მაგათს მათთვის ჭკუა უნდა ესწავლებინათ...**

- ჰო, ამაში გეთანხმებით, მაგრამ ასეთ დროს საჭირო სიტყვების მოძებნა ძალიან ძნელია. ახალგაზრდა ფეხბურთელს განსაკუთრებული მოპყრობა სჭირდება, მწვრთნელი ძალიან ფრთხილად უნდა იყოს და სანამ პირს გააღებს დიდხანს უნდა იფიქროს. შესაძლოა, მაგათი პოდოლსკისა და შვაინშტაიგერს ძალიან მკაცრად მოექცა და თავისი სიტყვებით ისინი კიდევ უფრო დათრგუნა, მაგრამ ამის გამო ფელიქსს ვერ გავაკრიტიკებ, რადგან მას თავისი სტილი აქვს და ზოგჯერ მართლაც დესპოტი მწვრთნელია. არადა, ახალგაზრდა ადამიანებს ყოველთვის სხვანაირი მოპყრობა სჭირდებათ. ისინი შეფისგან თავზე ხელის გადასმას ელიან ხოლმე და ეს ძალიან ახარებთ. მე ვფიქრობ, რომ ნებისმიერი მწვრთნელი ასე უნდა მოიქცეს. აი, ხომ ხედავთ, პოდოლსკი ჰიტცფელდის ხელში ათამაშდა. მართალია, მთლად ისე არა, როგორც მუნდიალზე, მაგრამ გაცილებით უკეთ გამოიყურება და ნელ-ნელა გოლების გატანაც დაიწყო.

**- და შვაინშტაიგერი?**

- შვაინი ფორმაში არაა და ძველი კონდიციების აღსადგენად ალბათ დრო დასჭირდება.

**- მოდით, მომავალზე ვისაუბროთ. "ბაიერნმა" კონტრაქტები გაუფორმა იან შლაუდრაფს, ჰამით ალთინთოფს და ხოსე ერნესტო სოსას. სატრანსფერო პოლიტიკით კმაყოფილი ხართ?**

- ვფიქრობ, ძირეული ცვლილებების დრო დადგა. მე უკვე ვუთხარი ჰიონესსა და რუმენიგეს, რომ მომავალი სეზონისთვის მხოლოდ ეს სამი ტრანსფერი საკმარისი არ არის. გვეძლევა იმის შანსი, რომ "ბაიერნს" ახალი სისხლი გადავუსხათ და ეს შანსი აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ. ჰიტცფელდსაც ვუთხარი, თუ კონტრაქტს გააგრძელებ და ჩვენთან დარჩები, გუნდი შენ უნდა გააძლიერო-მეთქი.

**- ანუ?**

- მოკლედ, მე არაფერი მაქვს იმის საწინააღმდეგო, რომ ფული დავხარჯოთ. "ბაიერნი" უნდა გაძლიერდეს, ეს აუცილებელია. ადრე ტრანსფერების დროს ზედმეტად ძუნწები ვიყავით.

**- მარკ ვან ბომელი გუნდის ერთ-ერთ ლიდერად ჩამოყალიბდა, მაგრამ ის მაინც არ არის გუნდის წინამძღოლი...**

- ვიცი, ულისა და კალეს ამაზეც ვესაუბრე. სიმართლე გითხრათ, ზამთარში ხუან რომან რიკელმეს გადმობირება ძალიან მინდოდა, მაგრამ არგენტინელის ყიდვა მაგათმა იუარა. ფელიქსს რიკელმე არ უნდოდა, არადა, თანხმობა რომ ეთქვა, არგენტინელს მაშინვე ვიყიდდი.

**- კიდევ არსებობენ ისეთი ახალგაზრდა გერმანელი ფეხბურთელები, რომლებიც "ბაიერნს" აინტერესებს?**

- ვფიქრობ, რომ გერმანიაში ბევრი ტალანტია, მაგრამ ევროპაში დომინირება გვსურს. ახლა "ბაიერნს" ნამდვილი ვარსკვლავები, დიდი პერსონები სჭირდება. ინვესტირების მომხრე ვარ. თუნდაც დიეგო ვიყიდოთ, რომელსაც ბურთის დაჭერა და სენსაციური დრიბლინგების განხორციელება შეუძლია. ანაც რაფაელ ვან დერ ვაარტი, რომელიც გენიალური ფეხბურთელია.

**- მიხაელ ბალაკს რატომ არ აბრუნებთ? ის ხომ "ჩელსიში" არც ისე ბედნიერია...**

- სიამოვნებით, მაგრამ ბალაკი აქ აღარ ჩამოვა, რადგან ეს მისთვის პირადი მარცხი იქნება...

**- მაგრამ "ჩელსიში" ცუდად თამაშობს, იქნებ წამოვიდეს?**

- იცით, მე ყოველთვის ვეკითხებოდი ჩემს თავს, რატომ გადაიბირა "ჩელსიმ" ბალაკი. მათ მის პოზიციაზე ხომ ლემპარდი ჰყავთ, მიხაელი კი როგორღაც ამოვარდნილია. შესაძლოა, ლონდონელებმა ასეთი ნაბიჯი იმის გამო გადადგეს, რომ ბალაკით "მანჩესტერიც" იყო დაინტერესებული. მე ვფიქრობ, რომ მიხაელი "მანჩესტერში" უფრო უკეთესად ჩაჯდებოდა.

**გოტფრიდ ლენცი**

კრიზისი

# პსჟ: გავარდნა რეალურია

კვირას, "პარი სენ ჟერმენმა" "ოსერთან" საშინაო მარცხი იწვნია (0:1) და უსაფრთხო ზონას ორი ქულით დაშორდა. ეს იყო სეზონის მეშვიდე წაგება "პარკ დე პრენსზე". გუნდის თავკაცმა **პოლ ლე გენმა** განგაშის ზარებს შემოჰკრა და აღიარა, რომ ვითარება შემაშფოთებელია. უმაღლეს დივიზიონში 33-წლიანი მოღვაწეობის შემდეგ პარიზელებს გავარდნა ემუქრებათ (კლუბი 1970 წელს დაარსდა, 1974 წლიდან კი ელიტურ ლიგაში ასპარეზობს). 28 ტურის შემდეგ მათ აქტივში მხოლოდ 28 ქულაა. მომდევნო ორ ტურს კლუბი სტუმრად ჩაატარებს. ის ჯერ "რენს", შემდეგ კი "ლანსს" შეხვდება. პირველი ლიგიდან სამი კლუბი ვარდება. ჩემპიონატის დასრულებამდე 10 ტურით ადრე გასავარდნ ზონაში "ნანტი", პსჟ და "სედანი" იმყოფებიან.

ლე გენი პარიზში 15 იანვარს ჩავიდა. მან დათხოვნილი **გი ლაკომბი** შეცვალა. 15 იანვრამდე კლუბს მხოლოდ ოთხი მოგება ჰქონდა და მე-17 ადგილზე იმყოფებოდა. ლე გენის ორთვიანი მმართველობის პერიოდში მან კიდევ ორი თამაში მოიგო, მაგრამ სატურნირო მდგომარეობა კიდევ უფრო გაიუარესა. *"არ უნდა მოვეშვათ. მე ჩემი ფეხბურთელების გვერდში ვარ. მინდა, თითოეულმა ბოლომდე იბრძოლოს. ძნელი იქნება. წარმატების მისაღწევად მენტალური სიძლიერე გვმართებს,"* - ასეთი იყო ლე გენის კომენტარი "ოსერთან" წამატჩევს (ამ უქმეებამდე ოსერელებს სტუმრად მხოლოდ ერთი თამაში ჰქონდათ მოგებული). ხუთშაბათს "პარი სენ ჟერმენი" ლისაბონში, უეფას თასის განმეორებით მერვედფინალს გამართავს. "ბენფიკასთან" პირველი მატჩი ფრანგების გამარჯვებით დასრულდა, 2:1.

ბარსელონა

# რობენი 16 მილიონად

## ახალი კონტრაქტი ნაიკთან. რატომ არ თამაშობს ტიაგო მოტა?

"ბარსელონას" **არიენ რობენის** შეძენა სურს. ესპანური სააგენტოების მტკიცებით, კატალონიელებმა 16 მილიონი გირვანქა გაამზადეს. სპორტულმა დირექტორმა **ჩიკი ბეგირისტაინმა** 23 წლის გარემარბი მას მერე ამოილო მიზანში, რაც მანჩესტერელი **კრისტიანო რონალდოს** ხელში ჩაგდება ვერ მოახერხა. პორტუგალიელი "ეშმაკებთან" ახალ კონტრაქტზე აწერს ხელს. რობენი კი მის სრულფასოვან შემცვლელად მოიაზრება.

"ბარსელონა" "ნაიკთან" კონტრაქტს 2013 წლამდე აგრძელებს. შეთანხმება ითვალისწინებს თანამშრომლობის კიდევ ხუთი წლით გახანგრძლივებას 2018 წლამდე. სანამ ეს პუნქტი ამოქმედდებოდეს, კატალონიელთა ბიუჯეტი 100 მილიონი გირვანქით შეივსება. შესაძლოა, შემოსავალმა 140 მილიონსაც მიაღწიოს, თუ 2013 წლამდე "ბარსა" პრიმერა დივიზიონსა და ჩემპიონთა ლიგაში არა ერთ ტიტულს დაეუფლება. "ნაიკის" წარმომადგენლები კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ ნაყოფიერი თანამშრომლობა ხელს უწყობს ორივე მხარის ზრდას.

გასულ უქმეებზე "კამპ ნოუმ" დრამატულ სუპერკლასიკოს უმასპინძლა. "ბარსელონისა" და "რეალის" დაპირისპირება ფრედ, 3:3 დასრულდა. მასპინძელთა განაცხადში არ ყოფილა **ტიაგო მოტა**. 24 წლის ნახევარმცველმა ზედიზედ მესამე მატჩი გამოტოვა. ის დაშავებული არ არის.. კატალონიელთა თავკაცმა **ფრანკ რიიკაარდმა** ჟურნალისტებს აუწყა, რომ მოტას პირადი პრობლემები აქვს, რის გამოც კლუბმა შვებულებაში გასვლის ნება დართო. ტიაგომ თვითნებურად გააცდინა ხუთშაბათის ვარჯიში. იმავე საღამოს ის ხელმძღვანელობას შეხვდა და როგორც ჩანს, შვებულებაც მაშინ ითხოვა. რიიკაარდი ამბობს, რომ მისი განაცხადს მიღმა დატოვება სასჯელი არ არის. მოტა გუნდს რამდენიმე დღეში დაუბრუნდება: *"მას განტვირთვა სჭირდებოდა. რთული პერიოდი უდგას. კლუბი კი ვალდებულია, თავის ფეხბურთელს დახმარების ხელი გაუწოდოს. "ბარსელონაში" თამაში ადვილი არ არის. მსგავსი რამ ნებისმიერ ჩვენგანს შეიძლება შეემთხვეს. ტიაგო შესანიშნავი ადამიანია. მასთან პრობლემები არ მაქვს."* ჟურნალისტების თხოვნის მიუხედავად, რიიკაარდმა შეგირდის პრობლემაზე უფრო მეტი ინფორმაციის მოწოდება არ ისურვა.

## სერია A კოკაინზე ზის

იტალიელ ფეხბურთელებს შორის ნარკოტიკის მოხმარების კიდევ ერთი შემთხვევა გამოვლინდა. ცოტა ხნის წინ, ამ მიზეზით "სამპდორიის" ფორვარდი **ფრანჩესკო ფლაკი** მოკვეთეს, უფრო ადრე "მილანის" თავდამსხმელი **მარკო ბორიელო** გაეხვია შარში. ახლა ანალოგიური პერსპექტივა ემუქრება "მესინის" მეკარე **ნიკოლას კალიონის**, რომელსაც 11 თებერვალს, "კატანიასთან" მატჩის (1:1) შემდეგ აუღეს ანალიზი. გუშინ ტესტმა დადებითი პასუხი აჩვენა. ამ დღეებში, 23 წლის კიპერს იტალიის საფეხბურთო ლიგის სადისციპლინო კომისიაში ელოდებიან. ასე რომ, "მესინა" კიდევ ერთი ძირითადი მეკარის გარეშე რჩება.შეგახსენებთ, რომ ამ ზამთარს **მარკო სტორარი** "მილანის" კარის დარაჯი გახდა.

## იორკი ნაკრებიდან წავიდა

35 წლის **დუაიტ იორკმა** სანაკრებო კარიერა დაასრულა. "მანჩესტერ იუნაიტედის" ყოფილი თავდამსხმელი, რომელმაც 1999 წელს ჩემპიონთა ლიგა მოიგო, ამჟამად "სანდერლენდის" ღირსებას იცავს. ამ გუნდის მთავარი მწვრთნელი **როი კინია**. "შავ კატებს" 36 ტურის შემდეგ 63 ქულა აქვთ და პირველ დივიზიონში მეოთხე ადგილზე იმყოფებიან. მათ ლიდერ "ბირმინგემისაგან" ოთხი ქულა ჰყოფთ. "სანდერლენდი" პრემიერლიგაში ალზევების ერთ-ერთი კანდიდატია. იორკის მიზანიც ესაა. ვეტერანს განზრახული აქვს, მთელი ენერგია კლუბს მოახმაროს. გასულ ზაფხულს ტრინიდადისა და ტობაგოს ნაკრებმა მუნდიალზე პირველად იასპარეზა. დუაიტი გუნდის კაპიტანი იყო. საერთო ჯამში მან ეროვნულ გუნდში 59 მატჩი ჩაატარა და 26 გოლი შეაგდო.

## შვეიცარიამ ფოგელზე უარი თქვა

მარტის მიწურულს შვეიცარიის ნაკრები ამერიკაში ორ ამხანაგურ მატჩს გამართავს. მისი მეტოქეები იქნებიან იამაიკისა და კოლუმბიის ეროვნული გუნდები. მთავარმა მწვრთნელმა **კობი კუნმა** განაცხადში არ შეიყვანა კაპიტანი **იოჰან ფოგელი**. მან მიზეზად ფეხბურთელის კონფლიქტური ხასიათი დაასახელა. ფოგელი კუნის გადაწყვეტილებას კატეგორიულად არ ეთანხმება და ნაკრებიდან წასვლას არ აპირებს. მას იმედი აქვს, რომ ეროვნულ გუნდში სხვა მწვრთნელის მისვლისთანავე დააბრუნებენ. გასულ კვირაში ფოგელს 30 წელი შეუსრულდა. არცთუ ისე ხანდაზმული ასაკის მიუხედავად, იოჰანმა ნაკრებში 98 მატჩი ჩაატარა (და მხოლოდ ორი გოლი შეაგდო).

## სპარტაკმა პლეტიკოშა დაიმატა

გასულ უქმეებზე რუსეთის ჩემპიონატი დაიწყო. რუსული ტრანსფერების ბოლო დღეს მოსკოვის "სპარტაკმა" ხორვატი მეკარე **სტიპე პლეტიკოშა** შეიძინა. სახალხო გუნდმა დონეცკის "შახტიორს" 3 მილიონი ევრო გადაუხადეს. 28 წლის პლეტიკოშას ხორვატიის ნაკრებში 58 მატჩი აქვს ჩატარებული. უკრაინულ კლუბში ის გამუდმებით თადარიგში იჯდა, რის გამოც ხორვატი მიმომხილველები შემფოთებას ვერ მალავდნენ. სტიპე ეროვნული გუნდის ძირითადი გოლკიპერია. თუმცა "სპარტაკში" მას მუდმივად თამაში სულაც არ აქვს გარანტირებული.

ინტერვიუ ამანტინო მანსინისთან

# მე, როგორც გარინჩა? ვერასდროს...

## ბრწყინვალედ მოთამაშე ბრაზილიელი დუნგაზე ნაწყენია



მანსინი ლიონთან გატანილ გოლს ზეიმობს

**"მიაჭირე, მანსინი! მიდი, მანსინი! მიაჭირე, მანსინი!" – ყვიროდა ბრაზილიელი ტელეკომენტატორი იმ გოლამდე, რომელმაც "ლიონის" ევროპულ თავგადასავალს საბოლოო წერტილი დაუსვა. ალესანდრო ფაიოლე ამანტინო მანსინიმ ძალიან "მიაჭირა" (ბრაზილიურ საფეხბურთო ჟარგონზე ეს სიტყვა ბურთზე ფეხის მრავალჯერ გადატარებასაც ნიშნავს) და ძალიან შორს წავიდა. იმდენად შორს, რომ სერ ალექს ფერგიუსონი ახლა სწორედ ამ ფეხბურთელში ხედავს ყველაზე დიდ საშიშროებას "მანჩესტერ იუნაიტედისთვის", რომელსაც "რომა" ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში შეხვდება. ცუდი შედეგი არაა იმ ფეხბურთელისთვის, რომელიც იტალიაში სრულიად უსასყიდლოდ ჩაიყვანეს. მანსინი ახლა ჩემპიონთა ლიგაზე ოცნებობს "ჯალოროსოსთან" ერთად და კოპა ამერიკასა და მუნდიალზე "ვერდეოროსთან" ერთად.**

**- მანსინი, იმ გოლზე, "ლიონს" რომ გაუტანეთ, ბრაზილიაში ყველა შეიშალა, მაგრამ კარლოს დუნგამ ნაკრებში არც ამჯერად მიგიწვიათ.**

- და ვალიარებ, რომ ცოტა გაწბილებული დავრჩი. შედეგები აშკარად ჩემს სასარგებლოდ მეტყველებს და ამიტომ ვფიქრობდი, რომ ნაკრებში გამოძახებას ვიმსახურებდი, ისე, როგორც ჩემი თანაგუნდელები, ტადეი და დონი. იმედია, ვინმე გამოჩნდება, ვინც დუნგას ჩემს შესახებ დაელაპარაკება. ვიცი, რომ ჩემს პოზიციაზე "სელესაოში" ახლა რონალდინიოა, მაგრამ მე მარჯვნივ თამაშიც შემიძლია. ასეა თუ ისე, ჩემი მიზანი უცვლელი რჩება: მინდა, რომ ბრაზილიის ნაკრებში ვითამაშო კოპა ამერიკაზე და ასევე მსოფლიო ჩემპიონატზე.

**- "ლიონთან" გატანილი გოლისთვის თანამემამულეებმა გარინჩას შეგადარეს...**

- არა, გარინჩასთან შედარებას თავი დავანებოთ. მე მისი თამაშის კადრები ვნახე, ის სულ სხვა პლანეტიდან იყო. ის უნიკალური ფეხბურთელი იყო, ვერ აჩერებდნენ.

**- რომელი იყო ლიონური საღამოს ყველაზე ემოციური მომენტი?**

- ის, როცა ყველა ფეხბურთელი ერთმანეთს გადავეხვიეთ და ჩვენი ტიფოზების ტრიბუნისკენ გავიქეცით. მქონდა იმის განცდა, რომ ჩემი მოვალეობა ბოლომდე შევასრულე. მეორე მხრივ, კუპესთვის გატანილი გოლი ყველაზე ლამაზი იყო, რომელიც კარიერაში თამაშიდან გამიტანია. ასევე დაუვიწყარია ის ქუსლით გატანილი გოლი დერბიში, მაგრამ ის სხვა ისტორიაა.

**- ახლა მეოთხედფინალში "მანჩესტერ იუნაიტედი" გელოდებათ. ეს თქვენი და კრისტიანო რონალდოს დუელი იქნება?**

- ეს მორიგი შეხვედრა იქნება – ძალიან მძიმე და რთული, თუმცა, სიმართლე გითხრათ, ჩემთვის სულ ერთი იყო ამ ეტაპზე ვის შევხვდებოდით. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ არავისი არ უნდა გვეშინოდეს. კრისტიანო რონალდოსთან თავის გაჯიბრებაც არ იქნება სწორი, ამ სეზონში ის ბრწყინვალედ გამოდის, ინგლისში საუკეთესო ბომბარდირია, ალბათ, "ოქროს ბურთსაც" მოიგებს. პორტუგალიელი უფრო დიდი დრიბლიორია და უფრო მეტი ფანტაზია აქვს, მე კი, ვფიქრობ, რომ ფიზიკურად უფრო ძლიერი და უფრო სწრაფი ვარ, მაგრამ არა მგონია, "ოქროს ბურთიამდე" მიღწევა შევძლო. უამრავი ფეხბურთელია, კლასით ჩემზე მაღლა რომ დგას.

**- შთაბეჭდილება ისეთია, რომ იტალიაში "რომას" თამაშში გარკვეული პრობლემები ჩნდება, მაშინ როცა ევროპაში იგივე ჯერ ისევ არ შეიმჩნევა.**

- შესაძლოა. თანამედროვე ფეხბურთში მოწინააღმდეგე გუნდებს ზედმიწევნით კარგად იცნობენ, მაგრამ იტალიაში ჩვენს თამაშს კიდევ უფრო კარგად იცნობენ.

**- "ინტერს" უკვე 16 ქულით ჩამორჩებით. გული ხომ არ გწყდებათ რამეზე? იქნებ, ფიქრობთ, რომ შესაძლებელი იყო, ამხელა სხვაობის თავიდან აცილება...**

- "ინტერი" უძლიერესია, მაგრამ გული მართლა ძალიან გვწყდება იმ ქულების გამო, რომლებიც "პატარა" გუნდებთან დავკარგეთ. წელს ბრწყინვალე ჩემპიონატს ვატარებთ, მაგრამ წარმატების საიდუმლო ისაა, რომ არასოდეს უნდა დაკმაყოფილდე.

**- ძალადობა სტადიონებზე: ცოტა ხნის წინ მომხდარ ეპიზოდებზე ამბობდნენ, იტალიის სტადიონები სამხრეთამერიკულს დაემსგავსაო...**

- სინამდვილეში, ჩვენში მსგავსი ტიპის ეპიზოდების რაოდენობა საგრძნობლად შემცირდა, ევროპაში კი სულ უფრო იმატებს. პოლიციელი რაჩიტის მკვლელობის ღამეს კატანია ბაღდადს ჰგავდა. გამოსავალი უნდა მოინახოს და ამ მხრივ ფეხბურთელებსაც შეგვიძლია მეტის გაკეთება. როგორ? იმით, რომ ხალხს უმსგავსობის მაგალითები არ უნდა ვაჩვენოთ, ისეთი, როგორიც რამდენიმე დღის წინ ვალენსიაში იყო. ძნელია, ტიფოზებს მოსთხოვო, რომ არ იჩხუბონ, თუკი იმავეს ჩვენ გავაკეთებთ.

**- "რომას" დავუბრუნდეთ: გამარჯვება ასტრონომიული დანახარჯების გარეშეც შეიძლება?**

- შეიძლება, თუ კლუბის ყველა წევრი მაქსიმალურად მონდომებს, მაგრამ ეს მაინც უფრო ძნელი და მომქანცველი გზაა. მეტი ვარსკვლავის ყოლა ყოველთვის სასიამოვნოა, მაგრამ მას შემდეგ, რაც "რომაში" გადმოვედი, ვამჩნევ, რომ კლუბი ნელ-ნელა ძლიერდება.

**- უთანხმოების შემდეგ როგორია თქვენი და ტოტის ურთიერთობა?**

- ნორმალური, მშვიდი. ადრე ორივე გაბრაზებულები ვიყავით, ახლა მას თავისი ცხოვრება აქვს, მე ჩემი.

**- თქვენი მეგობარი კასანოს "რეალის" ფიასკომ არ გაგაკვირვათ? კასანოს უკვე იტალიაში დაბრუნება უნდა...**

- გამაკვირვა, მაგრამ ზუსტად არ ვიცი, რა და რატომ მოხდა. ანტონიოს რაც შეეხება, იტალიაში იქნება თუ ესპანეთში, მთავარია, რომ რეგულარულად ითამაშოს.

**- დაგვისახელეთ სამი ფეხბურთელი, ვისი თამაშიც ევროპაში ყველაზე მეტად მოგწონთ.**

- ოთხს დავასახელებ: კრისტიანო რონალდო, კაკა, ლემპარდი და ჯერარდი.

**- ბიბლია და სამბა: რა ადგილი უკავიათ მათ თქვენს ცხოვრებაში?**

- ღმერთი და შესაბამისად ბიბლია, ყველაზე მნიშვნელოვანი რამ არის, რაც ცხოვრებაში გამაჩნია, ჩემთვის ყველაფერი ღმერთით იწყება. ცხადია, გართობაც მიყვარს და მუსიკა, ამ შემთხვევაში სამბა, გართობის ერთ-ერთი საშუალებაა. სამბა ის მუსიკაა, რომლის გადმოტანასაც ფეხბურთში ვცდილობ.

**- ივნისში "რომას" არსებობის 80 წელი შეუსრულდება. როგორ ისურვებდით ამ საიუბილეო თარიღის აღნიშვნას?**

- რაიმე ტიტულით, მნიშვნელობა არ აქვს, რომელი იქნება.

**- თუმცა, მანამდე, სხვა ზეიმია. აპრილში ვიცე-პრეზიდენტი როზელა სენსი იქორწინებს. საჩუქარი?**

- დიდი მიხვედრა არ სჭირდება - ჩემპიონთა ლიგის ნახევრფინალში გასვლა.

**- ახალი კონტრაქტის თაობაზე მოლაპარაკებას როდის დაიწყებთ?**

- არა, ამ თემაზე არ ვლაპარაკობ.

**გოგა ახალაძე**

ინტერვიუ კარლოს დუნგასთან

# მატერაცის კი ვისურვებდი...

## პენტაკამპეონების მწვრთნელი იტალიაში მოთამაშე ბრაზილიელების შესახებ

**"ადრიანოს ბოლო სანაკრებო შეკრების დროს ველაპარაკე. გავაფრთხილე, ყალბ მეგობრებს უფრთხილდი, ასეთებისგან თავის დაცვა უნდა ისწავლო-მეთქი. ცხოვრებაში მთავარია, რომ გარშემო ისეთი ადამიანები გყავდეს, რომლებიც ყოველთვის სიმართლეს გეუბნებიან, თუნდაც ეს მძიმე მოსასმენი იყოს და ხანდახან გულს გტკენდეს. წავიკითხე, რომ შეკრებიდან მილანში დაბრუნების შემდეგ ადრიანოს "ინტერთან" ახალი პრობლემები შეექმნა დისკოთეკაზე მეგობრებთან ერთად გატარებული ღამეების გამო. ზუსტად, ამ მეგობრებზე ველაპარაკებოდი". კარლოს დუნგა, ფლორენციაში თამაშის პერიოდში, რობერტო ბაჯოს დიდ ფეხბურთელად ჩამოყალიბებაში დაეხმარა. რობის სიმართლეს ეუბნებოდა, ყოველთვის. მიუხედავად იმისა, რომ მისი სიტყვები "ცხენისკუდასთვის" ზოგჯერ ძალიან მტკივნეული იყო. მაგრამ ადრიანოსთან დაკავშირებით "სელესაოს" მწვრთნელი თავს უძლურად გრძნობს: "მისთვის ყველაფერი გავაკეთეთ რაც შეგვეძლო, ამაზე მეტს ველარ გავაკეთებთ. ადრიანო პოტენციალით ფენომენია, მაგრამ ერთხელ და სამუდამოდ უნდა გადაწყვიტოს, დიდ ვარსკვლავად უნდა იქცეს, თუ ურჩევნია, რომ მუდამ პოლემიკის ცენტრში იყოს".**

**- რონალდომ კი მაშინვე დაიპყრო მილანელების გულები.**

- ეს სულ სხვა ისტორიაა. მას მხოლოდ გარემოს შეცვლა და ხალისის დაბრუნება სჭირდებოდა. ბრაზილიელი სათადარიგოთა სკამზე კვდება, ძნელად თუ პოულობს თავში ძალას, რომ სიტუაციას წინააღმდეგობა გაუწიოს. რონალდომ თავისი ფენომენალურობა დერბიში გატანილი გოლითაც დაამტკიცა.

**- თუმცა იტალიაში მოთამაშე ბრაზილიელებიდან საუკეთესო ახლა კაკაა...**

- კაკამ, როგორც პიროვნებამ, საოცრად მომხიბლა. მორიდებული, ზრდილობიანი, თავაზიანი ბიჭია. ვფიქრობდი, რაღაცით ბაჯოს ჰგავს-თქო, სინამდვილეში, ხასიათით სრულიად საპირისპიროა. კაკა-ფეხბურთელს რაც შეეხება, მას წარსულის ვერცერთ დიდ ფეხბურთელს ვერ ვადარებ. ამ ფეხბურთელში იდეალურად არის შერწყმული დიდი ტექნიკა და საოცარი ათლეტური პოტენციალი. მოკლედ, მსოფლიოს ყველაზე სრულყოფილი სპორტული მანქანაა. ის გოლები, რომლებიც არგენტინას და ცოტა ხნის წინ "სელტიკს" გაუტანა, საფეხბურთო სკოლებში ბავშვებს ტელევიზორით ყოველ დღე უნდა აყურებინონ.

**- მილანური დერბი როგორ მოგეწონათ?**

- "ინტერს" სკუდეტო უკვე მოგებული ჰქონდა, ახლა ეს დერბიც დამსახურებულად მოიგო. სხვა სათქმელი არ მაქვს.

**- ორივე გუნდს კარებში ბრაზილიელები ჰყავდა.**

- როცა იტალიაში ვთამაშობდი, ჩვენს მეკარეებს ყველა დასცინოდა. ამბობდნენ, რომ ბრაზილიელებს მსოფლიოს ყველაზე სუსტი მეკარეები გვყავდა და, რომ იტალიელებს ამ ამპლუაში მეტოქე არ ჰყავდათ. სისულელეა. ბრაზილიელი მეკარე, უნდა თუ არ უნდა, ძლიერი უნდა იყოს, იმიტომ, რომ ბავშვობიდან უწევს სასწაულების ჩადენა თანამემამულე თავდამსხმელების ფანტასტიკური დარტყმების მოსაგერიებლად. 15 წლის ბრაზილიელ ბიჭს კარში ბურთის დარტყმა ათასგვარი სპეცეფექტით შეუძლია.

**- სპეცეფექტებს რაც შეეხება: როგორია თქვენი აზრი იბრაჰიმოვიჩზე?**

- იბრაჰიმოვიჩს ბრაზილიელის ტექნიკა აქვს, მაგრამ აკლია მკვლელის ინსტინქტი. თუმცა სხვა ქვეყნების ფეხბურთელებიდან ვინმეს დამატება რომ შემეძლოს, ვისურვებდი, რომ გუნდში მატერაცი მყოლოდა. და ასევე გატუზო, რომელიც თითქმის დუნგაა. ჯენარომ ტექნიკურად ძალიან მოუმატა.

**- ბერლუსკონის რონალდინიო უნდა.**

- კაკასთან, რონალდინიოა და რონალდოსთან ერთად "მილანი" მომავალ ჩემპიონატში "ინტერს" ტოლს არაფერში დაუდებდა. თუმცა იმ პირობით, თუ მოედანზე ყოველთვის ეყოლებოდა გატუზო, პირლო, მალდინი. ის სამი წინ სასწაულებს ჩაიდენდა, მაგრამ მათ ზურგს ძლიერი გუნდი უნდა უმაგრებდეს.

**- მილანელ ბრაზილიელებს დავუბრუნდეთ. განაპირა მცველები: კაფუ, მაიკონი, მაქსველი...**

- კაფუ კაცია. და ვფიქრობ, რომ ამაზე დიდი კომპლიმენტი არ არსებობს. მაქსველი საინტერესო განაპირა მცველია, მაიკონს კი შეუძლია, რომ დიდი ფეხბურთელი გახდეს.

**- ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში "მილანი" "ბაიერნს" დაუპირისპირდება.**

- ერთი თვის უკან ანჩელოტის გუნდი აშკარა ფავორიტი იქნებოდა, მაგრამ ახლა შანსები თანაბარია. "ბაიერნი" ყველაზე საშიში თავისი ახალი მწვრთნელით არის. ჰიტცფელდს სასწაულები არ ჩაუდენია, მაგრამ ფეხბურთელებს სიამაყე დაუბრუნა.



კარლოს დუნგა

**- რომანისტა მანსინიმ წუხილით თქვა, რომ "სელესაოში" გამოძახებას ელოდა.**

- მანსინიმ კარიერა მარჯვენა მცველად დაიწყო და ახლა მარცხენა გარემარბის პოზიციაზე თამაშობს. ამ ადგილზე ორი ვარსკვლავი მყავს: რონალდინიო, მსოფლიოს ნომერი პირველი ფეხბურთელი და რობინიო, 22 წლის ტალანტი. მგონი, ამ პოზიციაზე პრობლემა არ უნდა მქონდეს, არა? მაგრამ "სელესაოს" კარი დახურული არავისთვისაა. მანსინიმ "ლიონთან" ზღაპრული გოლი გაიტანა. გოლი, რომელშიც შერწყმული იყო ბრაზილიური გენია და ევროპული ფეხბურთის ძალა.

**- რონალდოც ოცნებობს "სელესაოში" დაბრუნებაზე...**

- ამისთვის საჭიროა მხოლოდ, რომ ისევ ის რონალდო გახდეს.

**გოგა ახალაძე**

### ჩელსი ბექჰემის წინააღმდეგ

ივლისში "ჩელსი" ამერიკულ ტურნეში გაემგზავრება. დაგეგმილია ამხანაგური მატჩის გამართვა "ლოს ანჯელეს გალაქსისთან", რომელსაც იმ პერიოდისთვის **დევიდ ბექჰემი** უნდა შეუერთდეს. ერთ-ერთი პირველი მატჩი (თუ სულ მთლად სადებიუტო არა), რომელსაც ბექზი ოკეანის გაღმა ჩაატარებს, თავის თანამემამულეების წინააღმდეგ იქნება. იქამდე ინგლისელმა გალაქტიკომ ტრავმა უნდა მოიშუშოს და ოპტიმალურ ფორმაში ჩადგეს. "ჩელსი" შტატებში ზედიზედ მეოთხედ გაემგზავრება და ფეხბურთის მსოფლიო სერიის ეგიდით, ოთხგუნდიან ტურნირში ითამაშებს. "გალაქსისა" და ლონდონელი სტუმრების გარდა, მასში მონაწილეობას მიიღებენ სამხრეთკორეული "სუვონ ბლუვინგსი", რომელიც "არისტოკრატების" მაისურის სპონსორ "სამსუნგის" საკუთრებაა და მექსიკური "ტიგრესი". "ჩელსის" ამერიკული ვიოაჟები შედეგია იმ კონტრაქტისა, რომელიც კლუბს გალაქსის მფლობელ კომპანია AEG-თან ("ანშუტს ენთერთეინმენტ გრუფი") აქვს გაფორმებული და რომელიც ინგლისელებს იქაური ბაზრის დაპყრობაში, ამერიკელებს კი ფეხბურთის პოპულარიზაციაში ეხმარება.

### ჯო კოული ბრუნდება

"ჩელსის" ნახევარმცველი **ჯო კოული** მინდორზე დაბრუნებას "ვალენსიასთან" პირველ მეოთხედფინალში გეგმავს. შეხვედრა 4 აპრილს, ლონდონში გაიმართება. კოულის რეაბილიტაცია დასასრულს უახლოვდება. **ჟოზე მოურინიო** შეგირდის პროგრესით კმაყოფილია: *"ის თავს შესანიშნავად გრძნობს. ჯომ თვითონ მითხრა, რომ 4 აპრილისათვის მზად იქნება. თუ "ვალენსიასთან" ვერ ითამაშებს, იმედია, ერთი კვირის შემდეგ მაინც დაგვეხმარება. შარშანდელ სეზონში ის "ჩელსის" საკვანძო მოთამაშე იყო. წელს კი აქა-იქ ხუთ-ხუთი წუთი ითამაშა, რამდენიმე ტრავმა გამოიარა, რაც საბოლოოდ ოპერაციითა და ხანგრძლივი შვებულებით დასრულდა."*

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელბურთი

## დავა გრძელდება, ჩემპიონატი იწყება!

სამთვიანი პაუზის შემდეგ ხელბურთელთა ეროვნული ჩემპიონატის განახლებას, როგორც იქნა, საშველი დაადგა. მართალია, ის მცირე უთანხმოება და გაუგებრობა, რაზეც გუშინ ვწერდით, ბოლომდე არ ამოწურულა, მაგრამ მთავარია, რომ ჩემპიონატი მაინც დაიწყება დაგეგმილ 15 მარტს.

გუშინ, გვინდოდა, ჩემპიონატში მონაწილე ყველა კლუბის თავკაცს დავკავშირებოდით და გუნდების სამზადისის შესახებ დაგვეწერა. თუმცა საუბარმა სულ სხვა თემისკენ წაგვიყვანა.

ჩვენი პირველი რესპონდენტი იყო "თბილისის" მთავარი მწვრთნელი მამუკა მჟავანაძე.

- ახლახან დავბრუნდით ბაქოდან, სადაც ნაყოფიერი შეკრება გავიარეთ. ჩემპიონატის განახლებისთვის "თბილისი" მზადაა, მაგრამ, სამწუხაროდ, აქ დაბრუნებულებს უსიამოვნო ამბავი დაგვხვდა. პარასკევს, ხელბურთის ასოციაციაში შედგა ჩემპიონატში მონაწილე კლუბების ხელმძღვანელობის სხდომა. იქ სტუ-"შევარდენის" თავკაცობამ განაცხადა, რომ ჩემპიონატის 15 მარტს დაწყების შესახებ არაფერი იცოდნენ და მზად არ არიან. ინფორმაციის უტყუარობაზე თავს ვერ დავდებ, მაგრამ როგორც გავიგე, "შევარდენი" და "ქარიშხალა" ჩემპიონატში მონაწილეობას არ აპირებენ. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან ცუდი იქნება, მაგრამ თუკი სხვა გამოსავალი არ იქნა, მე პირადად, სამგუნდიან ჩემპიონატზეც თანახმა ვარ...

**ამის შემდეგ სტუ-"შევარდენის" მეორე მწვრთნელს, ბექა ორჯონიკიძეს შევეხმიანეთ.**

- იანვარში საქართველოს ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირზე ითამაშა. ტრავმები მიიღო "შევარდენის" ორმა წამყვანმა ხელბურთელმა – რატი მსხვილიძემ და ირაკლი ჩიქოვანმა. მათთვის ხელბურთის ასოციაციას უნდა გაეკეთებინა ოპერაციები, რაც ცოტა გაჭიანურდა. მსხვილიძე და ჩიქოვანი ახლახანლა გამოჯანმრთელდნენ და, ჯერჯერობით, ვარჯიშებზე მხოლოდ ძუნძულით შემოიფარგლებიან. ხელბურთის ასოციაციას ვთხოვეთ, რომ სანამ თამაშს შეძლებენ, თუნდაც ერთი კვირით მაინც გადადებულიყო ჩემპიონატის განახლება, თუმცა, უარი მივიღეთ...

**- ჩემპიონატის 15 მარტს დაწყების შესახებ არაფერი იცოდით?**

- არა, ეს მხოლოდ გაზეთიდან გავიგეთ. შარშან, დეკემბერში, კი თქვეს, რომ ჩემპიონატი განახლდებოდა დაახლოებით თებერვლის ბოლოს, ან მარტის დასაწყისში, მაგრამ ზუსტი თარიღი ახლახან გაირკვა. თუმცა, ვისაც სჭირდებოდათ, გაიგებინეს კიდეც და მათ, ჩვენგან განსხვავებით, მშვენივრად მომზადებაც მოასწრეს. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ "შევარდენის" წინააღმდეგ მიზანმიმართულად მუშაობა მიმდინარეობს. ზუსტი თარიღი რომ გვცოდნოდა, მოსამზადებელ ეტაპს უფრო კარგად დავგეგმავდით...

**- 15 მარტს ჩემპიონატის განახლებაზე თანახმა ხართ თუ არა?**

- კარგი იქნებოდა, ვადა ცოტათი გადაწეულიყო, მაგრამ თუ 15 მარტს განახლდება, სხვა რა გზა გვექნება, აუცილებლად ვითამაშებთ. ასე თუ ისე, სანახევროდ მომზადება მაინც მოვახერხეთ და თუ ჩემპიონატში არ ვითამაშეთ, აბა რაღად გვინდა გუნდი?

**შემდეგი რესპონდენტი იყო ხელბურთის ასოციაციის გენერალური მდივანი ზურაბ კაკაბაძე.**

- მე მგონი, არცერთ ქვეყანაში და სპორტის არცერთ სახეობაში არ ხდება, რომ კლუბმა ნაკრებში დაშავებული მოთამაშეების გამო, ეროვნული ჩემპიონატის მატჩების გადადება მოითხოვოს. არ მესმის, რას ნიშნავს "შევარდენის" წინააღმდეგ მიმართული აქცია. ამაში ის ხომ არ იგულისხმება, რომ ეროვნულ ჩემპიონატს ვატარებთ? რაც შეეხება იმას, რომ დეკემბერშივე არ გვითქვამს ჩემპიონატის განახლების ზუსტი ვადა, მაშინ ეს საკითხი გარკვეული არ იყო და საიდან ვიტყოდით. თუმცა ის კი ნამდვილად ვთქვით, რომ თებერვლის ბოლოს ან მარტის პირველ ნახევარში განვაახლებდით და ამისათვის ყველა კლუბი მზად უნდა ყოფილიყო!

**ბოლოს, ეროვნული ნაკრების თავკაცს, ხელბურთის ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტ მერაბ მეტრეველს მოვუსმინოთ.**

- დებულება და ეროვნული ჩემპიონატის კალენდარი ყველასათვის ურყევი უნდა იყოს. ამ გაუგებრობაში კი ალბათ მაინც ორივე მხარეა დამნაშავე – ხელბურთის ასოციაცია იმაში, რომ, ფაქტობრივად, მთელი იანვრის მეორე ნახევარი და თებერვალი კლუბებთან კონტაქტი ნაკლებად ჰქონდა. მეორეს მხრივ, კლუბების მხრიდან სრულიად უსაფუძვლო არგუმენტია იმის მტკიცება, თითქოს ჩემპიონატის მარტის პირველ ნახევარში დაწყებაზე არაფერი იცოდნენ.

ამ სიტუაციიდან იდეალური გამოსავალი ის არის, რომ ყველამ დავივიწყოთ წარსულში მომხდარი უსიამოვნება და ერთად ვაკეთოთ საერთო საქმე. კლუბებს მოვუწოდებდი, რომ ამ დღეებში, კიდევ ერთხელ შეიკრიბონ და გააფორმონ ერთგვარი მემორანდუმი, რომელზეც ყველა ხელს მოაწერს იმაზე, რომ ბოლომდე დაიცავს პატიოსანი თამაშის წესებს და ეროვნული ჩემპიონატის წინსვლისთვის ყველაფერს გაიღებს.

**კობა ხატისაშვილი**

ჭადრაკი



მაია ლომინეიშვილი, სოფიო გვეტაძე

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

მეათე ტური: ლომინეიშვილი-ხუხაშვილი 1:0; ბაციაშვილი-ჭარხალაშვილი 0:1; მელია-მიქაძე 0.5:0.5; ფურცელაძე -ხურციძე 0.5:0.5; გვეტაძე-ჯავახიშვილი 0.5:0.5; ძაგნიძე-წერეთელი 1:0

| | |
|---|---|
| სოფიკო ხუხაშვილი | - 6.5 |
| ლელა ჯავახიშვილი | - 6.5 |
| სოფიო გვეტაძე | - 6.5 |
| მაია ლომინეიშვილი | - 6.0 |
| ნანა ძაგნიძე | - 5.5 |
| ინგა ჭარხალაშვილი | - 5.5 |
| ნინო ხურციძე | - 5.0 |
| ნინო ბაციაშვილი | - 4.5 |
| მირანდა მიქაძე | - 4.5 |
| თამარ წერეთელი | - 3.5 |
| სალომე მელია | - 3.0 |
| მაკა ფურცელაძე | - 3.0 |

ბოლო ტური: წერეთელი-ლომინეიშვილი, ხუხაშვილი-ბაციაშვილი; ჭარხალაშვილი-მელია; მიქაძე-ფურცელაძე; ხურციძე-გვეტაძე; ჯავახიშვილი-ძაგნიძე

საქართველოს ჩემპიონატი

## ასეთი ინტრიგა არ გვახსოვს

**მეათე ტურიც გასრულდა და ისეთი ვითარება მივიღეთ, როგორიც ალბათ არასოდეს ყოფილა საქართველოს ჩემპიონატში - ბოლო ტურის წინ სამი ლიდერია და ჩემპიონობის შანსი კიდევ სამ მონაწილეს შერჩენია. აქედან ორს - ძალიან მცირე და მხოლოდ თეორიული, მაგრამ მაინც შანსია და თხრობის დროს უნდა გავითვალისწინოთ...**

პირველ რიგში **სოფიო გვეტაძის** და **ლელა ჯავახიშვილის** შეხვედრაზე გვსურდა საუბარი, ესენი 6-6 ქულით მეორე-მესამე ადგილებს იყოფდნენ, მაგრამ მოსაყოლი არაფერი დაგვიტოვეს - ყაიმზე პარტიის დებიუტშივე შეთანხმდნენ. თითქმის სულ გვიწევს საჭადრაკო ტურნირების დროს ასეთი შეთანხმების შესახებ წერა. ის, რომ საჭადრაკო სამყაროში მსგავსი რამ მიღებულია და არავინ არავის უჩივის, შეიძლება გაიგო, მაგრამ ჩემში ყოველთვის იწვევდა ეჭვს არჩევანის მართებულობა, მით უფრო იმ მხარისგან, რომელსაც თეთრი ფერი აქვს. მიზეზები და არგუმენტები მოჭადრაკეებს ყოველთვის აქვთ, მაგრამ ისეც შეიძლება მოხდეს, რომ რისკის ფასად მთავარი დაკარგო.

უფრო რომ დავკონკრეტდეთ, მოგახსენებთ: **მაია ლომინეიშვილმა** თეთრებით გუშინ ლამაზ სტილში, ერთი ამოსუნთქვით დაამარცხა ერთპიროვნული ლიდერი **სოფიკო ხუხაშვილი**, რის შემდეგაც მას ნახევარ ქულამდე მიუახლოვდა. სოფიკოს 6.5 ქულა დაურჩა, ამდენივე გაუხდათ გვეტაძესა და ჯავახიშვილს და თითქოს უკეთესი რა უნდა გინდოდეს - ძალების დაზოგვით გალიდერდი კიდეც და ჩემპიონობის შანსიც მოგეცა.

თუმცა თუკი ჩავხედავთ ბოლო ტურის ოქმს, ვნახავთ, რომ გვეტაძეს შავებით უწევს თამაში **ნინო ხურციძესთან**, ჯავახიშვილს კი **ნანა ძაგნიძე** ჰყავს მეტოქედ. მართალია ლელას თეთრი ფერი აქვს, მაგრამ ძაგნიძესთან ასეთი იმედიანიც ვერ იქნები - აუცილებლად მოვიგებო. ძაგნიძეს, თუკი იმარჯვა, ჩემპიონობის შანსიც კი უჩნდება, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუკი, გვეტაძეც წააგებს, ხუხაშვილიც და ჯავახიშვილიც, ლომინეიშვილი კი ვერ მოიგებს. ამ შემთხვევაში ხუთივეს 6.5 ქულა გაუხდება და გადათამაშება მოუწევთ - წრიული სისტემით ერთმანეთს 25-წუთიან პარტიებში შეხვდებიან. თუმცა აქ მეექვსე წევრიც შეიძლება გამოჩნდეს და ეს მეორე მცირეშანსიანი მოჭადრაკე **ინგა ჭარხალაშვილია**. ინგამ გუშინ, შავებით **ნინო ბაციაშვილი** დაამარცხა და ძაგნიძის მსგავსად 5.5 ქულა გაუხდა, დღეს ინგა თეთრებით ხვდება ამ ტურნირზე სუსტად მოთამაშე და ჯერაც მოგების არმქონე სალომე მელიას.

თუკი შანსებზე საუბარს გავაგრძელებთ, ისევ ხუხაშვილის შანსი ჩანს ყველაზე რეალურად, - სოფიკო თეთრებით ნინო ბაციაშვილს ხვდება. ნინომ ტურნირის სტარტი ცოტა ჩააგდო, თუმცა შუაწელში გამოასწორა და რამდენიმე ხმაურიანი გამარჯვებაც მოიპოვა, დაბოლოება კი კვლავ გააფუჭა - ზედიზედ ორი პარტია წააგო. ცხადია, მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობა სათანადო ვერ იქნება და შესაძლოა ხუხაშვილმა ამ ფაქტორით ისარგებლოს. საპირისპიროსაც ვერ გამოვრიცხავთ და ამ მარტივ სპორტულ ჭეშმარიტებებზე - ერთი მოგება ყველას შეუძლია და სხვა, საუბარს აღარ გავაგრძელებთ.

დავძენთ, რომ **მაკა ფურცელაძეს** კარგი პოზიცია ჰქონდა ხურციძესთან, მაგრამ კვლავ ვერ შეძლო რეალიზება, ხოლო **მირანდა მიქაძემ** ფიგურა შესწირა სალომე მელიას და კარგი შეტევაც მიიღო, თუმცა მოჭადრაკეებმა, ძალიან რთული პოზიცია მიიღეს და უამრავი ვარიანტი იყო დასათვლელი. ფაქტია, რომ მეტოქეები ზავზე შეთანხმდნენ. ამით მიქაძემ ქალთა დიდოსტატის ბალის შესრულების შანსი დაკარგა, ისევე როგორც ბაციაშვილმა - ამისთვის 6 ქულა იყო საჭირო, ბათუმელ მოჭადრაკეებს კი 4.5 ქულა აქვთ.

**ზვიად შათირიშვილი**

13-14 მარტს
გუდაურში
გაიმართება
საერთაშორისო სპორტული შეჯიბრი
სლალომსა და გიგანტურ სლალომში
10-დან 16 წლამდე მოზარდებს შორის
"აბუს თასი"
GUDAURI
ბაგრატიონი 1882
SPORTHOTEL
PIXEL 34
არსი
DV SPORT
JOCKEY-CLUB

სუმო

## მეორე მოგება და მეორე მარცხი

შესანიშნავი სტარტი გამოუვიდა ოსაკას ბაშოზე **კოკაის** (ლევან ცაგურია). მეშვიდე მაეგაშირობამდე ჩამოქვეითებულმა ქართველმა სუმოისტმა მეორე ორთაბრძოლაც მოიგო. კოკაიმ ამჯერად დაამარცხა იაპონელთა ფავორიტი რიკიში **ტაკამისაკარი**, რომელიც ამჟამად მეექვსე მაეგაშირაა. მეტოქეები თითქმის ერთდროულად წაიქცნენ, თუმცა მსაჯებმა დააფიქსირეს, რომ პირველი დოჰიოს იქით ტაკამისაკარი გადავიდა. დღეს კოკაის მეტოქე **ამინიშიკია**, მეცხრე მაეგაშირა, თუმცა ნოემბერში კოკაისთან ერთად დაკარგა კომუსუბის ტიტული.

ბაშო კი უდიდესი სენსაციით დაიწყო, იოკოძუნა **ასაშორიუმ** ზედიზედ მეორე მარცხი განიცადა, გუშინ მან უმძიმეს რიკიშთან, **მიაბიამასთან** (182 კგ.) წააგო. როგორც ჩანს, მარტში იმპერატორის ტიტულის მოსაპოვებლად ასაშორიუს გვარიანი ოფლისღვრა მოუწევს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჰარუ ბაშო

მარტის სუპერტურნირი

ოსაკა, 11-25 მარტი

II დღე: კოკაი - ტაკამისაკარი (ოშიტაოში, 7,1 წ.), მიაბიამა - ასაშორიუ 1:0, ჰაკუჰო - ტოკიტენკუ 1:0, ტოოშუ - ამა 1:0, კასუგაო - კაიო ტოჩიაძუმა - კიოკუტენჰო 1:0, ჩიოტაიკაი - ასასეკირიუ 1:0, ტაკეკაძე - კოტოშოგიკუ 1:0, კოტომიცუკი - ფუტენო 1:0, ტოიონოშიმა - ტამაკასუგა 1:0, ჰომაშო - კისენოსატო 1:0, კაკიძოე - როჰო 1:0, ტამანოშიმა - ტოჩინონადა 1:0, დეჯიმა - ამინიშიკი 1:0, კაკურიუ - ტოკიცუუმი 1:0.

III დღე: კოკაი - ამინიშიკი, ასაშორიუ - ფუტენო, კოტოოშუ - ტაკეკაძე, კაიო - ტოკიტენკუ, ამა - ტოჩიაძუმა, ჩიოტაიკაი - კასუგაო, ჰაკუჰო - მიაბიამა, კოტომიცუკი - ასასეკირიუ, ტოიონოშიმა - კოტოშოგიკუ, კისენოსატო - კიოკუტენჰო, ჰომაშო - როჰო, ტამაკასუგა - ტაკამისაკარი, კაკიძოე - ტამანოშიმა, დეჯიმა - კასუგანიშიკი.

საქართველო
GEORGIA
# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საუბრები სპორტის ისტორიაზე

გაგრძელება. დასაწყისი
იხ. ლელო № 56 (2006)

# ქართული სპორტი 1981-1990 წლებში

1981 წლის 13 მაისის მოლოდინში არა მხოლოდ საქართველოს, ფეხბურთის ქართველი გულშემატკივრებისთვის მთელი მსოფლიოს სპორტულმა მოვლენებმა უკანა პლანზე გადაიწია. როდის იყო, რომ სპორტის ქართველი ქომაგები თავიანთი კერპებისგან მაქსიმუმს არ მოელოდნენ? ცხადია, სულაც არ იყო იოლი, ისეთ პრესტიჟულ ასპარეზობაში, როგორიცაა ფეხბურთში ევროპის ქვეყნების თასის მფლობელთა თასის გათამაშება, ჯერ ფინალში გასვლა და შემდეგ სანუკვარი ჯილდოს დაუფლება. მაგრამ ქართველებმა ეს შეძლეს, რითიც ეროვნულ ფეხბურთს და, საერთოდ, ქართულ სპორტს ისტორიული წარმატება მოუტანეს, თაყვანისმცემლები სიხარულით ცას აწიეს. გდრის იენას "კარლ ცაისთან" დიუსელდორფის ფინალურ მატჩამდე, 1981 წელს 4 მარტს, თბილისის "დინამომ" მეოთხედფინალში სტუმრად ინგლისის "ვესტ ჰემ იუნაიტედი" დაამარცხა 4:1 (გოლები: **ჩივაძე 24, გუცაევი 31, კროსი 54, შენგელია 55, 67**). ორი კვირის შემდეგ, თბილისში, მართალია, საპასუხო მატჩი "დინამომ" წააგო 0:1, მაგრამ ნახევარფინალი განაღდებული იყო.

8 აპრილი. თბილისი. "დინამოს" სტადიონი. "დინამო" ნახევარფინალში ჰოლანდიის (როტერდამი) "ფეიენოორდს" მასპინძლობს. ჩვენები სოლიდური ანგარიშით (3:0) იგებენ და მყარ საფუძველს იქმნიან საპასუხო მატჩის შემდეგ საბოლოო შედეგის თავიანთ სასარგებლოდ დასაფიქსირებლად. "ფეიენოორდი" წარმატებას (2:0) კი აღწევს, მაგრამ ფინალში "დინამო" გადის.

და აი, 1981 წლის ნანატრი 13 მაისი. დიუსელდორფში პირველი გოლი გერმანელებმა გაიტანეს - 1:0 (**ჰოპე**), რასაც **ვლადიმერ გუცაევის** (67) საპასუხო შედეგიანი დარტყმა მოჰყვა - 1:1. თბილისელთათვის გამარჯვების მომტანი ბურთი მეტოქის კარში 87-ე წუთზე გააქვს **ვიტალი დარასელიას**. ფინალი "დინამომ" ასეთი შემადგენლობით ითამაშა: **გაბელია, კოსტავა, ჩივაძე, ხიზანიშვილი, თავაძე, დარასელია, სვანაძე** (67. კაკილაშვილი), **სულაქველიძე, გუცაევი, ყიფიანი, შენგელია**.

შინ დაბრუნებულ გუნდსა და ბრწყინვალე გამარჯვების სულისჩამდგმელებს, უფროს მწვრთნელს **ნოდარ ახალკაცს**, მის თანაშემწეებს - **კახი ასათიანს, სერგო კუტივაძეს, გივი ნოდიას**, ყველას, ვინც შეიტანა წვლილი გუნდის წარმატებაში, მათ შორის, თანმხლებ გულშემატკივრებს, თბილისის აეროპორტში დაუვიწყარი შეხვედრა მოუწყვეს. იმ წელს, სსრკ "33 საუკეთესო" ფეხბურთელთა სიაში თბილისის "დინამოდან" მოხვდნენ: პირველ ნომრად - **ალექსანდრე ჩივაძე, თენგიზ სულაქველიძე** და **ვიტალი დარასელია**; მეორე ნომრად - **შოთა ხინჩაგაშვილი, რამაზ შენგელია, ვლადიმერ გუცაევი, დავით ყიფიანი**; მესამე ნომრად - **ნოდარ ხიზანიშვილი** და **გიორგი თავაძე**.

ირლანდიურმა გაზეთმა "სანდი აიერმა" ტრადიციულად დაასახელა მსოფლიოს სიმბოლური ნაკრები, რომელშიც შევიდა **ალექსანდრე ჩივაძე**, კანდიდატთა შორის დასახელდა **დავით ყიფიანი**. თბილისის "დინამომ" იმ წელს მეორე ადგილი დაიკავა იუგოსლავიის საერთაშორისო ტურნირში.

1981 წელს ქართულ ფეხბურთში სხვა წარმატებებიც იყო. დიუსელდორფის ტრიუმფიდან ზუსტად 6 თვის შემდეგ, 13 ნოემბერს, ქუთაისის "ტორპედომ", პრინციპულ მატჩში, შინ 4:1 დაამარცხა იაროსლავლის "შინიკი" და დაიბრუნა ადგილი უმაღლეს ლიგაში. სსრკ წლის საუკეთესო ფეხბურთელად მეორედ აღიარეს საკავშირო ჩემპიონატის ბომბარდირი (23 გოლი) **რამაზ შენგელია**.

იყოჩაღეს სახელოვანი ფეხბურთელების მემკვიდრეებმაც. მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე საქართველოს ნაკრებმა ფინალში გააღწია და საბოლოოდ მეორე ადგილს დასჯერდა. "სიჭაბუკის თასის" საკავშირო გათამაშებაში საქართველოს ყმაწვილებმა მეშვიდედ მოიპოვეს მთავარი პრიზი. მოზარდებმაც და ახალგაზრდებმაც თანატოლებთან ასპარეზობაში მოიგეს ტალინის საერთაშორისო ტურნირი. რუსთავის "არიშის" ნორჩმა ფეხბურთელებმა პირველობა არავის დაუთმეს გორკში გამართულ საკავშირო ტურნირში. "ტყავის ბურთის" პრიზზე, საშუალო ასაკში, რუსთავის "ფოლადმა" და უფროს ასაკში თბილისის "პატარა ვერელმა" მესამე საპრიზო ადგილები დაიკავეს. ახლა სპორტის სხვა სახეობებზე.



ლევან თედიაშვილის გაცილება დიდი სპორტიდან



თბილისის დინამო, თასების მფლობელთა თასის გამარჯვებული. 1981 წლის 13 მაისი

ძიუდო. სეზონი გაიხსნა თბილისის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირით, რომელშიც საქართველოს ნაკრები დამოუკიდებლად მონაწილეობდა. პირველ ადგილზე გავიდნენ: **მ. ალბორიშვილი** (78), **დ. ბოდაველი** (86), **რ. ხარშილაძე** (95); მეორეზე: **შ. ხაბარელი** (78), **ჰ. ლოლაშვილი** (95), **დ. ოქრუაშვილი** (მძიმე) და **მ. ბერუაშვილი** (აბსოლუტური). მინსკში, სსრკ პირველობაზე, ვერცხლის მედლები დაიმსახურეს **შოთა ხაბარელმა** (78) და **ნოდარ ნუგზარიშვილმა** (აბსოლუტური); ბრინჯაოსი - **თამაზ ნამგალაურმა** (71), **დავით ბოდაველმა** (86) და **რამაზ ხარშილაძემ** (95). შემდეგ, ბოდაველი მეორე იყო ტოკიოს საერთაშორისო ტურნირში და ხაბარელთან ერთად მოიგო ევროპის ჩემპიონატი. მსოფლიო ჩემპიონატზე (ჰოლანდია) უძლიერესის სახელი **თემურ ხუბულურმა** მეორედ მოიპოვა. მესამე ადგილზე გავიდა **დავით ბოდაველი** (86). ხაბარელსა და ბოდაველს, შესაბამისად, მეორე და მესამე ადგილი ხვდათ წილად გდრ-ის საერთაშორისო ტურნირში, ხუბულურმა კი აქაც ყველას სძლია და პირველობა მოიპოვა. საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის გუნდის გამარჯვებით დასრულდა ამ პროფილის უმაღლესი სასწავლებლების საკლუბო საკავშირო თასის გათამაშება. პირად პირველობაში თასის მფლობელები გახდნენ **თ. კურდღელაშვილი** (65), **ა. წიკლაური** (78), **თ. მუკვანი** (86), მეორე პრიზიორთა შორის იყო **გ. კოლოტაური** (65); მესამე ადგილზე გავიდნენ: **გ. ტაბლიაშვილი** (71), **ა. სუმარაშვილი** (78), **გ. ხუცურაული** (95). გაახარეს მწვრთნელები და გულშემატკივრები მომდევნო თაობების ძიუდოისტებმაც. 1960-1963 წელს დაბადებულთა საკავშირო პირველობა (ლიპეცკი) შთამბეჭდავად მოიგო **მ. ბერუაშვილმა** (95), **გ. გოგოლაური** (71) მეორე იყო, **ჯ. მჭედლიშვილი** (86) - მესამე. სსრკ ნაკრებში ევროპის იუნიორთა ჩემპიონატში (იტალია) პირველად გაიბრწყინა ქუთაისელ **აკაკი კიბორძალიძის** (მძიმე) ტალანტმა. ის უძლიერესი იყო თავის წონაში. თანატოლთა შეჯიბრებებში კვლავ შესანიშნავად გამოდიოდა **გელა ნიორაძე** (95), რომელიც ხსენებულ პირველობაზე მეორე იყო, **გურამ გოგოლაურმა** (65) ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა. იუნიორთა საკავშირო პირად-გუნდურ პირველობაში (ლაზარევკა) კი გორის ძიუდოს სპორტსკოლის აღსაზრდელებმა იყოჩაღეს. პირველი იყო **ე. გოგიჩაშვილი**, მესამე - **ტ. ხიზანიშვილი**. მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე საქართველოს ძიუდოისტებიდან ჩემპიონები გახდნენ **დ. ვარძელაშვილი** და **ა. გუბალაძე**; მეორე ადგილზე გავიდნენ **ე. გოგიჩაშვილი** და **ს. კურტანიძე**. გუნდურ ჩათვლაში ჩვენებს მეორე ადგილი ხვდათ წილად. ასევე გუნდური მეორე ადგილი მოიპოვა საქართველოს ნაკრებმა ხარკოვში გამართულ ჭაბუკთა საკავშირო პირველობაში. **გ. დურსაგოვი** უძლიერესი იყო, **ზ. ლომსაძე** და **ჯ. ნამოევი** მესამე ადგილით დაკმაყოფილდნენ. ბრწყინვალედ იასპარეზეს სსრკ ნაკრებში "ოლიმპიური იმედის" ეგიდით გამართულ ბაქოს საერთაშორისო ტურნირში **გია გოგოლაურმა** (60) და **ბორის ფიცხელანმა** (78), **ჯემალ მჭედლიშვილმა** (86), **გელა ნიორაძემ** (95) და **გელა კობერიძემ** (მძიმე) - ხუთივე სპორტსმენი კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე დადგა. გორმა დურმიშხან ბერუაშვილის სახელობის მოსწავლეთა ტურნირს უმასპინძლა. პირველ ადგილზე გავიდნენ: **ვ. მეკოკიშვილი** (45), **გ. ხოსიტაშვილი** (53), **გ. მღებრიშვილი** (57), **ი. ნიგურიანი** (62), **ვ. ქადაგიშვილი** (75), **რ. მურადაშვილი** (83) და **ს. მუზაშვილი** (მძიმე). ყველა მათგანი ასპარეზობდა საქართველოს ნაკრებში.

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. როსტოვში სსრკ ჩემპიონობა იზეიმეს **ვახტანგ ბლაგიძემ** (52) და **მიხეილ სალაძემ** (100), ვერცხლის მედალს დაეუფლა **შოთა მორჩილაძე** (მძიმე), ბრინჯაოსას - **თემურ ყაზარაშვილი** (48). მერე ბლაგიძემ და სალაძემ სსრკ ნაკრებში მსოფლიო პირველობა (ნორვეგია) მოიგეს. სალაძე მსოფლიო თასსაც დაეუფლა სოფიაში, **გურამ მაჭარაშვილთან** (62) ერთად. მაჭარაშვილმა გაიმარჯვა აგრეთვე სოფლის სპორტსმენთა საკავშირო პირველობაში (ბარნაული). მსოფლიო უნივერსიადიდან (ბუქარესტი) შინ ოქროს მედლებით დაბრუნდნენ ყაზარაშვილი და სალაძე, ვერცხლის მედლით დაჯილდოვდნენ აფხაზავა და მაჭარაშვილი. აფხაზავამ, სსრკ ნაკრებში, მოიგო ზაპოროჟიეში გამართული საერთაშორისო ტურნირიც. ყრუ-მუნჯთა მსოფლიოს მე-14 ჩემპიონატში გაიმარჯვა **ვიქტორ მუსაევმა** (57), მესამე იყო **მიხეილ ქვლივიძე** (74). ი. პოდუბნის სახელობის ტრადიციულმა საერთაშორისო ტურნირმა (უფა) ვერცხლის მედალი მოუტანა **დავით ლატარიას** (74). ამ სპორტსმენმა პირველობა მოიპოვა აგრეთვე რკინიგზელთა მსოფლიო პირველობაზე (მიუნხენი). ახლა, რაც შეეხება ახალგაზრდების მიღწევებს. ბაქოს საერთაშორისო ტურნირზე ასეთი შედეგები გვქონდა: პირველი ადგილი - **თ. ნაჭყეპია** (82), **უ. თევდორაძე** (100), **რ. კანთელაძე** (მძიმე), მეორე ადგილი - **ზ. სირაძე** (57), **გ. ჭილაშვილი** (62), **გ. ტოგოევი** (90), მესამე ადგილი - **პ. სენგეროვი** (52), **ლ. მეხეშიძე** (74), **ნ. წერეთელი** (82). ჭაბუკთა საკავშირო პირველობაზე (კიშინიოვი) **ზ. სულუხია** (75) უძლიერესი იყო, **გ. ლაპარტყავა** (65), **თ. ნაჭყეპია** (81) და **მ. სვანიძე** (მძიმე) მეორე ადგილს დასჯერდნენ. სოცქვეყნების ჭაბუკთა ტურნირი "მეგობრობა" მოიგო **გ. ბარბაქაძემ** (75). მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა სოფელ მარტყოფში გაზრდილმა ძიუდოისტმა **ზ. ივანაშვილმა** (87).

თავისუფალი ჭიდაობა. სპორტის ამ სახეობისა და, საერთოდ, ქართული სპორტის ლეგენდამ **ლევან თედიაშვილმა** დიდი სპორტიდან წასვლა გადაწყვიტა. საზეიმო გაცილება მას თბილისის საერთაშორისო ტურნირის დროს მოუწყვეს. იმ დღეს სპორტის სასახლეში ტევა არ იყო. მადლიერმა გულშემატკივრებმა, სპორტულმა სამყარომ, ხელისუფლებამ, ჯეროვნად დააფასეს დიდი ფალავნის ღვაწლი. ხსენებულ ტურნირში ქართველებიდან მხოლოდ ერთ მოჭიდავეს - **გიორგი მაკასარაშვილს** (74) ხვდა წილად წარმატება. ის ოქროს მედალს დაეუფლა. შემდეგ მან მსოფლიო უნივერსიადაც მოიგო. სსრკ ჩემპიონატი ჩატარდა ულანუდეში. მაკასარაშვილი და **გია ყურაშვილი** (100) იქ მესამე ადგილზე გავიდნენ. ჩემპიონი გახდა **რაშ ხუტაბა** (100). ყურაშვილმა იგივე ულან-უდეში გამართულ საერთაშორისო ტურნირში პირველობა არავის დაუთმო. შემდეგ, ამ მოჭიდავემ პოლონეთის საერთაშორისო ტურნირიც მოიგო **დ. გიგაურთან** (68), **ვ. კოტორაშვილთან** (74) და **ჯ. ტარიელაძესთან** (მძიმე) ერთად. მესამე ადგილზე კი გავიდნენ **ზ. წონორია** (48), **გ. ხითარიძე** (62) და **გ. ქენქაძე** (68). ჭაბუკებმა იასპარეზეს საკავშირო პირველობაზე (ყარაგანდა), სადაც უძლიერესი იყო **ლერი ხაბელოვი** (87), **ვეფხია სახლთხუციშვილი** (48), **მალხაზ როზომაშვილი** (56) და **ზაზა თურმანიძე** (მძიმე) მესამე პრიზიორები გახდნენ. ფრუნზეში კი, საკავშირო პირად-გუნდურ ასპარეზობაში, თანატოლებში მეორე ადგილზე გავიდა **დავით ჭინჭარაძე** (57). პროფგანათლების სისტემის საკავშირო სპარტაკიადისთვის კარგად მომზადებულმა საქართველოს ნაკრებმა იოლად მოიპოვა გუნდური პირველობა, პირადში კი ჩემპიონები გახდნენ **მ. როზომაშვილი** (56), **ლ. ხაბელოვი** (87), **გ. გალდავა** (97) და **ზ. თურმანიძე** (მძიმე); ვერცხლის მედლებს დაეუფლნენ **ა. წიკლაური** (75), **დ. ბუზარიაშვილი** (97) და **კ. ლომიძე** (81). ახალგაზრდებს შორის სსრკ პირველობა ჩატარდა მოლდოვაში. იქ **ზ. წონორია** პირველ ადგილზე გავიდა, **მ. ხურციძე** (80) მეორეზე, **მ. რაზმაძე** (80) კი მესამე იყო.

სამბო. საკავშირო ჩემპიონატი (ყარაგანდა). მეორე ადგილი: **დავით ჯულაშვილი** (57), მესამე - **სოსო როსტიაშვილი** (48). სსრკ თასი (გორკი). პირად პირველობაში თასს ეუფლება **ნოდარ მანველიშვილი** (82). მსოფლიო თასი. სსრკ ნაკრებში იმარჯვებს როსტიაშვილი. მოსკოვში გამართულმა საკავშირო ტურნირმა პირველობა მოუტანა იმავე მანველიშვილს და **დ. მაღალთაძეს**, გუნდი კი მესამე იყო. მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის სარბიელზე **შალვა პაპინაშვილმა** (48) და **ალექსანდრე ხაჩიძემ** ოქროს მედლები მოუტანეს საქართველოს ნაკრებს. პრიზიორები გახდნენ **ზაზა გუგულაშვილი** (52) და **დათო ძიძიშვილი** (81). ჭაბუკებმა სოფლის სპორტსმენთა საკავშირო პირველობაზე 7 მედალი დაიმსახურეს, აქედან - ოთხი ოქროსი: **ჯ. პაპინაშვილი** (52), **ნ. ბეგლარიშვილი** (65), **გ. მამულაშვილი** (60), **ა. დავითაშვილი** (74); მეორე ადგილზე გავიდნენ **ზ. პაპინაშვილი** (65) და **ზ. გუგულაშვილი** (60); მესამეზე - **ა. ჯანჯალიაშვილი** (64). აღსანიშნავია, რომ ყველა გამარჯვებული და პრიზიორი კასპიდანაა. ჭაბუკთა საკავშირო პირველობაზე (ნოვოკუზნეცკი) **ფრიდონ ნინილაშვილი** (75) საუკეთესო იყო, მესამე პრიზიორები გახდნენ **გოჩა ჭიკაძე** (65) და **ვაჟა ტუაევი** (მძიმე). იუნიორთა პირველობა ჩატარდა მადრიდში. ოქროს მედალს დაეუფლა სოხუმელი **სერგეი ტერნოვიხი** (52).

ქართული ჭიდაობა. საქართველოს 1981 წლის ფალავნის ტიტულს დაეუფლა **შოთა ხაბარელი**.

*(გაგრძელება იქნება)*

**თენგიზ გაჩეჩილაძე**

**საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია**

აცხადებს მიღებას 2007/08 სასწავლო წლისთვის ფიზიკური აღზრდის ფაკულტეტის შემდეგ სპეციალობებზე:

ა) მწვრთნელის სპეციალობა (სპეციალიზაციები: ფეხბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი, ხელბურთი, რაგბი, ჩოგბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, თავისუფალი ჭიდაობა, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, ძიუდო, სამბო, აღმოსავლური ორთაბრძოლები, ფარიკაობა, მშვილდოსნობა, ტყვიის სროლა, თანამედროვე ხუთჭიდი, ცხენოსნობა, ცურვა, წყალში ხტომა, წყალბურთი, სინქრონული ცურვა, აკადემიური ნიჩბოსნობა, ბაიდარა, კანოე, ძალოსნობა, ათლეტიზმი, ჭადრაკი, სპორტული ტანვარჯიში, მხატვრული ტანვარჯიში, აკრობატიკა, ბატუტი, სპორტული (ცეკვები, მძლეოსნობა, კრივი, ველოსპორტი, ჭადრაკი, მეკლდეურობა, ალპინიზმი, ტურიზმი, სამთო თხილამურები, თხილამურებით რბოლა, ტრამპლინიდან ხტომა, რეაბილიტაცია ფიზიკური ვარჯიშებით).

ბ) პედაგოგიური სპეციალობა (ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი).

1. ღია კარის დღე დანიშნულია 28 მაისს, 4 ივნისს და 11 ივნისს 12 საათზე.
2. 7 მაისიდან 11 ივნისის ჩათვლით ფუნქციონირებს ერთთვიანი მოსამზადებელი კურსები საერთო ფიზიკურ მომზადებაში. სწავლება ფასიანია (სწავლების ღირებულება 100 ლარი).
3. აკადემიაში შემსვლელი აბიტურიენტებისთვის გამოცდა (საერთო ფიზიკური მომზადება) ჩატარდება 18 ივნისიდან 23 ივნისის ჩათვლით.
4. აბიტურიენტმა სამედიცინო შემოწმება სავალდებულოა გაიაროს აკადემიაში.
5. საბუთების მიღება (რეგისტრაცია) 7 მაისიდან 11 ივნისის ჩათვლით, 10-დან 16 საათამდე, კვირის გარდა (რეგისტრაცია ფასიანია. ფასი 15 ლარი)

მიმღები კომისია

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ახლო წარსულში ამავე სასწავლებლის სპორტული მედიცინის ღვაწლმოსილი პედაგოგი

**ეთერ ლომიძე**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს სამეურნეო დარგში აკადემიის ყოფილი პრორექტორის

**თამაზ სინჯიკაშვილის**

გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

ქართველები NBA-ში

# ზაზა, ატლანტა და მოუხელთებელი ჯო



ატლანტა-მინესოტა. კევინ გარნეტი ზაზა ფაჩულიას წინააღმდეგ

**ზაზა ფაჩულიას** კარიერაში გასული კვირა გამორჩეული იყო: "ვაშინგტონ ვიზარდსთან" მან 27 ქულა ჩააგდო და კარიერის რეკორდი დაამყარა, თუმცა, ამაზე საყურადღებო ორი რამ გახლდათ - საერთო აღიარებით, ზაზამ "ატლანტას", ფაქტობრივად, მარტომ მოაგებინა და მეორე, ნათლად გამოჩნდა, რომ ამერიკის ნაკრების წევრი ჯო ჯონსონი თავისი ურიცხვი ქულებით ჯორჯიელებს კი არ რგებს, არამედ აფერხებს.

წინა კვირას **ნიკა ცქიტიშვილის** ინტერვიუს ასე ერქვა: "მე არა, ჩვენ!" ამერიკიდან ევროპაში ჩამოსულ ცქიტოს ესპანეთში სხვაგვარი კალათბურთი დახვდა: *"ყველა გუნდში 10-12 კაცზე ფუნქციები თანაბრადაა განაწილებული, ამერიკაში კი თითო ლიდერი ჰყავთ და დანარჩენები შავი სამუშაოთი არიან დაკავებულები. შედეგი გუნდურ თამაშს მოაქვს. ამაში ამერიკის ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატზე დაგვარწმუნა, როცა ძლიერმა ინდივიდუალისტებმა ვერაფერი მოუხერხეს არაფრით გამორჩეულ, ოღონდ გუნდურად მოთამაშე საბერძნეთს".*

ამხელა შესავალი იმისთვის დაგვჭირდა, რომ გვეთქვა: "ატლანტაში" თითქმის ყველა შეტევას **ჯო ჯონსონი** აგვირგვინებდა, დანარჩენები შავ სამუშაოს ასრულებდნენ. ზოგი ჯოს სივრცეს უთავისუფლებდა, ზოგიც მისი პასებით მომარაგებით იყო დაკავებული. მოკლედ, "ჰოქსში" დაახლოებით ისეთივე სიტუაცია იყო, როგორც თბილისის "მაკაბიში" - ჯონსონი და **შერმადინი** 30-ქულას ქვემოთ იშვიათად ეშვებიან, მაგრამ მათი გუნდები თამაშს თამაშზე აგებენ.

დაბეჯითებით შეიძლება იმის თქმა, რომ "მაკაბის" შერმადინის არყოფნაში კიდევ უფრო გაუჭირდება... "ატლანტას" ჯონსონის არყოფნაში?

ამ კითხვაზე გასულმა კვირამ გარკვევით გვიპასუხა: ჯოს გარეშე ჯორჯიელებმა სამი მატჩი ჩაატარეს და სამივე მოიგეს - "ვაშინგტონთან", "მემფისთან" და "მინესოტასთან". გუნდის ლიდერმა სერიოზული ტრავმა მიიღო და ექიმების ვარაუდით, რეგულარული პირველობის ბოლომდე "ატლანტას" ვერ დაეხმარება. ჯონსონის არყოფნით თითქოს დანარჩენ ჰოქსელებს ბორკილები ახსნესო - ყველა გამოცოცხლდა და "ატლანტაც" გუნდურად ათამაშდა...

და მაინც, როგორ შეიძლებოდა "ოლ სტარის" მონაწილეს თანაკლუბელთა გამარჯვებებისთვის ხელი შეეშალა? ამის რამდენიმე მიზეზი არსებობს: როცა მეტოქემ იცის, რომ კალათის მიმართულებით ერთადერთი კაცი ისვრის და მისი შეჩერებით გუნდიც დამუხრუჭდება, ყველაზე ძლიერ მცველს მიაჯაჭვებენ და თამაშიც მორჩება.

ასეთ დროს ბევრი რამე დანარჩენ ატლანტელებზეა დამოკიდებული, მაგრამ როცა მწვრთნელის მითითებით ჯონსონის ხელშეწყობაზე არიან კონცენტრირებულნი, თვალის დახამხამებაში სროლაზე ფოკუსირება უჭირთ, ამიტომაცაა ბევრ ტყორცნას რომ აფუჭებენ და საერთოდ, "ჰოქსის" კალათბურთელები NBA-ს მასშტაბით ყველაზე არასტაბილურები არიან.

ხოლო, როცა ლიდერი ჯო მოედანზე არაა, აზროვნებას მეტი თავისუფლება ეძლევა, სროლის სიზუსტეც მატულობს და მოგებებიც. ისე არ გაიგოთ, თითქოს ვამტკიცებდეთ, რომ მხოლოდ ჯონსონია დამნაშავე. დამნაშავეა მწვრთნელი, რომელიც ვერ ხვდება, რომ ფუნქციების თანაბრად გადანაწილებით თავადაც მოიგებს, ჯოც და გუნდიც. საქმის გადანაწილებაზე ნათელი წარმოდგენა შეგვიქმნა "ვაშინგტონ ვიზარდსის" მწვრთნელმა **ედი ჯორდანმა**: *"ამ საღამოს შეუვალი გუნდის წინააღმდეგ მოგვიწია თამაში. "ატლანტა" ერთიანი იყო, როგორც არასდროს. ზაზა ფაჩულიას დიდებული დღე ჰქონდა - შეტევაში შეუჩერებელი იყო, უკანახაზელი ანტუან ჯონსონი თამაშის ტემპს კარგად აკონტროლებდა, მწვრთნელი მაიკ ვუდსონი შეგირდებს სწორად ათამაშებდა..."*

"ვაშინგტონის" თავკაცის გამონათქვამის წაკითხვისთანავე **ვლადიმერ სტეფანიას** სიტყვები გამახსენდა: *"ზაზას გუნდში ყველაფერი წესრიგში არ არის. ვგულისხმობ სათამაშო სისტემას - არ შეიძლება მოგება-წაგება ერთ კაცზე, ჯონსონზე იყოს დამოკიდებული. ვერც ჯოშ სმიტისა გავიგე რამე - კარგად ხტუნავს, ბურთს ატარებს, მაგრამ პასი არ იცის, ამის გამო ბევრ ბურთს კარგავს. ზაზა კი ფარქვეშ ხან ერთი მხრიდან იხსნება, ხან მეორიდან, მაგრამ პასი არ მისდის, შეტევაში ძირითადად მოხსნების იმედადაა. ამიტომაცაა არასტაბილური, თორემ "მაიამის" დარ გუნდში რომ თამაშობდეს, სადაც თორმეტივე კალათბურთელს თავისი ფუნქცია აქვს, შეტევათა ნაწილი მასზე გაივლიდა და 15 ქულას არ ჩამოსცდებოდა. მოხსნებიც საკმარისად მოუგროვდებოდა".*

**ვაჟა სიმონიშვილი**



თურქეთში გამგზავრების წინ — ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# მომავალი კადეტები თურქეთით იწყებენ

გუშინ საქართველოს 1992 წლის დაბადებულთა ნაკრებმა "აკადემიის" დარბაზში ვარჯიში ჩაატარა, მასმედიის წარმომადგენლებს შეხვდა, შემდეგ მამადავითის ეკლესიაში ავიდა და საღამოს თურქეთში გაემგზავრა.

კადეტთა გუნდი თურქეთში ხუთდღიან შეკრებას მოაწყობს და 4 ადგილობრივ გუნდს გაეჯიბრება. სამი მეტოქის ვინაობა ცნობილია - "დარუშაფაკა", "ეფესი" და "ფენერბაჰჩე", ხოლო მეოთხე თურქეთში გაირკვევა. წინასწარ ისიც გარკვეულია, რომ ქართველ ახალგაზრდებს ერთი წლით უფროსებთან მოუწევთ დაპირისპირება.

შეგახსენებთ, რომ 1992 წელს დაბადებულთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე 2008 წელს იბრძოლებს. მანამდე, 2007 წლის ზაფხულში კრეტაზე გასამართ ევროპის პირველობაზე 1991-წლიანები ითამაშებენ. დავინტერესდით, 1992-იანთა ნაკრებიდან წელს კადეტების მწვრთნელი, **ნიკო ჩერქეზიშვილი** ვინმეს დამატებას ხომ არ აპირებს "ამის შესახებ ინფორმაცია არ გვაქვს. ყოველ შემთხვევაში, ჯერ არ ვიცით, ჩვენგან ვინმეს წაიყვანენ თუ არა საბერძნეთში, ევროპის ჩემპიონატზე. ჩვენი მთავარი მიზანი, 2008 წლის კადეტთა პირველობისთვის მზადებაა. ბიჭებს კვირაში ორჯერ ვკრებთ და ერთი წლით უფროსთა საქართველოს ჩემპიონატში ვთამაშობთ წარმატებით". - გვითხრა 1992 წელს დაბადებულთა ნაკრების მწვრთნელის ასისტენტმა **გია კაზანჯიანმა**.

ამ გუნდს კალათბურთის ფედერაცია სერიოზულ ყურადღებას აქცევს, რადგან გადაჭრით ითქვა, რომ 1992-წლიანებიდან ასაკის გადაკეთების მცდელობა მკაცრად დაისჯება. ამ საკითხს ნაკრების მწვრთნელებიც დიდ ყურადღებას უთმობენ. აი, რას ამბობს მთავარი მწვრთნელი **გელა წულაძე**: *"მოთამაშეთა ნამდვილი ასაკის დასადგენად პოლიკლინიკაშიც მოგვიხდა მისვლა. აცრებისას დაბადების წელი ყოველთვის ფიქსირდება და ამ გზით აღმოვაჩინეთ, რომ ორ ბავშვს ასაკი ჰქონდა გადაკეთებული. გუნდიდან დაუყოვნებლივ გავუშვით."*

### 15-წლამდელთა ნაკრები

უკანა ხაზი: 10. **დავით გურაბანიძე** (მართვე I), 7. **გიორგი ტეტელაშვილი** (მართვე II), 9. **ირაკლი ჩერქეზიშვილი** (მართვე I), 12. **შალვა კაკაურიძე** (თსუ)

ფორვარდები: 8. **მერაბ ბოქოლიშვილი** (აკადემია), 5. **ლაშა მამალაძე** (მართვე I), 14. **ნოდარ თენიეშვილი** (ბათუმი), 15. **გიორგი ჩიბურდანიძე** (ბათუმი), 13. **ბექა ჩეჩელაშვილი** (აკადემია), 4. **ნიკა მაღრაძე** (მართვე I)

ცენტრები: 11. **გიორგი ჯავახიშვილი** (აკადემია), 6. **გიორგი მირიანაშვილი** (მართვე II)

მთავარი მწვრთნელი: გელა წულაძე; ასისტენტები: გია კაზანჯიანი, გია ტეტელაშვილი

**ვაჟა სიმონიშვილი**

### ბრავო, ლადო!

**ჩოგბურთი**. ასე შეაფასა შვეიცარიულმა პრესამ ლადო ჩიხლაძის გამოსვლა ლოიგერნის და ვადუცის ტურნირებზე: 21 წლის ქართველმა პუბლიკა თავისი უძლიერესი მონოდებებით გაანცვიფრა. ლადომ ზედიზედ ორი ტურნირის მოგების შემდეგ შვეიცარიის ქალაქ ვილენში გადაინაცვლა, სადაც, სავარაუდოდ, განთესილთა შორის იქნება. ლადომ შარშან ამ ტურნირის წყვილთა თანრიგის ფინალში ითამაშა. ესპანურ ბადალონაში დაიწყო 10-ათასიანი ტურნირი, რომლის საკვალიფიკაციო ეტაპზე "უაილდ ქარდით" ისპარეზა 16 წლის **რეზო ოსაძემ**. რეზოს დებიუტი დიდებში მარცხიანი გამოდგა, მან ესპანელ **მიგელ ოლასოსთან** (1039) 1:6, 5:7 დათმო.





# ცქიტიშვილი ბარსელონასთან

გასულ კვირაში ლეგიონერთა შორის გამოირჩა **ზაზა ფაჩულია**, რომლის შესახებაც ამავე გვერდზე წაიკითხავთ. აქ კი "ესპანელებზე" მოგახსენებთ მოკლედ. **ნიკა ცქიტიშვილმა** NBA-დან სევილიაში გადასვლის შემდეგ საუკეთესო მატჩი ითამაშა, თანაც ვისთან - "ბარსელონასთან" - ცქიტომ 16 წუთში 4-დან 2 ორქულიანი, 8-დან 8 საჯარიმო ჩააგდო და 12 ქულას 6 მოხსნაც დაუმატა. ნიკას მხარი მხოლოდ **ვიდენოვმა** (21 ქულა) და **ალექსანდერმა** (24 ქულა) აუბეს, მაგრამ მათი კარგი გარჯა გამარჯვებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა - "ბარსამ" სევილიაში 95:85 იმარჯვა.

**ვიქტორ სანიკიძის** "ესტუდიანტესმა" ევროთასის ფინალურ ოთხეულში გააღწია - პოდმოსკოვიეს "დინამო" რუსეთშიც დაამარცხა და სერიაში მესამე მატჩის გამართვა საჭირო არ გახდა. ვიქტორი პოდმოსკოვიეში სასტარტო შემადგენლობაში გამოჩნდა და პირველ ტაიმში 3 ქულას დასჯერდა, მეორეში არ უთამაშია.

ევროთასის ნახევარფინალი 13 აპრილს გაიმართება. "ესტუდიანტესის" მეტოქე "აზოვმაშსა" და აელ-ს შორის გამარჯვებული იქნება. მეორე წყვილში ბოლონიის "ვირტუსი" ელის თავის მეტოქეს. ფინალური მატჩი 15 აპრილს შედგება.

**ვაჟა სიმონიშვილი**

| მოთამაშე | ტურნირი | თარ. | მატჩი | წ. | მ | პ | ჩ | ძ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ზაზა ფაჩულია | NBA | 05.03 | მაიამი-ატლანტა 88:81 | 27 | 5 | 1 | 1 | 7 |
| | | 07.02 | ატლანტა-ვაშინგტონი 100:97 | 39 | 12 | 4 | 1 | 27 |
| | | 09.03 | ატლანტა-მემფისი 106:105 | 22 | 7 | 1 | 1 | 11 |
| | | 10.03 | ატლანტა-მინესოტა 99:93 | 35 | 15 | 2 | 1 | 16 |
| ვიქტორ სანიკიძე | ევროთასი | 06.03 | ესტუდიანტესი-დინამო 80:70 | არ უთამაშია | | | | |
| | ევროთასი | 09.03 | დინამო-ესტუდიანტესი 74:78 | 9 | 2 | 1 | 0 | 3 |
| | ესპანეთი (ჩ.) | 11.03 | ხირონა-ესტუდიანტესი 79:84 | არ უთამაშია | | | | |
| ნიკა ცქიტიშვილი | ესპანეთი (ჩ.) | 10.03 | კახა-ბარსელონა 85:95 | 16 | 6 | 0 | 0 | 12 |
| ვატო ნაცვლიშვილი | საფრანგეთი (ჩ) | 10.03 | ბურგი-დიჟონი 67:69 | 22 | 5 | 0 | 0 | 7 |
| ვლადიმერ ბოისა | ულების თასი | 06.02 | მონტეპასკი-უნიქსი 96:97 | 12 | 4 | 1 | 0 | 4 |
| | იტალია (ჩ.) | 11.03 | მონტეპასკი-ვარეზე 74:61 | 13 | 2 | 0 | 0 | 0 |
| ტაირონ ელისი | იტალია (ჩ.) | 10.03 | აველინო-ნაპოლი 88:75 | 24 | 2 | 1 | 0 | 15 |
| მანუ მარკოიშვილი | ადრიატიკა | 10.03 | სპლიტი-ოლიმპია 67:91 | 20 | 3 | 3 | 2 | 11 |
| გიორგი ცინცაძე | ბალტიის თასი | 06.03 | ლიეპაია-როკი 94:84 | 12 | 0 | 0 | 1 | 0 |
| | ესტონეთი (ჩ.) | 10.03 | პირნუ-როკი 63:110 | 26 | 4 | 3 | 0 | 8 |
| სერგო ათუაშვილი | ბალტიის თასი | 06.02 | პანევეჟისი-ნეპტუნასი 85:84 | 6 | 1 | 0 | 0 | 1 |
| | ლიტვა (ჩ.) | 10.03 | საკალაი-ნეპტუნასი 70:84 | 7 | 1 | 0 | 0 | 4 |
| ტატო ვაშაკიძე | ლიტვა (ჩ.) | 10.03 | ნევეჟისი-შიაულიაი 90:66 | 7 | 1 | 0 | 0 | 3 |
| გიორგი გაფრინდაშვილი | ლატვია (ჩ.) | 10.03 | ასკ-ბარონსი 68:87 | 15 | 2 | 2 | 1 | 2 |
| ნოდარ შენგელია | ლიტვა (II ლიგა.) | 10.03 | აკადემია-პრიენაი 110:94 | 22 | 8 | 0 | 1 | 15 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# შემდეგი გაჩერება: თეთრი სახლი

ბოლო წლებში, როგორც კი რომელიმე გუნდი 10 და მეტმატჩიან წარმატებულ სერიას გამოჭედავდა, სპეციალისტები მაშინვე იწყებდნენ პარალელების გავლებას, ბევრის აზრით, ყველა დროის უდიდეს და შეუდარებელ "ჩიკაგო ბულზთან", რომელმაც 1995-96 წლების რეგულარული 72 მოგებითა და 10 წაგებით შეაკოწიწა.

გახსოვთ შარშანდელი "პისტონზი"? იმ გუნდს სადღაც 60 მატჩის მერე, დაახლოებით ისეთივე საშუალედო მაჩვენებელი ჰქონდა, როგორიც მაშინდელ "ბულზს", თუმცა რა რეკორდი, რის რეკორდი - **ჩონსი ბილაპსმა** და კომპანიამ სეზონის ფინიში ჩააგდეს და ფლეი ოფში ძალიან არათანაბრად თამაში "მაიამი ჰიტთან" სრული ფიასკოთი დაასრულეს.

იმ "პისტონსზე" ბევრად გამართულ, დაცვაში თითქმის უშეცდომო კალათბურთს თამაშობს **ეივერი ჯონსონის** "მავერიქსი" და მიუხედავად იმისა, რომ "ბულზის" რეკორდის გამეორება, ალბათ, არ მოხერხდება (დარჩენილი შეხვედრებიდან ტეხასელებს ოდენ ერთის წაგების უფლება აქვთ), "დალასში" ამას ზედმეტ ყურადღებას არავინ აქცევს. ასეთი გუნდისთვის ხომ ჩემპიონობის გარდა, სხვა ნებისმიერი შედეგი მეორეხარისხოვანია.

*"კომპლიმენტებით გვავსებენ, რაც თავიდან სასიამოვნოა, მაგრამ ნელ-ნელა დამღლელი ხდება"*, - მიაჩნია ჯონსონს.

მიმდინარე რეგულარულში, "დალასს" 13-მატჩიანი წარმატებული სერია ორი თვის წინათ სწორედ "ლეიკერსმა" და სწორედ "სტეიპლს სენტრში" შეაწყვეტინა. გუშინდელ მატჩში კალიფორნიელებს ამისი გაკეთების მცირე შანსიც კი არ ჰქონიათ - **დირკ ნოვიცკიმ** და კომპანიამ თავიდანვე გაგუდეს მასპინძლები და დიდი შესვენებისთვის პასუხი თითქმის ყველა კითხვას გაეცა, რადგან "მავერიქსი" 59:35 დაწინაურდა.

ზედიზედ მე-17 მოგება, არაჩვეულებრივი გუნდური თამაში და რაც მთავარია, "დალასი" უკვე იმ მატჩებსაც იგებს, რომლებშიც ნოვიცკის თავისივე სტანდარტებით თამაში არ მისდის.

"ლეიკერსთან" ძალიან კარგი იყო **ჯოშ ჰოვარდი**, როგორც წესი, სტაბილურად ჩაერთვნენ მატჩში რეზერვისტები, დაცვა კი ისეთივე გაუვალი გახლდათ, როგორიც მთელი ჩემპიონატისას.

მას შემდეგ, რაც "ლეიკერსი" მინეაპოლისიდან ლოს ანჯელესში გადაბარგდა, გუნდს ასეთი დიდი სხვაობით შინ არ წაუგია. რა თქმა უნდა, საბოლოო შედეგზე იმანაც იმოქმედა, რომ მასპინძლებს ტრავმების გამო, ლამის ნახევარი შემადგენლობა (**ლამარ ოდომი, ლიუკ უოლტონი, ვლადიმირ რადმანოვიჩი**) არ ჰყოლიათ, **სმაშ პარკერმა** კი მეორე მეოთხედის დასაწყისში მეორე ტექნიკური შენიშვნა მიიღო და მოედნის დატოვება მოუხდა. თუმცა ვეჭვობთ, რომ თუნდაც სრულად შეკრებილ "ლეიკერსს" ამ მანქანის შეჩერება შეძლებოდეს.

კალიფორნიელთა მთავარი მწვრთნელი, ზემოთ ნახსენები "ჩიკაგოს" ყოფილი თავკაცი **ფილ ჯექსონი** "დალასში" ჩემპიონობის მთავარ ფავორიტს ხედავს, თუმცა მაინც მიიჩნევს, რომ მაშინდელი "ბულზი" უფრო შეკრული, მაღალი დონის გუნდი იყო.

*"მავერიქსი" ფლეი ოფის ულაპარაკო ფავორიტია. ვფიქრობ, ეს ჩემს გარეშეც მშვენივრად იცით, მაგრამ ჩემი "ჩიკაგოსა" და დღევანდელი "დალასის" შედარება მაინც უხერხულად მიმაჩნია. ჩვენ თითქმის ყოველ სეზონში რაღაცა სიახლე შეგვქონდა კალათბურთში, ორჯერ კი ზედიზედ 3 ჩემპიონობა მოვიპოვეთ. დირკს დიდ პატივს ვცემ, იგი წელს ულაპარაკოდ საუკეთესოა, მაგრამ მას ვერც მაიკლს შევადარებ და ვერც სკოტის. ვნახოთ, როგორ დაასრულებს "დალასი" სეზონს და მერე ვილაპარაკოთ"*, - განუცხადა ნამატჩევს მასმედიელებს ჯექსონმა.

"დალასამდე" ამ რეგულარულში ზედიზედ 17 მოგება "ფინიქს სანზს" ჰქონდა, მაგრამ მერე და მერე არიზონელებმა ოდნავ დაამუხრუჭეს, "დალასის" შემჩერებელი კი არავინ ჩანს. ერთადერთი გუნდი, ვისთანაც ჯონსონის ბიჭები აშკარა ფავორიტები არ იქნებიან, მათივე თანაშტატელი "სპურსია", თუმცა ეს ტიტანები სეზონის ბოლოსღა დაეჯახებიან ერთმანეთს, მანამდე კი "დალასმა" რეგულარული, ნოვიცკიმ უძვირფასესის პრიზი, ეივერიმ კი, ალბათ, საუკეთესო მწვრთნელისთვის დაწესებული ჯილდო უნდა მოიგონ. დალასში კი, ერთ-ერთმა ფანმა გუნდის დარბაზის წინ ასეთი პოსტერი გამოფინა - "შემდეგი გაჩერება - თეთრი სახლი". ჩემპიონებს ხომ ამერიკის პრეზიდენტი თავის რეზიდენციაში იღებს.

■ ■ ■

სეზონის საუკეთესო ალმასრულებლის პრიზი კი, ახლავე უნდა გადასცენ მისტერ **კოლანჯელოს,** რომელმაც ჭკვიანური ტრანსფერებით "ტორონტო" აღმოსავლეთის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდად აქცია.

**ენტონი პარკერი** და **ხორხე გარბახოსა** მან ევროპიდან წაიყვანა, **ანდრეა ბარნიანიზე** არჩევანი დრაფტისას შეაჩერა, დატოვა გუნდში **რაშო ნესტეროვიჩი**, ხოლო **ჩარლი ვილიანოვას** ნაცვლად **ტი. ჯეი. ფორდის** აყვანით, კოლანჯელომ გუნდს ძალიან ძლიერი ფლეიმეიქერი შემატა.

სხვა თემაა **კრის ბოში**, რომელიც იქნებ მომდევნო სეზონიდანვე გაუტოლდეს დიად თანაამპლუელებს - **ტიმ დანკანსა** და **კევინ გარნეტს**.

"რეპტორზი" ფლეი ოფში გავა, სადაც პირველ წრეში საკუთარი მოედნის უპირატესობაც უნდა ჰქონდეს, მერე კი ყველაფერია შესაძლებელი. აღმოსავლეთში, "დეტროიტის" გარდა, არ მოჩანს არცერთი გამოკვეთილი გრანდი, რაც დანარჩენ შვიდ გუნდს თანაბარ შანსებს აძლევს.

"სიეტლთან" ფორდმა დამატებით დროში 9 ქულა მოინადირა, დაცვაში ორჯერ მაგრად დაუდგა **რეი ალენს** (7-დან 4 ზუსტი სამქულიანი) და შეხვედრის მთავარ გმირადაც იქცა.

კანადელებმა ბოლო 10 საშინაო შეხვედრაში მეცხრე გამარჯვება მოიპოვეს, ბოშს კი 43 წუთში არცერთი შეცდომა არ დაუშვია.

**ზურაბ თალაკვაძე**

| ტორონტო-სიეტლი | 120:119 (ო) |
|---|---|

19:25, 22:30, 24:29, 35:28, 14:13

**ტორონტო:** ბოში (27 ქ. 10 მ. 3 პ. 3 ჩ. 2 დ), ტი. ჯეი. ფორდი (25 ქ. 13 პ. 3 ჩ. 4 მ), ბარნიანი (19 ქ. 5 მ. 1 პ), ე. პარკერი (11 ქ. 5 მ), დიქსონი (11 ქ).

**სიეტლი:** რ. ალენი (36 ქ. 9 მ), რ. ლიუისი (26 ქ. 13 მ. 2 დ), პეტრო (13 ქ. 13 მ. 2 ჩ), უილკოქსი (12 ქ. 9 მ), უილკინსი (12 ქ).

| კლიპერსი-დეტროიტი | 80:98 |
|---|---|

22:27, 21:20, 14:24, 23:27

**კლიპერსი:** მაგეტი (19 ქ. 2 ჩ), ტიმ ტომასი (16 ქ), მობლი (12 ქ. 3 ჩ), ბრენდი (11 ქ. 12 მ. 6 პ), ჰარტი (10 ქ. 5 პ).

**დეტროიტი:** რ. ჰამილტონი (23 ქ. 5 პ), უებერი (19 ქ. 11 მ. 3 პ), ბილაპსი (17 ქ. 12 პ. 6 მ. 4 პ), მაკდაიესი (17 ქ. 6 მ).

| საკრამენტო-დენვერი | 101:113 |
|---|---|

29:27, 16:32, 28:24, 28:30

**საკრამენტო:** ბიბი (34 ქ. 4 პ. 3 ჩ), კევინ მარტინი (19 ქ. 4 ჩ), არტესტი (17 ქ. 8 მ. 4 ჩ. 3 პ), ბ. მილერი (11 ქ. 7 მ. 5 პ. 2 დ).

**დენვერი:** ენტონი (29 ქ. 10 მ. 6 პ. 4 დ), აივერსონი (24 ქ. 7 პ. 6 მ. 4 ჩ), კლეიზა (24 ქ. 8 მ), კემბი (16 ქ. 10 მ. 6 პ. 4 დ).

| ბოსტონი-ჩიკაგო | 78:94 |
|---|---|

7:24, 24:24, 22:18, 15:28

**ბოსტონი:** ჯ. გრინი (15 ქ), რონდო (12 ქ. 8 პ. 7 მ. 3 ჩ), პოუ (11 ქ. 7 მ), ელ ჯეფერსონი (10 ქ. 6 მ), პირსი (8 ქ. 5 მ. 5 პ).

**ჩიკაგო:** ჰაინრიხი (26 ქ. 7 პ. 3 ჩ), გორდონი (21 ქ. 4 პ), დენგი (17 ქ. 5 პ), ბ. უოლასი (10 ქ. 14 მ. 2 დ).

| მაიამი-ვაშინგტონი | 106:104 |
|---|---|

28:14, 28:29, 16:38, 34:23

**მაიამი:** ე. ჯოუნსი (18 ქ. 3 პ. 2 ჩ), პეიტონი (17 ქ. 7 პ. 4 მ), მურნინგი (16 ქ. 7 მ. 4 დ), შ. ონილი (12 ქ. 6 მ), ა. უოკერი (11 ქ. 5 მ. 3 ჩ), ჯეისონ უილიამსი (11 ქ. 6 პ. 2 ჩ), ჰასლემი (11 ქ. 10 მ. 3 პ), პოუსი (10 ქ).

**ვაშინგტონი:** არენასი (33 ქ. 6 პ. 4 მ), ჯეიმისონი (26 ქ. 15 მ), ჰეივუდი (12 ქ. 8 მ).

| კლივლენდი-ინდიანა | 99:88 |
|---|---|

31:18, 24:19, 27:24, 17:27

**კლივლენდი:** ლ. ჯეიმსი (26 ქ. 7 მ. 6 პ. 3 ჩ), ჰიუზი (23 ქ. 7 პ. 4 მ), გუდენი (19 ქ. 8 მ), ილგაუსკასი (10 ქ. 6 მ. 3 დ).

**ინდიანა:** მ. დანლივი-უმცროსი (25 ქ. 6 მ. 2 ჩ), დ. გრეინჯერი (17 ქ), დიოგუ (16 ქ. 5 მ), დ. ჰარისონი (11 ქ. 2 დ), ფოსტერი (4 ქ. 11 მ).

| ჰიუსტონი-ორლანდო | 103:92 |
|---|---|

31:23, 27:22, 25:21, 20:26

**ჰიუსტონი:** მინი (37 ქ. 7 მ. 4 დ), მაკგრეიდი (19 ქ. 10 პ. 2 ჩ), ჯუვან ჰოვარდი (14 ქ. 5 მ), ბეტიე (12 ქ. 8 მ).

**ორლანდო:** გ. ჰილი (17 ქ), დ. ჰოვარდი (16 ქ. 12 მ. 3 პ. 2 ჩ), მილიჩიჩი (15 ქ. 9 მ. 4 დ. 3 პ), თურქოღლუ (10 ქ).

| ლეიკერსი-დალასი | 72:108 |
|---|---|

24:28, 11:31, 23:26, 14:23

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (25 ქ. 9 მ. 3 პ), ფარმარი (10 ქ), შემონდ უილიამსი (7 ქ. 2 პ).

**დალასი:** ჯოშ ჰოვარდი (24 ქ. 4 . 4 ჩ), ნოვიცკი (19 ქ. 5 მ), ტერი (14 ქ), კრომშირი (13 ქ. 8 მ), სტექჰაუზი (13 ქ), დ. ჰარისი (10 ქ), დიოპი (4 ქ. 13 მ).

| პორტლენდი-გ. სტეიტი | 106:87 |
|---|---|

27:25, 25:20, 35:21, 19:21

**პორტლენდი:** როი (26 ქ), ზ. რენდოლფი (25 ქ. 13 მ), უდოკა (15 ქ. 5 მ).

**გოლდენ სტეიტი:** ელ ჰარინგტონი (16 ქ. 7 მ), ჯ. რიჩარდსონი (14 ქ. 5 პ), ბარნსი (11 ქ. 5 მ. 2 ჩ), მ. ელისი (11 ქ. 6 პ).




დალასში ყველა დარწმუნებულია: შეტევაზე ჯერი სტეკჰაუსი



ჯენი ვოლფი

ციგურებით სირბილი. მსოფლიო ჩემპიონატი

# სეზონი 7 რეკორდით დასრულდა

ამერიკის ქალაქ სოლტ-ლეიკ-სიტიში გამართული მსოფლიო ჩემპიონატით დასრულდა ციგურებით მორბენალთა სეზონი. წლის დასკვნით ტურნირში რეკორდების წვიმა დაფიქსირდა - სოლტ-ლეიკ-სიტის ოლიმპიურ არენაზე ერთბაშად შვიდი (!) მსოფლიო რეკორდი გაუმჯობესდა.

ყველაზე მნიშვნელოვანი იყო სპრინტერულ დისტანციებზე ნაჩვენები შედეგები. მაგალითად, გერმანელმა ქალმა **ჯენი ვოლფმა** 500 მეტრი დისტანცია 37.04 წამში დაფარა და თუ ასე გაგრძელდა, მალე ქალი სპრინტერები 37 წამიდან გამოვლენ და სპორტის ამ სახეობის ისტორიაში ახალ ფურცელს ჩაწერენ. ვოლფმა **კატრიონ ლემეიდოენის** თითქოსდა სამუდამო რეკორდს ერთბაშად 0.18 წამი ჩამოაჭრა.

### სოლტ-ლეიკ-სიტი (აშშ)

#### ვაჟები

**500 მ. I ცდა.** 1. **ლობკოვი (რუს)** - 34.43; 2. **კანგ-სეოკ ლი (კორ)** - 34.44; 3. **იუია ოიკავა (იაპ)** - 34.45; 4. **კიონ-ჰიუკ ლი (კორ)** - 34.47; 5. **ფრედერიკსი (აშშ)** - 34.48; 6. **კოსკელა** (ფინ) - 34.63.

**500 მ. II ცდა.** 1. **კანგ-სეოკ ლი** - 34.25 (მსოფლიო რეკორდი); 2. **ირლანდი (კან)** - 34.48; 3. **კატო (იაპ)** - 34.55; 3. **ფრედერიკსი** - 34.55; 5. **კიონ-ჰიუკ ლი** - 34.56; 6. **ოიკავა** - 34.57.

**500 მ. (2 ცდის ჯამში).** 1. **კანგ-სეოკ ლი** - 68.69 (მსოფლიო რეკორდი); 2. **ოიკავა** - 69.02; 3. **ფრედერიკსი** - 34.48; 4. **კიონ-ჰიუკ ლი** - 69.030; 5. **ლობკოვი** - 69.040; 6. **კატო** - 69.240.

**1000 მ.** 1. **დევისი (აშშ)** - 1:07.28; 2. **მორისონი (კან)** - 1:07.30; 3. **კიონ-ჰიუკ ლი** - 1:07.51; 4. **ვენემარსი (ჰოლ)** - 1:07.57; 5. **მუნი (კორ)** - 1:07.61; 6. **კოსკელა** - 1:08.04.

**1500 მ.** 1. **დევისი** - 1:42.39; 2. **ვენემარსი** - 1:42.80; 3. **მორისონი** - 1:42.88; 4. **მუნი** - 1:43.87; 5. **ელმი (კან)** - 1:44.74; 6. **ბაკო (ნორ)** - 1:44.85.

**5000 მ.** 1. **კრამერი (ჰოლ)** - 6:10.70; 2. **ფაბრისი (იტა)** - 6:12.53; 3. **ვერჰეიენი (ჰოლ)** - 6:15.21; 4. **დანკერსი (კან)** - 6:15.39; 5. **სკობრევი (რუს)** - 6:17.36; 6. **ბაკო** - 6:18.10.

**10000 მ.** 1. **კრამერი** - 12:41.69 (მსოფლიო რეკორდი); 2. **ვერჰეიენი** - 13:00.46; 3. **რიკიე (ჰოლ)** - 13:06.03; 4. **დანკერსი** - 13:11.25; 5. **ბაკო** - 13:17.50; 6. **რიოლერი (შვედ)** - 13:18.89.

**გუნდური გამოდევნება.** 1. **ჰოლანდია** - 3:37.80 (მსოფლიო რეკორდი); 2. **კანადა** - 3:38.31; 3. **რუსეთი** - 3:41.23; 4. **იაპონია** - 3:46.60; 5. **გერმანია** - 3:46.74; 6. **შვედეთი** - 3:48.96.

#### ქალები

**500 მ. I ცდა.** 1. **ბეისინ ვანი (ჩინ)** - 37.24; 2. **ვოლფი (გერ)** - 37.38; 3. **ოსუგა (იაპ)** - 37.69; 4. **სან-ხვა ლი (კორ)** - 37.81; 5. **შინია (იაპ)** - 37.98; 6. **ოკაზაკი (იაპ)** - 38.04.

**500 მ. II ცდა.** 1. **ვოლფი** - 37.04 (მსოფლიო რეკორდი); 2. **ბეისინ ვანი** - 37.29; 3. **ოსუგა** - 37.51; 4. **ჩინი (ჩინ)** - 37.76; 5. **ოკაზაკი** - 37.89; 6. **გერიტსენი (ჰოლ)** - 37.97.

**500 მ. (2 ცდის ჯამში).** 1. **ვოლფი** - 74.42 (მსოფლიო რეკორდი); 2. **ბეისინ ვანი** - 74.53; 3. **ოსუგა** - 75.20; 4. **სან-ხვა ლი** - 75.830; 5. **ოკაზაკი** - 75.93; 6. **შინია** - 76.01.

**1000 მ.** 1. **ვიუსტი (ჰოლ)** - 1:13.83; 2. **ფრიზინგერი (გერ)** - 1:14.26; 3. **ნესბიტი (კან)** - 1:14.44; 4. **სიმიონატო (იტა)** - 1:14.53; 5. **ფეი ვანი (ჩინ)** - 1:14.96; 6. **გროვსი (კან)** - 1:15.19.

**1500 მ.** 1. **ვიუსტი** - 1:52.71; 2. **კლასენი (კან)** - 1:53.40; 3. **გროვსი** - 1:54.39; 4. **ტაბატა (იაპ)** - 1:54.97; 5. **ვან დოიტეკომი (ჰოლ)** - 1:55.47; 6. **ნესბიტი** - 1:55.79.

**3000 მ.** 1. **საბლიკოვა (ჩეხ)** - 3:58.09; 2. **გრონევოლდი (ჰოლ)** - 3:58.41; 3. **კლასენი** - 3:58.50; 4. **პეხშტაინი (გერ)** - 3:59.11; 5. **ვიუსტი** - 3:59.74; 6. **ვან დოიტეკომი** - 4:00.50.

**5000 მ.** 1. **საბლიკოვა** - 6:45.61 (მსოფლიო რეკორდი); 2. **პეხშტაინი** - 6:50.79; 3. **გროვსი** - 6:58.41; 4. **ანშუტც-ტომსი (გერ)** - 6:59.05; 5. **ჰაუგლი (ნორ)** - 6:59.77; 6. **ვისი (ჰოლ)** - 7:02.51.

**გუნდური გამოდევნება.** 1. **კანადა** - 2:58.15; 2. **ჰოლანდია** - 2:59.18; 3. **გერმანია** - 2:59.38; 4. **რუსეთი** - 3:00.77; 5. **აშშ** - 3:06.28; 6. **იაპონია** - 3:07.44.

## ბიატლონი

### მსოფლიო თასი. VIII ეტაპი

### ჰოლმენკოლენი. ნორვეგია

#### ვაჟები

**20 კმ. ინდივიდუალური.** 1. **პუარე (საფ)** - 56:51.7 (0+0+0+0); 2. **გრაისი (გერ)** - +5.5 (0+0+1+0); 3. **იაროშჩენკო (რუს)** - +28.9 (0+0+0+0); 4. **ბიორნდალენი (ნორ)** - +1:07.6 (1+0+2+0); 5. **ჩერეზოვი (რუს)** - +1:48.9 (1+1+0+0); 6. **ფრიდრიხ პინტერი (ავსტრია)** - +2:15.5 (0+2+0+0).

**12.5 კმ. გამოდევნებით.** 1. **ბიორნდალენი** - 31:03.06 (0+0+0+0); 2. **პუარე** - +46.9 (0+2+0+1); 3. **გრაისი (გერ)** - +55.5 (1+0+1+1); 4. **ჩერეზოვი** - +1:36.4 (0+0+0+1); 5. **იაროშჩენკო** - +1:37.4 (0+0+1+3); 6. **როჟკოვი (რუს)** - +1:37.6 (1+0+0+0).

**15 კმ. მას.სტარტი.** 1. **ბიორნდალენი** - 37:31.68 (1+1+0+0); 2. **პუარე** - +0.1 (0+1+0+0); 3. **ფიშერი (გერ)** - +3.4 (0+0+0+0); 4. **ჩერეზოვი** - +35.2 (0+0+0+0); 5. **სიკორა (პოლ)** - +44.2 (1+0+0+1); 6. **ფერი (შვედ)** - +57.2 (1+0+0+0).

**საერთო ჩათვლა:** 1. **გრაისი** - 730; 2. **პუარე** - 709; 3. **ბიორნდალენი** - 668; 4. **ჩერეზოვი** - 623; 5. **იაროშჩენკი** - 563; 6. **კრუგლოვი (რუს)** - 560.

#### ქალები

**7.5 კმ. სპრინტი.** 1. **ჰენკელი (გერ)** - 21:47.9 (0+0); 2. **იურიევა (რუს)** - +24.8 (0+0); 3. **ნოინერი (გერ)** - +31.5 (0+1); 4. **ოლოფსონი (შვედ)** - +36.5 (0+1); 5. **კონგი (ჩინ)** - +38.3 (0+0); 6. ხვოსტენკო (უკრ) - +40.3 (0+0).

**10 კმ. გამოდევნებით.** 1. **ნოინერი** - 31:58.73 (0+0+3+0); 2. **ჰენკელი** - +0.6 (1+0+0+1); 3. **ვილჰელმი (გერ)** - +26.9 (1+1+0+0); 4. **იურიევა** - +1:16.5 (2+2+1+0); 5. **სოკოლოვა (ბლრ)** - +1:38.8 (1+0+1+0); 6. **ანანკო (ბლრ)** - +1:46.9 (0+1+1+2).

**12.5 კმ. მას.სტარტი.** 1. **ნოინერი** - 35:18.64 (1+0+1+0); 2. **ჰიტცერი (გერ)** - +7.5 (1+1+0+0); 3. **იურიევა** - +18.0 (0+0+0+0); 4. **კონგი** - +25.6 (0+0+1+0); 5. **დენკინგერი (გერ)** - +37.9 (1+1+0+0); 6. **ვილჰელმი** - +38.6 (1+1+0+0).

**საერთო ჩათვლა:** 1. **ვილჰელმი** - 833; 2. **ოლოფსონი** - 776; 3. **ჰენკელი** - 765; 4. **ნოინერი** - 590; 5. **ბაველ-რობერი (საფ)** - 580; 6. **გრუბენი (ნორ)** - 562.

# ავტომოტოსპორტი

## მოტოსპორტი

### მსოფლიო ჩემპიონატი

### კატარის გრან-პრი. I ეტაპი

#### 125 კუბ.სმ (18 წრე-96.840 კმ)

1. **ფაუბელი** (ესპანეთი, "აპრილია") - 38:12.029; 2. **ტალმაში** (უნგრეთი, "აპრილია") - +0.073; 3. **პეშეკი** (ჩეხეთი, "დერბი") - +17.499; 4. **დე როზა** (იტალია, "აპრილია") - +17.754; 5. **კორსი** (იტალია, "აპრილია") - +25.642.

**საერთო ჩათვლა:** 1. **ფაუბელი** - 25 ქულა; 2. **ტალმაში** - 20; 3. **პეშეკი** - 16; 4. **დე როზა** - 13; 5. **კორსი** - 11.

#### 250 კუბ.სმ (20 წრე-107.600 კმ)

1. **ლორენსო** (ესპანეთი, "აპრილია") - 40:23.753; 2. **დე ანჯელისი** (სან მარინო, "აპრილია") - +1.224; 3. **ბარბერა** (ესპანეთი, "აპრილია") - +2.911; 4. **ლიუტი** (შვეიცრია, "აპრილია") - +3.234; 5. **დოვიციოზო** (იტალია, "ჰონდა") - +12.698.

**საერთო ჩათვლა:** 1. **ლორენსო** - 25 ქულა; 2. **დე ანჯელისი** - 20; 3. **ბარბერა** - 16; 4. **ლიუტი** - 13; 5. **დოვიციოზო** - 11.

#### მოტოგრანპრი (22 წრე-118.360 კმ)

1. **სტოუნერი** (ავსტრალია, "დუკატი") - 41:06.260; 2. **როსი** (იტალია, "იამაჰა") - +2.838; 3. **პედროსა** (ესპანეთი, "ჰონდა") - +8.530; 4. **ჰოპკინსი** (ბრიტანეთი, "სუძუკი") - +9.071; 5. **მელანდრი** (იტალია, "ჰონდა") - +17.433.

**საერთო ჩათვლა:** 1. **სტოუნერი** - 25 ქულა; 2. **როსი** - 20; 3. **პედროსა** - 16; 4. **ჰოპკინსი** - 13; 5. **მელანდრი** - 11.

## რალი

### მსოფლიო ჩემპიონატი

### მექსიკის რალი (IV ეტაპი)

1. **ლოები** ("სიტროენი", საფრანგეთი) - 3:48.13,3; 2. **გრონჰოლმი** ("ფორდი", ფინეთი) - +55,8; 3. **ჰირვონენი** ("ფორდი", ფინეთი) - +1.27,7; 4. **სორდო** ("სიტროენი", ესპანეთი) -+1.43,7; 5. **ატკინსონი** ("სუბარუ", ავსტრალია) - +2.24,1; 6. **შტოლი** ("სიტროენი", ავსტრია) - +3.45,5; 7. **ლატვალა** ("ფორდი", ფინეთი) - +4.10,8; 8. **ჰ.სოლბერგი** ("ფორდი", ნორვეგია) - +12.22,6.

**საერთო ჩათვლა:** 1. **გრონჰოლმი** - 32 ქულა; 2. **ლოები** - 28; 3. **ჰირვონენი** - 26; 4. **სორდო** - 13; 5. **ჰ.სოლბერგი** ("ფორდი", ნორვეგია) - 11; 6. **ატკინსონი** - 10; 7. **პ.სოლბერგი** ("სუბარუ", ნორვეგია) - 8; 8. **ლატვალა** - 6; 8. **კარლსონი** ("სიტროენი", შვეიცარია) - 6.

**კონსტრუქტორთა თასი:** 1. **ფორდი** - 58 ქულა; 2. **სიტროენი** - 43; 3. **სტობარტი** - 19; 3. **სუბარუ** - 19; 5. **კრონოსი** - 17.

ტურნირები

# ფედერერი ვილასის რეკორდამდე არ მიუშვეს

ვინ იფიქრებდა, რომ მსოფლიოს პირველი ჩოგანი, შვეიცარიელი **როჯერ ფედერერი**, ვინც ბოლო სამი სეზონია, მატჩებს კი არა, თითზე ჩამოსათვლელ სეტებს აგებს, კალიფორნიაში მიმდინარე მასტერსის სერიის ტურნირს, რომელიც "ინდინ ველსის" სახელითაა ცნობილი, პირველივე ეტაპზე გამოეთიშებოდა?

რა თქმა უნდა, არავინ. ის ხომ ტურნირს პირველ ეტაპზე უკანასკნელად ორ წელზე მეტი ხნის წინ გამოეთიშა და საერთოდაც, ვინ იფიქრებდა, რომ შვეიცარიელი მაესტრო წააგებდა ჩოგბურთელთან, რომელმაც ტურნირზე საკვალიფიკაციო ეტაპზე იღბლიანი წაგებულის რანგში მოხვდა. ამ ჩოგბურთელის სახელი **გილერმო კანიასია**.

სწორედ კანიასმა შეუშალა ხელი ფედერერს, გაეუმჯობესებინა მისი თანამემამულე **გილერმო ვილასის** რეკორდი, რაც ატპ-ს ტურზე ზედიზედ 46 თამაშის მოგებას ნიშნავს. არგენტინელმა ტურნირის სამგზის ჩემპიონს ერთი სეტიც არ მოაგებინა, ისე დაატოვებინა ტურნირი. სხვათა შორის, ფედერერი "ინდიან ველსს" თავის სადებიუტო გამოსვლაზეც პირველივე წრეში გამოეთიშა.

ნამატჩევს ფედერერმა განაცხადა, რომ მისი წაგება არ გამოუწვევია იმ ფსიქოლოგიურ ზეწოლას, რომელსაც ის რეკორდის მოახლოებასთან დაკავშირებით განიცდიდა.

*"ამ ზეწოლას დიდი ხანია, მივეჩვიე. უბრალოდ, ყოველთვის მიჭირს ტურნირებზე პირველი შეხვედრების მოგება. ამჯერად ჩემ წინაშე კვალიფიკაციაზე იღბლიანი წაგებული იდგა და ამან განსაკუთრებით იმოქმედა. ამ წაგებამ ალბათ ყველას დაანახა, თუ რამდენად ძნელია, როცა ერთი კაცისგან ყოველთვის მოგებას ელი. თითქმის ორი წელია, ტურნირებზე პირველ თამაშებს არ ვაგებდი. ჰოდა, ახლა წავაგე და ამის გამო სულაც არ ვნაღვლობ. ადრე თუ გვიან, ეს აუცილებლად მოხდებოდა"*, - განაცხადა ფედერერმა, ვინც კანიასამდე ბოლო მარცხი შარშან, ცინცინატის ტურნირზე, ბრიტანელი **ენდი მარისგან** ინვნია.

*"კარგია, როცა მსოფლიოს პირველ ჩოგანს უგებ. რა თქმა უნდა, ამაზე ვოცნებობდი, მაგრამ არ მეგონა, თუ ამას შევძლებდი. ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ საკუთარ შესაძლებლობათა რწმენა არ მაქვს. უბრალოდ, როჯერის დამარცხება ძალიან ძნელია"*, - განაცხადა კანიასმა, ვინც მეტოქეს ხაზიდან შესანიშნავი თამაშის წყალობით გაუსწორდა. რაც მთავარია, არგენტინელმა ფედერერს კორტის ცენტრის კონტროლის საშუალება მოუსპო.

კანიასი ერთხელ (2005 წელს) რეიტინგში მერვე ადგილზე იყო, მაგრამ შემდეგ დოპინგზე ჩავარდა, რის გამოც 15-თვიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს. ამ სასჯელის ვადა არგენტინელს შარშან, სექტემბერში დაუმთავრდა. ინდიან ველსის" საკვალიფიკაციო ეტაპის ბოლო ეტაპზე კი მან გერმანელ **ალექსანდერ ვასკესთან** წააგო. თუმცა იღბლიანი წაგებულის სტატუსი მას შემდეგ მიიღო, რაც ტრავმის გამო, ტურნირზე გამოსვლა ვერ შეძლო ბელგიელმა **ქსავიე მალისმა**.

შეგახსენებთ, რომ როგორც მონინავე განთესილი, ფედერერი ტურნირს მეორე წრეში ჩაერთო. მასავით პირველივე ბარიერზე დაეცა ავსტრალიელი **ლეიტონ ჰიუიტიც**, ვინც სამ სეტში წააგო სერბ **იანკო ტიპსარევიჩთან**. ოზმა ჩოგბურთელმა, ვინც ერთ დროს მსოფლიოს პირველი ჩოგანი იყო, კალიფორნიაში გამგზავრებამდე კი ლას ვეგასის ტურნირი მოიგო, პირველივე გეიმში ზურგის ტრავმა მიიღო, რამაც შეხვედრის მსვლელობისას, მისი თამაშის ხარისხზე უარყოფითად იმოქმედა.

სხვათა შორის, ჰიუიტის თამაშს ტრიბუნიდან უმზერდა მისი ყოფილი მწვრთნელი **დარენ კეიჰილი**, რის გამოც ბევრმა ივარაუდა, რომ ავსტრალიელი კვლავ მასთან დაბრუნებას გეგმავს, მაგრამ მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე ჰიუიტმა ეს ვარაუდი გააქარწყლა - დარენი ტელეკომენტატორად მუშაობს და აბა სად იქნებოდაო.

ქალების ტურნირზე მსგავსი მოულოდნელობა არ მომხდარა. შვეიცარიელმა **მარტინა ჰინგისმა** და რუსმა **მარია შარაპოვამ** ტურნირში გამარჯვებით ჩაებნენ. პირველმა ორ სეტში მოუგო ავსტრიელ ახალბედა **ივონ მოისბურგერს**, მეორემ კი ასევე ორ სეტში აჯობა ფრანგ **ნატალი დეშის**.

შარაპოვას, ვისაც კვლავ აწუხებს ბარძაყის ტრავმა და გაციებულიცაა, თავიდან ძალიან გაუჭირდა. მას განსაკუთრებით ხაზიდან თამაში არ გამოსდიოდა, მაგრამ მეორე სეტში თამაში დაალაგა და მოგება აღარ გასჭირვებია. აღსანიშნავია, რომ რაც ავსტრალიის ღიას ფინალში ამერიკელ **სერენა უილიამსთან** წააგო, რუს ჩოგბურთელს არ უთამაშია და ეს მის გამოსვლაზე უარყოფითად აისახა.

*"ამდენი ხანია, არ მითამაშია და ამიტომ, უკეთეს შედეგს არც ველოდი. ვფიქრობ, შემდეგ წრეშიც არ მელის იოლი გასეირნება, მაგრამ მთავარი ისაა, რომ სათამაშო გამოცდილებას შევიძენ, რაც შემდგომ შეხვედრებში ძალიან გამომადგება"*, - განაცხადა შარაპოვამ, ვისაც კვლავ არ გამოსდის პირველი მოწოდება და კვლავ აწუხებს ძველი ტრავმა. მომდევნო წრეში მისი მეტოქე რუსი **ვერა ზვონარევა** იქნება, ვინც ტურნირს გამოთიშა ბელარუსი **ვიქტორია აზარენკა**.

პრობლემები, პრაქტიკულად, არ აქვს ჰინგისს, ვინც მოისბურგერთან შეხვედრაში პირველი 16 ქულა მოიგო. მომდევნო წრეში მისი მეტოქე სლოვენიელი **დანიელა ჰანტუხოვა** იქნება, რომელმაც ორ სეტში აჯობა იტალიელ **ფრანჩესკა სკიავონეს**.



კანიასი თავადაც გაკვირვებულია

## ATP

### Pacific Life Open

ინდიან ველსი (აშშ). 7-18 მარტი. ჰარდი
**საპრიზო ფონდი**: 3 169 600 დოლარი

#### II წრე

**გილერმო კანიასი (არგ)**-როჯერ ფედერერი (შვეიც, 1) 7:5, 6:2; **ნიკოლაი დავიდენკო (რუს, 4)**-სემ კერი (აშშ) 2:6, 7:6 (5), 6:2; **ფერნანდო გონსალესი (ჩილ, 5)**-ფრანკ დანჩევიჩი (კან) 7:6 (6), 1:6, 7:5; **ჟილ სიმონი (საფ)**-ტომი რობრედო (ესპ, 7) 6:7 (0), 6:3, 6:0; **ივან ლუბიჩიჩი (ხორ, 8)**-ალეხანდრო ფალა (კოლ) 6:7 (4), 6:4, 6:4; **ტომი ჰაასი (გერ, 9)**-მიკაელ ლოდრა (საფ) 6:4, 6:1; **დავიდ ნალბანდიანი (არგ, 10)**-ფილიპ კოლშრაიბერი (გერ) 1:6, 7:5, 7:6 (1); **მაიკლ რასელი (აშშ)**-ტომას ბერდიჩი (ჩეხ, 11) 7:6 (2), 6:4; **ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 12)**-რობი ჯინეპრი (აშშ) 6:4, 6:4; **ენდი მარეი (ბრიტ, 13)**-უესლი მუდი (ს. აფრ) 6:3, 6:3; **დავიდ ფერერი (ესპ, 14)**-ლუის ორნა (რეპ) 6:3, 6:1; **გილერმო გარსია ლოპესი (ესპ)**-მარკოს ბაღდატისი (კვიპ, 17) 7:5, 7:5; **იანკო ტიპსარევიჩი (სერ)**-ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრა, 19) 7:6 (3), 4:6, 6:2; **ევგენი კოროლიოვი (რუს)**-დმიტრი ტურსუნოვი (რუს, 20) 6:4, 6:7 (3), 6:3; **პოლ-ანრი მატიო (საფ)**-მარდი ფიში (აშშ, 21) 7:6, 4:6, 7:6 (5); **ნიკოლა მაუ (საფ)**-მარატ საფინი (რუს) 6:3, 4:6, 6:0; **თეიმურაზ გაბაშვილი (რუს)**-დომინიკ ჰრბატი (სლოვაკ, 24) 7:5, 6:3; **კარლოს მოია (ესპ)**-რადეკ სტეპანეკი (ჩეხ, 25) 6:3, 6:4; **რობინ სიოდერლინგი (შვედ, 26)**-დანიელე ბრაჩიალი (იტა) 6:3, 6:4; **ჟულიან ბენეტო (საფ)**-იურგენ მელცერი (ავსტრია, 27), 6:4, 6:4; **იან ჰერნიჩი (ჩეხ)**-აგუსტინ კალერი (არგ, 28) 6:3, 6:3; **ხუან იგნასიო ჩელა (არგ, 30)**-იონას ბიორკმანი (შვედ) 6:3, 3:6, 6:4; **ტომას იოჰანსონი (შვედ)**-ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 31) 7:6 (4), 7:5; **ჯეიმს ბლეიკი (აშშ, 6)**-ფლორან სერა (საფ) 6:3, 7:6

## WTA

### Pacific Life Open

ინდიან ველსი (აშშ). 7-18 მარტი. ჰარდი
**საპრიზო ფონდი**: 2 100 000 დოლარი

#### 1/16 ფინალი

**მარია შარაპოვა (რუს, 1)**-ნატალი დეში (საფ) 7:5, 6:2; **ელენა იანკოვიჩი (სერ, 7)**-მარტინა მიულერი (გერ, 28) 6:2, 6:4; **შაარ პეერი (ისრ, 11)**-ლუსი საფაროვა (ჩეხ, 19) 6:3, 1:6, 6:4; **ნა ლი (ჩინ, 12)**-ალიონა ბონდარენკო (უკრ, 23) 5:7, 6:3, 6:2; **დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ, 14)**-ფრანჩესკა სკიავონე (იტა, 18) 6:2, 7:6(3); **ვერა ზვონარევა (რუს, 15)**-ვიქტორია აზარენკა (ბლრ) 6:3, 6:3; **მარტინა ჰინგისი (შვეიც, 3)**-ივონ მოისბურგერი (ავსტრია) 6:2, 6:4; **ანა ჩაკვეტაძე (რუს, 8)**-მარია კირილენკო (რუს, 25) 6:4, 6:1

# ველოსპორტი

## პარიზი-ნიცა (საფრანგეთი). პირველი ეტაპი

### კლო-სურ-ლე-ლუადან ბუზანსემდე (186 კმ)

1. ჟან-პატრიკ ნასონი (საფრანგეთი, Ag2r პრევოიანსი) 4:29.39 (41.386 კმ/სთ); 2. სებასტიან ზიდლერი (გერმანია, მილრამი) იგივე დროში; 3. მეტიუ ჰეიმანი (ავსტრალია, რაბობანკი); 4. დანიელე ბენატი (იტალია, ლამპრე-ფონდიტალი); 5. ვისენტე რეინესი (ესპანეთი, კაისე დ'ეპარნი); 6. იგორ ასტარლოა (ესპანეთი, მილრამი) ყველა იგივე დროში...

### კლასიფიკაცია პირველი ეტაპის შემდეგ

1. დევიდ მილარი (ბრიტანეთი, სონიე დიუვალ-პროდირი) 4:35.40; 2. რომან კროიციგერი (ჩეხეთი, ლიკიგაზი) 0.01; 3. ლუის ლეონ სანჩესი (ესპანეთი, კაისე დ'ეპარნი) 0.02; 4. ალბერტო კონტადორი (ესპანეთი, დისქავერი ჩენელი) 0.02; 5. სებასტიან ჟოლი (საფრანგეთი, ფრანსის დე ჟუ) 0.02; 6. ლევი ლაიპჰაიმერი (აშშ, დისქავერი ჩენელი) 0.03...

# TV სპორტი

## 13 მარტი. სამშაბათი

### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი.
15:10 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
16:10 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
17:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:25 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი.
19:15 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
19:50 ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
20:20 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:40 იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:40 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:40 არასაფეხბურთო ისტორიები.
23:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
23:25 ამხანაგური მატჩი. მანჩესტერ იუნაიტედი-მსოფლიოს ნაკრები (LIVE).

### SPORT 1 (უკრაინა)

08:10 ფეხბურთი. ინგლისის თასი. 1/4 ფინალი. ჩელსი-ტოტენჰემი.
09:55 სპორტკლუბი.
10:55 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. მარიტიმუ-პორტუ.
12:40 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
13:10 ფეხბურთი. ბრაზილია. სან პაულუს შტატის ჩემპიონატი. სან კაეტანო-სერტანზინიე.
14:55 სპორტკლუბი.
15:55 ფიტნესი.
16:20 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ლევანტე-ვილიარეალი.
18:05 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
18:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბოხუმი-ბორუსია (დ).
20:30 სპორტინფორმი.
20:45 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. ბენფიკა-ლეირია.
22:40 სპორტინფორმი.
22:55 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
23:55 ფეხბურთი. ინგლისის თასი. 1/4 ფინალის მიმოხილვა.
00:25 სპორტინფორმი.
00:40 რეტრო-ფეხბურთი. ინგლისის თასი. ფინალი. იფსვიჩი-არსენალი.
02:25 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-რეალი.
04:10 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. არსენალი-ეინდჰოვენი.
06:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
07:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

### EUROSPORT

11:30 მულტისპორტი.
12:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
13:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS127. კვალიფიკაცია. კუოპიო. ფინეთი.
14:00 ფეხბურთი. ალგარვის თასი. ჯგუფური ეტაპი. გერმანია-დანია. პორტუგალია.
15:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
16:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS127. კვალიფიკაცია. კუოპიო. ფინეთი.
16:45 ჩოგბურთი.
17:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/16 ფინალი. ინდიან უელსი. აშშ.
18:00 ველოსპორტი. პარიზი-ნიცა. II ეტაპი (LIVE).
19:45 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS127. კვალიფიკაცია. კუოპიო. ფინეთი.
20:15 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS127. კუოპიო. ფინეთი (LIVE).
22:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/8 ფინალი. ინდიან უელსი. აშშ (LIVE).
23:45 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. მანჩესტერ იუნაიტედი-მსოფლიოს ნაკრები (LIVE).
02:00 ავტოსპორტი. FIA WTCC. ტელეჟურნალი.
02:30 საერთაშორისო რალი. კენია.
03:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. მექსიკა.
04:00 მულტისპორტი.

### EUROSPORT-2

10:30 ახალი ამბები.
13:00 კალათბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. კახა სან ფერნანდო-ბარსელონა.
14:00 არენა ფეხბურთი. რეგულარული ჩემპიონატი. ორლანდო-ლოს ანჯელესი.
15:00 ახალი ამბები.
17:00 ფეხბურთი. ალგარვის თასი. ჯგუფური ეტაპი. გერმანია-დანია. პორტუგალია.
18:00 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/8 ფინალი. I მატჩი. რეინჯერსი-ოსასუნა.
18:30 რაგბი. ამხანაგური მატჩები. ბიარიტცი (საფრანგეთი)-ტულუზა (საფრანგეთი).
19:30 კალათბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. მიმოხილვა.
20:00 კალათბურთი. ULEB-ის თასი. 1/2 ფინალი. I მატჩი. უნიქსი (რუსეთი)-რეალი (ესპანეთი) (LIVE).
22:00 კალათბურთი. ULEB-ის თასი. 1/2 ფინალი. I მატჩი. ლიეტუვოს რიტასი (ლიტვა)-ცელეზნიკი (სერბეთი).
23:45 რაგბი. ამხანაგური მატჩები. ბიარიტცი (საფრანგეთი)-ტულუზა (საფრანგეთი).
01:00 არენა ფეხბურთი. რეგულარული ჩემპიონატი. ორლანდო-ლოს ანჯელესი.
02:00 რესტლინგი.
03:30 ახალი ამბები.

# ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **ინგლისი** | |
| **კონფერენსი** | |
| ბარტონი-ფორესტ გრინი | 1:0 |
| **გერმანია** | |
| **II ბუნდესლიგა** | |
| კაიზერი-მიუნხენი | 2:1 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| რეიმსი-შატორუ | 0:2 |
| **პორტუგალია** | |
| ბენფიკა-ლეირია | 0:1 |
| **ჩეხეთი** | |
| ლიბერეცი-სლავია | 0:1 |
| **უნგრეთი** | |
| ზალაეგერსეგი-უიპეშტი | 2:0 |
| **ჰოკეი** | |
| **რუსეთი** | |
| ავანგარდი-ვიტიაზი | 5:0 |
| სიბირი-ნეფტეხიმიკი | 3:2, ო.ტ. |
| მეტალურგი (მ)-მედ | 5:2 |
| ს. იულაევი-სკა | 4:2 |
| აკ ბარსი-მეტალურგი (ნ) | 7:3 |
| ლოკომოტივი-დინამო | 4:3 |
| ხიმიკი-სევერსტალი | 4:0 |
| ცსკა-ლადა | 5:4 |
| **ჩეხეთი** | |
| ლიბერეცი-ტრშინეცი | ო.ტ. 3:2 |
| პარდუბიცე-ზნოიმო | 0:2 |
| **შვედეთი** | |
| ლინჩოპინგსი-ლულეა | 5:2 |
| მოდო-ტიმრა | 1:2 |
| ფერიესტადი-მორა | 9:3 |
| ჰვ 71-ბრინასი | 2:1 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. ინდიან უელსი** | |
| გასკე-ნიემინენი | 6:3, 1:6, 6:3 |
| ჯოკოვიჩი-კოროლიოვი | 6:2, 6:1 |
| ნალბანდიანი-მატიო | 6:7, 6:2, 6:0 |
| რასელი-გარსია ლოპესი | 6:1, 7:5 |
| ჩელა-სიმონი | 6:2, 6:2 |
| **WTA. ინდიან უელსი** | |
| საფინა-ბარტოლი | 4:6, 3:6 |

კალათბურთი

## ინდიანამ ტინსლი დასაჯა

"ინდიანა პეისერსის" ხელმძღვანელობამ ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერა მცველ **ჯამალ ტინსლის**. კლუბის მიერ გავრცელებულ ოფიციალურ წერილში ამ სასჯელის მიზეზად კალათბურთელის ის საქციელია დასახელებული, *"რომელიც გუნდის რეპუტაციას ვნებს"*.

თუ რა ჩაიდინა ტინსლიმ, ამის დეტალები არ ხმაურდება, მაგრამ ამერიკული პრესა ამტკიცებს, რომ კალათბურთელი "პეისერსის" მთავარ მწვრთნელ **რიკ კარლაილს** ეჩხუბა.

შეგახსენებთ, რომ წელს, ტინსლი უკვე გახდა რამდენიმე არასასიამოვნო ინციდენტის მონაწილე, მათ შორის, ის ღამის კლუბის მენეჯერის მკვლელობის მუქარაშიც იქნა დადანაშაულებული. ინდიანელმა ამ სეზონში 58 მატჩი ჩაატარა და თითოში საშუალოდ 13.1 ქულასა და 6.7 გადაცემას აგროვებდა.

ფორმულა 1

## შუმახერი ტორო როსოს ყიდულობს?

გერმანელი ავტომრბოლის **მიხაელ შუმახერის** მენეჯერმა **ვილი ვებერმა** ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მისმა კლიენტმა, შესაძლოა, ფორმულა 1-ის რომელიმე გუნდი შეიძინოს. ვებერს კონკრეტულად არ დაუსახელებია საჯინიბოს სახელი, მაგრამ მას მედიის ვარაუდით, საქმე "ტორო როსოს" ეხება. ეს ვარაუდი თავად მენეჯერის სიტყვებიდან გამომდინარეობს.

*"სავსებით შესაძლებელია, რომ სულ მალე ერთ მილიარდერს ვკითხოთ - ხომ არ აპირებს ის ორიდან ერთ-ერთი გუნდის გაყიდვას. მიხაელი არასოდეს გახდება "ფერარის" ბოსი, მაგრამ მე ის სხვა იტალიური გუნდის მფლობელად წარმომიდგენია. შუმახერი შეჩვეულია პასუხისმგებლობას, ნწეხის ქვეშ მუშაობას და ეს როლი მისთვის ზედგამოჭრილი იქნება"*, - ამბობს ვილი ვებერი.

მსოფლიო თასი

# დიდი გლობუსის შანსიც გაჩნდა

შვეიცარიელმა **დიდიე კუშემ** მიმდინარე სეზონში თავისი პირველი გამარჯვება ახლახანს, ნორვეგიის კვიტფილის ოლიმპიურ ფერდობზე დაშვების რბოლაში იზეიმა, რის შემდეგაც, სუპერგიგანტი მესამეზე დაასრულა და ბევრისთვის მოულოდნელად, აბსოლუტურ ჩათვლაში გამარჯვების შანსი გაუჩნდა.

ეს შანსი კი მან უშუალო მეტოქეების - ავსტრიელი **ბენი რაიხისა** და ნორვეგიელი **აქსელ ლუნდ სვინდალის** შეცდომების წყალობით მიიღო. ორივემ ზუსტად ერთსა და იმავე მოსახვევში (გეიტში) დაუშვა შეცდომა და ასპარეზობა ქულების გარეშე დაასრულა.

შეგახსენებთ, რომ კუშემ დაშვებაში უკვე გაინაღდა ბროლის მცირე გლობუსი და ახლა დიდი გლობუსის მოპოვებაც შეუძლია. ყველაფერი კი იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რამდენად სტაბილური იქნება ის ბოლო ეტაპებზე, რომლებიც შვეიცარიის ლენცერჰაიდეში ჩატარდება.

გადამწყვეტი რბოლების წინ, აბსოლუტურში ლიდერობა კვლავ რაიხს უპყრია, ვისაც 1 055 ქულა აქვს. 963 ქულით მეორეზე კუშემ გადაინაცვლა. სვინდალი კი, ვინც თითქმის მთელი სეზონი ცხრილის სათავეში გაატარა, 952 ქულით მესამეზეა. 743 ქულა აქვს ამერიკელ **ბოდე მილერს**, ვისაც დიდი გლობუსის მოპოვების მხოლოდ თეორიული შანსიღა დარჩა.

სუპერგიგანტის რბოლა კი ავსტრიელმა **ჰანს გრუგერმა** მოიგო, ვისთვისაც 2005 წლის დეკემბრის შემდეგ ეს პირველი გამარჯვებაა მსოფლიო თასზე.

ქალებში კი კვლავ შეიცვალა ლიდერი. ამჯერად ცხრილს სათავეში ავსტრიელი **მარლის შილდი** მოექცა, ვინც ამ სეზონში სლალომის რვა ეტაპიდან მეშვიდეც მოიგო. მან ორი ცდის ჯამში ორ წამზე მეტით აჯობა ამ სეზონის აღმოჩენას, ჩეხ **სარკა ზაჰრობსკას**. - მხოლოდ მე-11 შედეგი ჰქონდა აბსოლუტურის მანამდელ ლიდერს, ავსტრიელ **ნიკოლ ჰოსპს**, ამერიკელი **ჯულა მანკუზო** კი 24-ე ადგილს დასჯერდა.

სეზონის დასრულებამდე ოთხი რბოლით ადრე, ამ სამსა და კიდევ ერთ ავსტრიელ **რენატე გიოჩლს** მხოლოდ 102 ქულა აშორებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ბროლის დიდი გლობუსის მოპოვება ყველა მათგანს შეუძლია.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

კვიტფელი (ნორვეგია).
კაცები. სუპერგიგანტი

1. ჰანს გრუგერი (ავსტრია) 1:29.57; 2. მარიო შაიბერი (ავსტრია) 1:30.29; 3. დიდიე კუშე (შვეიცარია) 1:30.48; 4. მიხაელ ვალხჰოფერი (ავსტრია) 1:30.51; 5. ჰერმან მაიერი (ავსტრია) 1:30.52; 6. ბრუნო კერნენი (შვეიცარია) 1:30.53; 7. მარკო ბიუხელი (ლიხტენშტაინი) 1:30.55; 7. ბოდე მილერი (აშშ) 1:30.55; 9. ფრიც შტრობლი (ავსტრია) 1:30.57; 10. ჰანს რაიხელტი (ავსტრია) 1:30.62...

აბსოლუტური კლასიფიკაცია

1. ბენიამინ რაიხი (ავსტრია) 1055; 2. დიდიე კუშე (შვეიცარია) 963; 3. აკსელ ლუნდ სვინდალი (ნორვეგია) 952; 4. ბოდე მილერი (აშშ) 743; 5. პეტერ ფილი (იტალია) 694; 6. მარიო მატი (ავსტრია) 664; 7. მარიო შაიბერი (ავსტრია) 564; 8. მარკო ბიუხელი (ლიხტენშტაინი) 553; 9. დიდიე დეფაგო (შვეიცარია) 497; 10. მარკ ბერთო (შვეიცარია) 496...

ცვაიზელი (გერმანია).
ქალები. სლალომი

1. მარლის შილდი (ავსტრია) 1:36.67 (46.65, 50.02); 2. სარკა ზაჰრობსკა (ჩეხეთი) 1:38.90 (48.27, 50.63); 2. ანა ოტოსონი (შვედეთი) 1:38.90 (47.62, 51.28); 4. ნიკოლ ჯიუსი (იტალია) 1:39.20 (47.79, 51.41); 5. ტანია პოუტიაინენი (ფინეთი) 1:39.24 (47.56, 51.68); 6. ვერონიკა სუსულოვა (სლოვაკეთი) 1:39.42 (48.11, 51.31); 7. ტერეზ ბორსენი (შვედეთი) 1:39.46 (47.66, 51.80); 8. ფლორინ დე ლეიმარი (საფრანგეთი) 1:39.84 (48.46, 51.38); 9. მონიკ ბერგმან-შმუდერერი (გერმანია) 1:39.95 (48.76, 51.19); 10. მარია რიში (გერმანია) 1:40.24 (49.57, 50.67)...

აბსოლუტური კლასიფიკაცია

1. მარლის შილდი (ავსტრია) 1302; 2. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) 1287; 3. ჯულია მანკუზო (აშშ) 1251; 4. რენატე გიოჩლი (ავსტრია) 1200; 5. ლინდსი კილოდუ (აშშ) 808; 6. ტანია პოუტიაინენი (ფინეთი) 688; 7. ანია პერსონი (შვედეთი) 669; 8. მიხაელა კირხგაზერი (ავსტრია) 575; 9. კატრინ ცეტელი (ავსტრია) 568; 10. სარკა ზაჰრობსკა (ჩეხეთი) 553...




შილდმა მე 7 სლალომი მოიგო

ჰოკეი

## საიმონის 25-მატჩიანი

ჰოკეის ეროვნული ლიგის დისციპლინარულმა კომიტეტმა "ნიუ იორკ აილენდერსის" ფორვარდი **კრის საიმონი** 25-მატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა. ეს მკაცრი სასჯელი ჰოკეისტმა "რეინჯერსის" მოთამაშის - **რაიან ჰოლვეგის** წინააღმდეგ ჩადენილი განზრახ უხეშობისთვის მიიღო. საიმონმა მეტოქეს ყელში ჩაარტყა ყვანჯი.

ასე რომ, "აილენდერსის" "პოლიციელს" რეგულარულ ჩემპიონატში დარჩენილი 14 მატჩის გამოტოვება მოუწევს. დისკვალიფიკაცია ავტომატურად ფლეი ოფზეც გადავა. მაგრამ თუ "აილენდერსი" სტენლის თასზე ვერ მოხვდა ან იქ 10-ზე ნაკლები მატჩი ჩაატარა, ფორვარდს მომავალ სეზონშიც მოუწევს უსაქმოდ ყოფნა.

საიმონს კლუბთან კონტრაქტი ამ სეზონის შემდეგ უმთავრდება. წელს, მისი ხელფასი მილიონი დოლარია და ახლა, ამ დისკვალიფიკაციის გამო, 80.5 ათასი დააკლდება.

## კინგზი ბომბარდირის გარეშე დარჩა

"ლოს ანჯელეს კინგზის" დებიუტანტი **ანზე კოპიტარი** მინიმუმ ერთი კვირა ვერ შეძლებს თამაშს - სლოვენიელ ფორვარდს ზურგი აწუხებს.

19 წლის კოპიტარი უკვე ერთი კვირაა ვერ ახერხებს მოედანზე გასვლას, ხოლო იმის გამო, რომ "კინგზი" ფლეი ოფში ვერ გადის, ჰოკეისტისთვის სეზონი, პრაქტიკულად, დასრულებულია.

წელს, სლოვენიელმა ლიგაში 63 მატჩი ჩაატარა და 56 ქულა (18 გოლი+38 პასი) დააგროვა. წლევანდელ დებიუტანტებს შორის ეს მესამე მაჩვენებელია. კოპიტარს მხოლოდ პიტსბურგელი **ევგენი მალკინი** (71 ქულა) და კოლორადოელი **პოლ შჩასტნი** (65) უსწრებენ.

## სალვადორმა სეზონი დაასრულა

"სენტ ლუის ბლუზმა" სეზონის ბოლომდე დაკარგა ერთ-ერთი წამყვანი მცველი - **ბრიუს სალვადორი**. ამ უკანასკნელმა "მონრეალთან" მატჩში ფეხი მოიტეხა.

31 წლის ჰოკეისტმა ამ სეზონში 64-ჯერ დაიცვა "სენტ ლუისის" ღირსება. მის ანგარიშზე 2 გოლი და 5 შედეგიანი გადაცემაა.

## ვანკუვერში პატარა მოედნებზე ითამაშებენ

ამ დღეებში, ჰოკეის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი **რენე ფაზელი** კანადის ქალაქ ვანკუვერს ეწვია, სადაც 2010 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშები უნდა გაიმართოს.

პრეზიდენტის თქმით, სამი წლის შემდეგ, ოლიმპიადის ჰოკეის ტურნირის მატჩები ზომით პატარა, NHL-ის სტანდარტის არენებზე გაიმართება.

*"ეს რთული გადაწყვეტილებაა, რადგან ჩვენ, ევროპელები უფრო ფართო მოედნებზე თამაშს ვართ მიჩვეულნი,* - ამბობს რენე ფაზელი. - *მაგრამ დაუშვებელია ვანკუვერის არენების რეკონსტრუქციაზე დიდი თანხები დაიხარჯოს - ეს ზედმეტი ფუფუნება იქნება. ნებისმიერ შემთხვევაში, მომდევნო ოლიმპიადებზე ევროპული ზომის მოედნებს დავუბრუნდებით".*






რეკორდსმენი პოლ შჩასტნი

NHL. რეგულარული ჩემპიონატი

# აღმოსავლეთში დიდი ბრძოლაა

**რეინჯერსი-კაროლინა 2:1 (ბ)**

1:0, 0:1, 0:0, 0:0

**გოლები:** 1:0 მალიკი-1 (იაგრი-55, როუსივალი-25), 1:1 ჯასტინ უილიამსი-33 (ბრინდამორი-51, რეი უიტნი-47).

**ბულიტები გაიტანეს:** კულენი (რეინჯერსი), იაგრი (რეინჯერსი).

"რეინჯერსმა" პრინციპული შეხვედრა მოუგო "კაროლინას" და ახლა, ეს გუნდები 76-76 ქულით მერვე-მეცხრე ადგილებს იყოფენ აღმოსავლეთი კონფერენციის ცხრილში.

საერთოდ, აღმოსავლეთში ფლეი ოფის საგზურებისთვის ძალიან მძიმე ბრძოლაა მოსალოდნელი. საკმარისია აღინიშნოს ის, რომ მეშვიდე და მე-13 ადგილებს შორის სხვაობა მხოლოდ 7 ქულას შეადგენს. რეგულარულის დასრულებამდე კი, გუნდებს კიდევ 12-14 მატჩის ჩატარება უწევთ.

**დეტროიტი-ბოსტონი 3:6**

2:1, 0:2, 1:3

**გოლები:** 0:1 შტურმი-22 (ფერენსი-11, ბოჩენსკი-7), 1:1 ჰუდლერი-11 (კალდერი-17), 2:1 ლიდსტრიომი-12 (დაციუკი-52, სამუელსონი-14), 2:2 შტურმი-23 (სავარი-65, პ. ბერჟერონი-42), 2:3 ტენკრატი-8, 2:4 პ. ბერჟერონი-19 (ა. უორდი-12, ბოჩენსკი-8), 2:5 კობესიუ-5 (შტურმი-16, სავარი-66), 3:5 ლანგი-17 (ჰუდლერი-5, კრონვალი-19), 3:6 კესელი-9 (კობესიუ-14, სავარი-67).

"დეტროიტი" რეგულარულის ჩემპიონობისთვის იბრძვის და აღმოსავლეთის მე-12 გუნდთან - "ბოსტონთან" შინ წაგება "რედ უინგზისთვის" ჩავარდნად უნდა შეფასდეს.

არადა, მასპინძლებს რომ მოეგოთ, ჩემპიონატის ლიდერ "ნეშვილთან" ჩამორჩენას ერთ ქულამდე შეამცირებდნენ, თანაც, "დეტროიტს" კონკურენტთან შედარებით ერთი თამაშით ნაკლები აქვს ჩატარებული.

**მინესოტა-კოლორადო 3:2 (ო)**

1:1, 0:0, 1:1, 1:0

**გოლები:** 1:0 მ. კოივუ-15 (პერიში-20, ბუშარი-32), 1:1 ჰეიდუკი-28 (ბრუნეტი-41, პ. შჩასტნი-44), 1:2 ლაპერიერი-6 (გიტი-7, ბ. კლარკი-28), 2:2 მ. კოივუ-16 (დემიტრა-33, გაბორიკი-16), 3:2 ბერნსი-4 (გაბორიკი-17, დემიტრა-34).

აღმოსავლეთისგან განსხვავებით, დასავლეთში გამოკვეთილია ის რვა გუნდი, რომლებიც ფლეი ოფში გააგრძელებენ ბრძოლას. ერთადერთი გუნდი, რომელსაც ჯერ კიდევ აქვს მერვე ადგილისთვის ბრძოლის შანსი, "კოლორადოა".

მართალია, ამ გუნდმა ბოლო 6 მატჩში პირველად წააგო, მაგრამ მას მაინც საკმაოდ ბევრი - 8 ქულა აშორებს მერვე ადგილზე მყოფ "კალგარისთან". თუ "ეველანშმა" ეს ჩამორჩენა ვერ აღმოფხვრა, მაშინ **საკიკი** და კომპანია 1993-94 წლების სეზონის შემდეგ, პირველად ვერ გავა ფლეი ოფში.

დებიუტანტების რეკორდი დაამყარა "კოლორადოს" ფორვარდმა **პოლ შჩასტნიმ** - მან ზედიზედ მე-18 მატჩში შეძლო ქულის დაგროვება და ამ მაჩვენებლით წინა რეკორდსმენ **ტეემუ სელიანეს** გადაასწრო.

**დალასი-ლოს ანჯელესი 4:3 (ო)**

2:1, 0:0, 1:2, 1:0

**გოლები:** 0:1 დ. ბრაუნი-12 (ო'სალივანი-5, ვიშნოვსკი-35), 1:1 ნადი-11 (ზუბოვი-34, რიბეირო-34), 2:1 დელეი-4 (ი. იოკინენი-26, ბუშე-28), 2:2 უილსი-9 (ს. ტორნტონი-6, კოსტოპულოსი-13), 3:2 ჰაგმანი-15 (ი. იოკინენი-27, ზუბოვი-35), 3:3 დ. ბრაუნი-13 (ფროლოვი-31, რ. ბლეიკი-18), 4:3 მოდანო-14 (ზუბოვი-36).

"დალასს" ფლეი ოფში მოხვედრა გარანტირებული აქვს და მისი ჰოკეისტები პირადი მიღწევებისთვის იცლიან.

ოვერტაიმის 35-ე წამზე, ამერიკელმა **მაიკ მოდანომ** კარიერაში 499-ე შაიბა გაიტანა. ამ მაჩვენებლით, მან უკან მოიტოვა თანამემამულე **შონ ბურკი** და ახლა, ყველა დროის ყველაზე შედეგიან ამერიკელამდე - **ჯო მულენამდე** სამი გოლის გატანა აკლია.

**ანაჰაიმი-ვანკუვერი 4:2**

3:1, 0:1, 1:0

**გოლები:** 1:0 სელიანე-40 (ბოშემენი-14, გეტცლაფი-24), 1:1 ბაროუზი-2 (სანტალა-4, ლინდენი-10), 2:1 ე. მაკდონალდი-21 (კუნიტცი-30, ბოშემენი-15), 3:1 ე. მაკდონალდი-22 (სელიანე-40, კუნიტცი-31), 3:2 სოპელი-5 (დ. სედინი-37, ჰ. სედინი-56), 4:2 სელიანე-41 (ე. მაკდონალდი-45, ბოშემენი-16).

**კრის პრონგერის** გარეშე მოთამაშე "ანაჰაიმმა" კვლავ აკრიფა მაღალი ტემპი. "იხვებმა" ზედიზედ მეხუთე, ბოლო რვა ტურში კი, მეშვიდე შეხვედრა მოიგეს და სამი ქულით მიუახლოვდნენ "ნეშვილს".

ორი გოლი და ერთი პასი მიითვალა ვეტერანმა **ტეემუ სელიანემ**. ფინელი NHL-ის ისტორიაში 35 წელს გადაცილებული პირველი ჰოკეისტი გახდა, რომელმაც სეზონში ერთდროულად 40 გოლი გაიტანა და 40 შედეგიანი პასი გააკეთა.

ამ ორ ზღვარს სელიანემ კარიერაში მეშვიდედ გადააჭარბა, რაც მოქმედ ჰოკეისტებს შორის საუკეთესო მაჩვენებელია.

**სან ხოსე-ედმონტონი 3:0**

1:0, 0:0, 2:0

**გოლები:** 1:0 ბერნიე-13 (ვლასიჩი-19, ქლოუ-18), 2:0 მაკლარენი-5 (რისმილერი-14, კ. ბრაუნი-9), 3:0 მ. კარლი-10 (რივე-11, ჯ. ტორნტონი-70).

"სან ხოსე" ნელ-ნელა იბრუნებს დაკარგულ პოზიციებს, თუმცა "ზვიგენებს" წყნარი ოკეანის დივიზიონში "ანაჰაიმის" გადასწრება ძალიან გაუჭირდებათ.

"შარქსის" ბოლოდროინდელი წარმატებული თამაში მთლიანად მეკარე **ევგენი ნაბოკოვის** დამსახურებაა. რუსმა გოლკიპერმა კარგად ისარგებლა ფინელი **ვესა ტოსკალას** ტრავმით და მის არყოფნაში დაამტკიცა, რომ "სან ხოსეს" ძირითად მეკარეს არაფრით ჩამოუვარდება.

ნაბოკოვმა ბოლო ოთხ მატჩში მესამე შატაუტი გაახერხა და პრაქტიკულად, დაიბევა კვირის პირველი ვარსკვლავის სტატუსი.

სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაჟელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ებანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი
გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
gazeti_lelo@mail.ru

ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა